



საქართველოს
საქართველოს

ISSN 0132-1307

საბჭოთა სელოზნეა

1980 4



საქართველო სტუდენტები

საპარტველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ჟოველთვიური ჟურნალი

შინაარსი

ვახტანგ ქარუმიძე — ლეონინის სამეო ცოცხლოვს და იმარჯვებს	2
გრიგოლ ჩხიკვაძე — ლეონინი და მუსიკა	9
ლილია თაბუკაშვილი — ლეონინის სახე ზმრწერულ ბილომებს	13
გიორგი დოლიძე — პ. ი. ლეონინი საბჭოთა კინოს სათავეებთან	25
გიორგი ვოლნოვი — პარტული დრამატურგია ბელორუსიის სკანანო	33
მეია ღაზარიანი — ბრიტოლ ტატიშვილი და სომხური ხელოვნება	41
ირაკლი ციციშვილი — კულტურის მებელთა დაცვა — მდგომარეობა და პრბლ- ლეიები	44
არნოლდ გიგეჭორი — გაზლოვანი — ტაე სიკაითისა	50
ალექსი არგუნი — სოფიო პაშვასა	56
ვახილ კიკნაძე — თაბატალური პირობითობის მფრბტი	63
ანზორ ერქოშიაშვილი — მბელი სიმღერების კვალდაკვალ	63
ირინა ხარუხანოვა — მხატვანე ჟოვლანინა	75
ვახტანგ სიღაშინიძე — იოსებ თბილელის კორტბები	79
ირაკლი ყიფიანი — მინცკლოვდელური კულტურის ისტორიისათვის. პარტუ- ლი მინცკლოვდელური ტრადიციები	80
12 პარილი კოსმონავტიკის დღეა	85
მიხეილ შატროვი — ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე. (პეესა)	95
კრონიკა	114

თბატარი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არბიტრატურა
მორეოგრაფია

მთავარი რედაქტორი
თბათა ზილამე
სარედაქციო კოლეგია:
აბაიო ბაბუაძე,
მხატვანე ზარიკა,
ნოღარ ბაბუნიანი,
ჯუშბარ თითბერიანი
(კანსენიშბებელი მდინანი),
ზასილ კიკნაძე,
ნოღარ მგალოვლიშვილი,
ჯურაბ ნიბარამი,
გივი მრჯოტონიკიძე,
ნათელა ურუშაძე,
რბათა ჩხიმიძე,
ანტონე წულუკიძე,
ნიკო მახაშბიძე,
ნოღარ ჯანბირბი.



საბჭოთა ხალხი მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად აღნიშნავს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს. მეცნიერული აზროვნების ბუმბერაზმა, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელმა ვ. ი. ლენინმა მთელი თავისი შესანიშნავი, გმირული და შეგნებული სიცოცხლე უძღვნა კეთილშობილურ საქმეს, — პროლეტარიატისა და მთელი ჩაგრული მასე-

ბის სოციალური განთავისუფლებისათვის, მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას.

ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ განავითარა კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის რევოლუციური მოძღვრება. მან პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი დებულებებით გაამდიდრა მარქსიზმის ყველა შემადგენელი ნაწილი, ახალი ეტაპი დაიწყო მის განვითარებაში. ვ. ი. ლენინის უკვდავ სახელთან, მის რევოლუცი-



ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს

ვახტანგ ქარუმიძე

საქართველოს კომპარტიის
ცენტრალური კომიტეტის
აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე

ურ მოძღვრებასთან არის დაკავშირებული XX საუკუნის ყველა უთვალსაჩინოესი რევოლუციური მოძღვრება. „ლენინიზმი, — აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ვლადიმერ ილიას მე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შესახებ“, ეს არის თანამედროვე ეპოქის მარქსიზმი, საერთაშორისო მუშათა კლასის ერთიანი, მთლიანი, განუწყვეტელი განვითარებადი მოძღვრება“.

ვ. ი. ლენინი წერდა: მარქსის მოძღვრება ყოველად ძლიერია იმიტომ, რომ იგი სწორია. ეს სიტყვები სავსებით შეეხება თვით ლენინის მოძღვრებას. ლენინის მოძღვრების სისწორე დადასტურებულია ცხოვრებით, XX საუკუნის პოლიტიკური განვითარების მთელი გამოცდილებით. „თავმდაბლობა და უბრალოება, ნამდვილი ადამიანურობა, პატივისცემა და ნდობა ადამიანებისადმი,



პირადი მონაწილეობა მათს ბედში ლენინში შერწყმული იყო მტკიცე პრინციპულობასთან, თავის თავისა და სხვებისადმი მომთხოველობასთან; სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა — დაუსცრომელ საქმიანობასთან, უჩრევე ნებისყოფასთან, დიდი მეცნიერის ერუდიციად და მხავილი გონება — ცხოვრების, მისი ნამდვილი ღირებულებისა და სიხალის გულწრფელი სიყვარულთან. ასეთი იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი — მოახროვანე, რევოლუციონერი, ადამიანი. მისი მოძღვრება მუდამ იქნება მონივრება და მოქმედების სახელმძღვანელო, მისი ცხოვრების საგმირო საქმენი — შთამაგონებელი მაგალითი კომუნისტისათვის, მილიონობით ადამიანისათვის“ — აღნიშნავს ჯ. ი. ბრეჟნევი.

ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსისტული მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურისა და კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის შესახებ, გააშუქა სოციალიზმისა და კომუნისტების მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ვ. ი. ლენინმა მოგვცა პროლეტარიატის დიქტატურის და მისი არსის ყოველმხრივი, ამომწურავი განსაზღვრა. პროლეტარიატის დიქტატურა მუშათა კლასის პოლიტიკური ბატონობაა. ესაა მშრომელთა ხელისუფლება, რომელსაც ხელმძღვანელობს მუშათა კლასი და რომლის მიზანია სოციალიზმის აშენება.

ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, პროლეტარიატის დიქტატურას გააჩნია ორი მხარე: ძალმომრეობითი და აღმშენებლობითი. პირველი მიმართულია დამხობილი ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ. მისი გამოვლენის ფორმა და ძალა განისაზღვრება ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობის ხასიათითა და სიმძაფრით. მეორე მხარეში კი ვლინდება პროლეტარიატის დიქტატურის — სოციალიზმის მშენებლობის მთავარი იარაღის — დედაარსი. პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი, უმთავრესი დანიშნულება და მიზანი არის საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნა სოციალისტურ საწყისებზე; ამ ამოცანის შესრულების მთავარი პირობაა მშრომელთა ფართო მასების აქტიური ჩაბმა საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციურ გარდაქმნაში.

თანამედროვე დოგმატიზმს პროლეტარიატის ბატონობა დაჰყავს მხოლოდ ძალმომრეობამდე და ივიწყებს პროლეტარიატის სოციალისტურ დემოკრატიზმს. მათ ავიწყდება ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „მარტო ძალმომრეობა და უმთავრესად ძალმომრეობა როდია პროლეტარული დიქტატურის დედაარსი. მისი დედაარსი უმთავრესად მშრომელთა მონაწილე რაზმის, მისი ავანგარდის, მისი ერთადერთი ხელმძღვანელის პროლეტარიატის დარაზმულობა და დისციპლინაა. მისი მიზანია სოციალიზმის შექმნა, საზოგადოების კლასებად დაყოფის მოსპობა, საზოგადოების ყველა წევრის მშრომელად გადაქცევა, ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციისათვის ნიადაგის გამოცლა“.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ დასკვნებს, რომ განვითარებული სოციალიზმის შექმნის პროცესში მუშათა კლასის პარტია, ამასთანავე, მთელი ხალხის

ავანგარდი პარტია ხდება, რომ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო საერთო-სახალხო ხელმძღვანელობითად გადაიზრდება.

რევოლუციური თეორიის უთვისაწინისი შენახვისა სკკპ XXIII, XXIV და XXV ყრილობების განწყვეტილებები, პარტიის დადგენილებები, ამხანაგ ჯ. ი. ბრეჟნევის, პარტიის სხვა ხელმძღვანელთა შრომები.

ჩვენი ქვეყნის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოა. პროლეტარიატის დიქტატურამ, უზრუნველყო რა სოციალიზმის — კომუნისტების პირველი ფაზის სრული და საბოლოო განხრეგება, შეასრულა თავისი ისტორიული მისია. სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, თანამედროვე ეტაპზე გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამოხატვის ორგანოდ.

სსრ კავშირის კონსტიტუციაში განსაზღვრულია სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ამოცანები: შექმნას კომუნისტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სრულყოს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი და გარდაქმნას ისინი კომუნისტურ ურთიერთობებად, აღზარდოს კომუნისტური საზოგადოების ადამიანი, ამაღლოს მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე, უზრუნველყოს ქვეყნის უშიშროება, ხელი შეუწყოს მშვიდობის განმტკიცებას და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მეცნიერულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით ვ. ი. ლენინმა შიომუშავა მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური მშენებლობისა და განმტკიცების ღონისძიებათა მთლიანი პროგრამა. იგი გასწავლიდა — თანმიმდევრულად განვევხორციელებინა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები, განაგრძო (კიუბინა ხალხთა მეგობრობა და მჭერი თანამშრომლობა).

საბჭოთა ქვეყანაში ეროვნული საკითხის სწორი გადაწყვეტის უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობაზე ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ეს მსოფლიო საკითხია, გაუზიარებლად მსოფლიო საკითხი და რომ ეს გაგაღიანს მოახდენს ინდოეთზე, აღმოსავლეთზე, აქ ზემონადაა რე მიტოვება, აქ 1000-ჯერ ფრთხილი უნდა ვიყოთ.

ჩვენი ქვეყნის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ მხოლოდ სოციალიზმი ქმნის ყველა საჭირო პირობას ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის, ერთიან მრავალეროვან სახელმწიფოდ თავისუფალ და თანასწორუფლებიან ერთად და ეროვნებათა ნებაყოფლობითი გაერთიანებისათვის.

როგორც ვ. ი. ლენინმა განჭვრიტა, სოციალიზმის დროს ეროვნულ საკითხში მოქმედებს ორი ურთიერთდაკავშირებული პროგრესული ტენდენცია. ერთის მხრივ, მიმდინარეობს ერების ეკონომიკური პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მკვეთრი



განვითარება, ფართოვდება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უფლებები, მეორეს მხრივ კი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე მიმდინარეობს სოციალისტური ერების უფრო დაახლოება. ძლიერდება მათი ურთიერთგავლენა და ურთიერთგამიდრება.

ჩვენი ქვეყანაში მიმდინარეობს სოციალისტური ერების სულ უფრო შექმადრება, მათი დაახლოება. განვითარებული სოციალიზმის პირობებში უფრო იზრდება სოციალისტური ერების მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, მტკიცდება მათი მდგომარეობა და ძმური კავშირი.

დიდი თორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს დებულებას საბჭოთა ხალხის როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის შესახებ. ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ერთიანობის საფუძველზე აღმოცენდა, განვითარდა ახალი სოციალისტური და ინტერნაციონალური ერთობა — მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი. მას გააჩნია საერთო დამახასიათებელი ნიშანი: საერთო სოციალისტური სამშობლო — სსრ კავშირი, საერთო ეკონომიკური ბაზა, მეურნეობის სოციალისტური სისტემა, ერთიანი სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა, საერთო მსოფლიოებდრება — მარქსიზმ-ლენინიზმი, ერთიანი დიქციონარი — კომუნისტური აზრება, ბევრი საერთო აქვთ აგრეთვე სულიერ და ფსიქოლოგიურ თვისებებში.

ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი ჩამოყალიბდა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების, ყოფის, სულიერი სახის საერთო ინტერნაციონალური ნიშნების საფუძველზე. ეს ნიშნები გამოხატავენ ყველა საბჭოთა ერისა და ეროვნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების განვითარების ერთიანობას, კომუნისტური შეწყობილობაში მათი ცხოვრებისეული ინტერესებისა და მიზნების ერთიანობას.

საბჭოთა ერებისა და ეროვნებების კულტურის განვითარების მნიშვნელოვანი კანონზომიერებაა ენების თავისუფალი განვითარება. პარტია ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ყოველთვის მხარს უჭერდა ენების თავისუფლად განვითარებასა და თანასწორუფლებიანობას.

ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ ენებზე შექმნილია სკოლები, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელი, ადგილობრივი ორგანიზაციები მშობლიურ ენაზე წარმოებს მიმოსწერა და საქმეთა წარმოება, პერიოდული პრესის, ლიტერატურის გამოცემა, რადიო და ტელეგადამცემი და ა. შ. ამის მკაფიო მაგალითია ჩვენი რესპუბლიკა: ის ზრუნვა, რომელსაც ქართული, აგრეთვე სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური, ოსური ენების განვითარებისადმი იჩენს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ამის მკაფიო დამადასტურებელია ქართული ენის შემდგომი განვითარების შესახებ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის 1979 და 1980 წლების დადგენილებები.

ეროვნული ენების განვითარების მხარდამხარე სულიერი ორბრტა რუსული ენის როლი, როგორც ერთა შორის ურთიერთობის საშუალება.

ვ. ი. ლენინი უდიდესი ყურადღებითა და მზრუნველობით იყო დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან. იგი 1921 წლის 2 მარტს მიესალმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას: „გადავიტოვე ქართულ კომუნისტებს და სოციალურად საქართველოს რევოლუციის ყველა წევრს ჩემი მხურავად ხალხში საბჭოთა საქართველოსადმი“.

ამ წერილი გახსაზღვრულია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები: იგი რჩევას იძლეოდა: „... ვთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოთხოვნენ ქართული კომუნისტებისადმი რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ... თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას“.

1921 წლის 14 აპრილს ვ. ი. ლენინმა დაწერა თავისი ცნობილი წერილი „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიეთა რესპუბლიკების ამხანაგ-კომუნისტებს“. ამ წერილს მნიშვნელობა შორს სცილდებოდა კავკასიის რესპუბლიკების ფარგლებს. არსებითად, ეს იყო დირექტივები ყველა ეროვნული რესპუბლიკისა და ოლქის კომუნისტებისათვის. ვ. ი. ლენინი კომუნისტების ყურადღებას მიაყვანობდა იმას, რომ „სოციალიზმზე გადავსლისათვის მათი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საბჭოთა ხელისუფლებაში შენარჩუნება და განმტკიცება. ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ მიერ-კავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურება, რუსეთის სხვ რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრძამდე არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფერებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას.“

საქართველოს მშრომელებმა წარმატებით განახორციელეს ვ. ი. ლენინის მითითებები და საბჭოთა ხალხების მძვრ ოჯახში მოიპოვეს უდიდესი წარმატებები ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ მშენებლობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მიღწევები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიღწევებთან 1972—1980 წლებში. ეს არის პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, გენერალური მივივის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ყოველმხრივი დახმარების შედეგად მოპოვებული გამარჯვებული სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. ჩვენს ზრდას, მიღწევებს, გამარჯვებებს დასტურებს ზედიზედ მეშვიდე სსრ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკვ ცენტრალური კომიტეტის გადადამავალი ნითელი დროში დაფიქრებულია.



ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, კულტურული რევოლუცია მასების კულტურული განვითარების მთელი ხანაა, უდიდესი გადატრიალებაა მშრომელთა შეგენებაში, იდეოლოგიასა და სულიერ ცხოვრებაში.

კულტურული რევოლუციის ლენინური პროგრამა დიდმნიშვნელოვანი წვლილითაა რევოლუციურ თეორიასა და პრაქტიკაში. მისი ძირითადი შინაარსია: სახალხო განათლების განვითარება, პირობების შექმნა იმისათვის, რომ მშრომელთა ყველაზე ფართო მასები ეზიარონ პოლიტიკას, ცოდნას, ესთეტიკურ ძირებულებებს; მეცნიერული სოციალისტური იდეოლოგიის გავრცელება და მის პრინციპებზე ხალხის მთელი სულიერი ცხოვრების ორგანიზაცია; წვრილბურჟუაზიულ შეხედულებათა და ზნეჩვეულებათა დაძლევა.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე განსაზღვრა ახალი, სოციალისტური კულტურის შექმნის ძირითადი მიმართულებანი და ამოცანები, ხოლო რევოლუციის შემდგომ წლებში მან შეიმუშავა კულტურული რევოლუციის, როგორც სოციალისტური რევოლუციის ძირითადი კანონზომიერების, განხორციელების კონკრეტული პროგრამა.

ლენინიზმის მიხედვით, კულტურული რევოლუცია ხანგრძლივი, რთული და თანდათანობით საზოგადოებრივი პროცესია, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან. იგი კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში წყვეტს საზოგადოების სულიერი ცხოვრების, განათლებისა და სოციალისტური კულტურის განვითარების ამოცანებს. ვ. ი. ლენინი გვასწავლის: „მას შემდეგ, რაც გადაწყვიტეთ მსოფლიოში უდიდესი პოლიტიკური გადატრიალების ამოცანა, ჩვენს წინაშე დადგა სხვა ამოცანები... კულტურის ამაღლების ამოცანა — ერთ-ერთი ყველაზე მორიგი ამოცანა“.

ჩვენს ქვეყანაში აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომელიც ახალი წყობილების სოციალურ-ეკონომიკური სიმნიფის კანონზომიერი საფუძვრია კომუნისტური ფორმაციის პირველი ფაზის ფარგლებში. ეს, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, არის მთლიანად დამკვიდრებული სოციალიზმი, რომლითაც იწყება თანდათანობით გადასვლა კომუნისტურად.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ლაპარაკობდა „მზა“, „სრულ“, „განვითარებულ“ სოციალიზმზე, როგორც პერსპექტივაზე, როგორც დანყვებული სოციალისტური მშენებლობის მიზანზე. სწორედ ეს ლენინური იდეები დაედო საფუძვლად განვითარებული სოციალიზმის კონცეფციას, რომელიც კომუნისტური პარტიის, სხვა მოძმე პარტიების კოლექტიური მეცადინეობით შეიმუშავდა.

კომუნისტური პარტია, მოძმე პარტიები ღრმად აანალიზებენ საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესებს და შემოქმედებითაა ანვითარებენ მარქსიზმ-ლენინიზმს.

უკანასკნელ წლებში მარქსიზმ-ლენინიზმში მოძვრებას შეემატა დებულება განვითარებული სოციალიზმის შესახებ, რომელმაც არსებითად გაამდიდრა და დაზუსტა წარმოდგენა ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ჩამოყალიბების კანონზომიერებათა შესახებ, კომუნისტის აშენების გზების შესახებ.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეტაპზე ერთდვს სოციალიზმი უკვე საკუთარ საფუძველზე ვითარდება, სულ უფრო სრულად ვლინდება სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობანი, მშრომელები სულ უფრო ფართოდ სარგებლობენ დიდი რევოლუციური მონაწირობების ნაყოფით.

კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებით, სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ამა. ლ. ი. ბრენცევის შრომებში მოცემულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივი დახასიათება.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება ეს არის საზოგადოება, რომელშიც შექმნილია მძლავრი სანარმოო ძალები, მოწინავე მეცნიერება და კულტურა, სულ უფრო ხელშეწყობილი პირობანი ექმნება პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას. ეს არის მომწინვებულ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საზოგადოება, რომელიც ყველა კლასისა და სოციალური ფენის დაახლოების, ყველა ერისა და ეროვნების ძმური თანამშრომლობის საფუძველზე შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა მახლი; ეს არის მშრომელთა — პატრიოტთა და ინტერნაციონალისტთა მაღალი ორგანიზებულიობის, იდეურობისა და შეგნებულობის საზოგადოება. ეს არის ნამდვილი დემოკრატიის საზოგადოება, რომლის პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფს მთელი საზოგადოებრივი საქმეების ეფექტიან მართვას, მშრომელთა აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო საქმეებში.

სოციალიზმის დროს, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — „ისტორიაში მოსახლეობის მასა პირველად ამაღლდა დამოუკიდებლად მონაწილეობამდე არა მარტო ექნისყრასა და არჩევნებში, არამედ ყოველდღიურ მმართველობაშიც“.

პარტიული ხელმძღვანელობის წარმატების მნიშვნელოვანი პირობაა მუშაობის ლენინური სტილი-ლენინური სტილი კი ეს არის შემოქმედებითი სტილი, რომლისთვისაც უცხოა სუბიექტივიზმი, ყველა საზოგადოებრივი პროცესისადმი გამსჭვალულია მეცნიერული მიდგომა. იგი გულისხმობს მაღალ მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და სხვისადმი, გამორიცხავს თვითკმაყოფილებას, უპირისპირდება ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

მუშაობის ლენინური სტილის განმასხვავებელი ნიშნები იყო პრინციპულობა, პირდაპირობა და სიმართლე ცხოვრების ყველა სფეროში- იგი იყო ფრაზიორობის, კომუნისტური ყყოჩოზის შეურიგებელი მონაწილმდეცა. ყოველ ვითარებაში ლენინი უსწევდა უნარი ნათლად და რეალისტურად მისდგომოდა ფაქტებსა და მოვლენებს, დროზე შეცნო და ემხი-

ლებინა დაშვებული შეცდომები, მიეღწია მათი გამოსწორებისათვის.

პარტია მტკიცედ იცავს და ამკვიდრებს მუშაობის ამ ლენინურ სტილს. „ხალხის წინაშე მოვალეობა — პარტიული, სამსახურეობრივი, ადამიანური — ყოველთვის უნდა გვახსოვდეს — აღნიშნა ამახ. ლ. ი. ბრეჟნევი ამომრჩეველებთან შეხვედრაზე 1980 წლის 22 თებერვალს, — ნამდვილი პარტიული და საბჭოთა მუშაკი არ არის და ვერც იქნება, თუ განუხრელად არ ასრულებს ამ მოვალეობას, თუ არ შეუძლია მტკიცედ დააკავშიროს ერთმანეთთან სიტყვა და საქმე, დიდი შრომისმოყვარეობა და დისციპლინა, მომთხონებლობა საკუთარი თავისადმი და უანგარო პატიოსნება — აი, მისი კარგი რეპუტაციის საფუძველი. და ამ რეპუტაციას უნდა ვადასტურებდეთ მთელი სიცოცხლის მანძილზე და მთელი ცხოვრებით. მუშაკის ავტორიტეტი, რა პოსტიც უნდა ეკავოს მას, გარედან არ მოდის, იგი უნდა მოვიპოვოთ პირადი მეცადინეობით, ყო-

ველდლიური შრომით, რეალური საქმეებით. მხოლოდ ასე მოვიპოვებთ ხალხის პატივისცემას“.

კომუნისტური აღზრდის საქმეს, ისევე როგორც კომუნისტური პარტიის მთელ რევოლუციურ-გარდამქმნელ საქმიანობას, საფუძველად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმი. მარქსიზმ-ლენინიზმი — ეს არის ერთადერთი საიმედო საფუძველი სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებისათვის. იგი გვაძლევს ისტორიული პერსპექტივის გაგებას, გვეხმარება მრავალი წლით ადრე განვსაზღვროთ ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების მიმართულება, სწორად გავერკვეთ საერთაშორისო მოვლენებში.

ლენინიზმი, როგორც მარად ცოცხალი, განვითარებადი მოძღვრება, — გვასწავლის ლ. ი. ბრეჟნევი, — იყო, არის და იქნება პარტიის იდეური ცხოვრების ცენტრში, იქნება მთელი მისი რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობის საფუძველი. მიმართავს რა ვ. ი. ლენინის იდეურ მემკვიდრეობას, პარტიას თავის უმ-



ჩ. ლოლუა
„ოქტომბრის სიმფონია“
გალატეონ ტაბიძის
პოეზიის მოტივებზე



ნიშნელოვანებს ამოცანად მიაჩნა ლენინის აზრებს, ლენინის მეთოდოლოგიის საფუძველზე გამონახოს კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ პრობლემათა გადაწყვეტის გზები.

მასების კომუნისტური აღზრდის წარმატების, იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის საზომი კონკრეტული საქმეებია. ლენინიზმის მიხედვით, კომუნისტური იდეურობა — ეს არის ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკული მოქმედების შენადობი.

სკკპ XXV ყრილობამ შეიმუშავა კომუნინიზმის გზით შემდგომი წინსვლის მკაფიო პოლიტიკური გეზი, სტრატეგია და ტაქტიკა, მეცნიერულად განსაზღვრა განვითარებული სოციალიზმის პირობებში იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზები, ფორმები და საშუალებანი. ყრილობამ დასახა ამ მუშაობის იდეური დონისა და ეფექტიანობის ამალღების გზა — კომუნისტური მიდგომა აღზრდის მთელ საქმის დაყენებისადმი: იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ერთიანობის უზრუნველყოფა მშრომელთა სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებებს გათვალისწინებით. ეს მთლიანად პასუხობს ვ. ი. ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ „უნდა ვისწავლოთ მასებისადმი მიდგომა განსაკუთრებული მითინებითა და სიფრთხილით, რათა უნარი შეგვწყევდეს გავიგოთ ამ მასის თითოეული ფენის, პროფესიისა და სხვა განსაკუთრებლობანი და ფსიქოლოგიის თავისებური ნიშნები.“

კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ასრულებს ვ. ი. ლენინის ანდერძს და ფართო მასების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა შეგნებულ შესწავლას უხამებს საბჭოთა ადამიანების აღზრდის საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საზოგადოებრივი აქტიურობის სულისკვეთებით, სსრ კავშირის თითოეულ მოქალაქეს უნერგავს მაღალ ზნეობრივ თვისებებს. ეს მითითებანი საფუძვლად უდევს საქართველოს კომპარტიის მთელ იდეურ-აღმზრდელი მუშაობას.

საბჭოთა ადამიანები ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავს მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ხვდებიან. მოსკოვისა და ლენინგრადის წარმოების მონიწვეთა ინიციატივით ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა პატრიოტული მოძრაობა, რათა პირადი ხუთწლიანი დავალებანი 1980 წლის 22 აპრილისათვის შესასრულენ. ლენინის იუბილესათვის მზადებამ ხელი შეუწყო ხალხის შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის შემდგომ განვითარებას, მთელი ძაღების მოზიზიზაცია 1980 წლის გეგმის შესასრულელად, მეთერთმეტე ხუთწლიდის წარმატებული სტრატის კარგი საფუძვლის შექმნას.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოექცა სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამალღების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოების ინტენსი-

ფიკაციის დაქარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკის დაგეგვისა და მართვის სარეზერვოების, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცების, დაკისრებული საქმისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შესახებ“ შესაბამისად მიმდინარე წლის მარტ-აპრილში ყველა პირველად პარტიულ ორგანიზაციაში მიეწყო ღია პარტიული კრებები დღის წესრიგში „ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად.“ კრებებზე კომუნისტთა და უპარტიოთა აქტივობის ვითარებაში განიხილეს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, აღნიშნული დადგენილების ამ პლენუმზე და მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრაზე ამხ. ლ. ი. ბორჩენევის მითითებების შესაბამისად.

გაჩაღდა მასობრივი სოციალისტური შეჯიგება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, მეათე ხუთწლიდის წარმატებით დამთავრებისათვის. ამ შეჯიგებაში აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. მის მასშტაბებზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ 120 ათასი შრომითი კოლექტივი და 120 ათასი წარმოების მონიწვე, რომელთაც ხუთწლიანი დავალება შეასრულეს, დაჯილდოვდა საბატიო ლენინური სიგელით.

ჩვენი ქვეყანა განუხრდად ახორციელებს ლენინურ მშვიდობის პოლიტიკას, იღვწის ხალხთა უშიშროების განმტკიცებისა და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის.

სსრ კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკის მიზანია ხელშეწყობი საერთაშორისო პირობები შეუქმნას კომუნინიზმის აშენებას, დაცვას საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესები, განამტკიცოს მსოფლიო სოციალიზმის პოზიციები, მხარი დაუჭიროს ხალხთა ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, აღკვეთოს აგრესიული ომები, მიადნოს საყოველთაო და სრულ განიარაღებას, თანმიმდევრულად განახორციელოს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი.

ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს საბჭოთა ადამიანის საქმიანობაში, სოციალისტური ქვეყნების წარმატებებში, მათს შეკავშირებაში, საერთაშორისო მუშაობა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, კომუნისტური პარტიების მოღვაწეობაში.

ლენინის დროშით მოვიპოვეთ ახალ გამარჯვებებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.



110

ლენინი და მუსიკა

გრიგოლ ჩხიკაძე

მთელი თანამედროვე საბჭოთა ხელოვნება მკიდრად არის დაკავშირებული გენიალური მოაზროვნის, დიდი რევოლუციონერის, უკვდავი ვლადიმერ ილას ძე ლენინის სახელთან.

მრავალრიცხოვან საბჭოთა ქვეყანაში, სხვებთან ერთად, წელგამართლმა ქართველმა ხალხმა სიამაყის გრძობით უმღერა დიდი ლენინის თაოსნობით, შეუპოვარი ბრძოლებით მოპოვებულ განახლებულ ცხოვრებას და მთელი სიკბადით წარმოგვიდგინა იგი. წარმოიშვა სიმღერები, გამსჭვალული სრულიად ახალი თემატიკით, ახალი შინაარსით. ხალხით საესე თანამედროვე ქართულ ხალხურ ლექს-სიმღერებში ნათლად არის ასახული მუშათა და გლეხთა დღევანდელი ყოფა, შემოქმედებითი შრომის პათოსი, გიგანტური მშენებლობა, ინდუსტრიული ქალაქი, საკოლმეურნეო სოფელი, საბჭოთა არმიის დევგმირული ვაჟაკობა, მშვიდობისათვის ბრძოლა. ქართველი ხალხი სიამაყის გრძობით უმღერის სახელოვან რევოლუციონერებს, გამოჩენილ საბჭოთა ადამიანებს, დიდი სამამულო ომის სახელოვან გმირებს, მხედართმთავრებსა და სხვ.

ქართულ საბჭოთა მუსიკალურ ფოლკლორში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მთელი კაცობრიობის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის დაუღალავი და შეუპოვარი მებრძოლის, ოქტომბრის რევოლუციის ბელადის ვლადიმერ ილას ძე ლენინისადმი მიძღვნილ სიმღერებს, რომლებშიც მადლიერი ხალხი ამღვავებს წრფელ სიყვარულს ბრძენი მასწავლებლისადმი და მხატვრულ სახეებში მოგვითხრობს მისი მოღვაწეობის შესახებ. ლენინს, როგორც რევოლუციური მოძრაობის მეთაურს, ქართველი პროლეტარიატი ჯერ კიდევ რუსეთის პირველ

რევოლუციის წინა წლებში იცნობდა. თავის მხრივ ლენინმა კარგად იცოდა, რომ ქართველი მუშები და მათთან დაკავშირებული მოწინავე ინტელიგენცია აქტიურ მუშაობას ეწეოდა 1905 წლის რევოლუციის მოსამზადებელ პერიოდში. მართალია, ვ. ი. ლენინი იმხანად ემიგრაციაში იმყოფებოდა, მაგრამ თვალყურს ადევნებდა მეფურ რუსეთში მომხდარ მოვლენებს და მუდამ საქმის კურსში იყო. განსაკუთრებულ ყურადღებას ლენინი რუსეთსა და საქართველოში დაწყებულ სახალხო მოძრაობას აქცევდა. როგორც ცნობილია, გაზეთ „გებრიოდისათვის“ დასაბუქდად გამზადებულ მასალებში, რომელიც იმხანად ენევაში გამოდიოდა და რუსეთში არალეგალურად ვრცელდებოდა, ეხებოდა რა ცარიზმის წინააღმდეგ გამოსვლას, ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა — „დაიწყო გაფიცვა თბილისში (20 იანვარს). იგი ვაგრცელდა „ზათოშში“ (ხაზგასმულია ლენინის მიერ). და მართლაც, ი. სტალინის ხელმძღვანელობით თბილისის მუშების გაფიცვები 18 იანვრიდან დაიწყო. 20 იანვარს გამოიშვეს რსდმპ ამიერკავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის ერთ-ერთი პროკლამაცია, რომელიც ასე მიმართავდა პეტერბურგის მუშებს: „სალამი თქვენ, ამხანაგებო! გაუმარჯოს რევოლუციას, გაუმარჯოს პროლეტარიატს, რომელიც ახალი ცხოვრებისათვის იბრძვის!... ჩვენს სალამი პეტერბურგელ მუშებს!“ ამის გარდა, საბუთები და ისტორიული ქრონიკა მკვერმეტყველურად მოგვყვება საქართველოს მუშათა კლასის სასიქადლო რევოლუციური ბრძოლების შესახებ ქუთაისში, ფოთში, ჭიათურაში, ტყიბულში, თელავში, გორში, სამტრედიიაში და საქართველოს სხვა ქალაქებსა

და დაბეჭდილი, რაც, ქართველი ბოლშევიკების მეოხებით, ცნობილი იყო ლენინისათვის. ამ მხრივ საყურადღებოა ს. სვერდლინის ცნობები, რომ ლენინი საქართველოს იცნობდა ოქტომბრის რევოლუციამდე, როდესაც მას, რუსეთის კარხმის მიერ ლენინის, ცხოვრება უზღებოდა ემიგრაციაში — ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, აგრეთვე შორეულ შუამუხრეთში და, არაღვალაური მუშაობის პერიოდისთვის უკანასკნელად რუსიის კარავში¹. ცნობილია ისიც, რომ ვიდრე დაწერდა თავის შრომას „კავშირის განვითარება რუსეთში“, ლენინი 1893 წლიდან, სხვა მასალებთან ერთად, დიდი გულმოდგინებით სწავლობდა სტატისტიკურ მასალებს საქართველოს შესახებ... ამ სტატისტიკურ ირკვევა, რომ „1901 წელს საქართველოში რსდმპ თბილისის კომიტეტმა პირველად დაამყარა მუდმივი წერილობითი კავშირი ვ. ლენინთან. მგზნებარე რევოლუციონერის... ლადო კეცხოველის შემდეგ, რომელიც ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის პირველი დაუჭარავინდა ილიას ძეს, მიხეილ დავითაშვილისა და ი. ბ. სტალინის, ხოლო შემდეგ მიხა ცხაკაიას მეშვეობით დაიწყო ლენინთან მიმოწერა — სერგო ორჯონიძემ, მელიქონ ფილიამ, ნიკო კიკნაძემ, სამუელ ბუაჩიძემ, მაღალია ჯორჯოშვილძემ, ფილიპე მახარაძემ, აბელ ენუქიძემ და სხვებმა“.²

ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გერონტი ჭიჭიძის წერილი სათაურით „დამახასიათებელი დიმილი“. წერილი ეხება ავტორის ცხოვრების პერიოდს პარიზში, სადაც იგი პოლო იაშვილთან ერთად, მიხეილ დავითაშვილის³ დახმარებით, დასწრება ლენინის მოხსენებას თემაზე „ეროვნული საკითხი“. ამ მოხსენებებმა შელანდებდა ის დიდი ყურადღება, რომელიც ლენინს გამოუჩინა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში გურული გულგუცკობის როლისადმი. მას უთქვამს: „გურულებმა დიდი შეგნება და ორგანიზაციული ნიჭი გამოაჩინეს 1905 წელს, თავის რესპუბლიკაში მოსეს ყოფილი ძალმოპოვება და დანაშაული... საზოგადოე ყ უნდა ითქვას, რული ნაციონალისტები ამაოდ იჭირობენ, თითქოს კომპარტი ან ტამბოველი გლეხი უფრო მაღლა დგას ქართველ და ლატვიელ ან ესტონელ გლეხზე“. ეს არის სამავალითი დამოწმება იმ დიდი გულგუცკობისა, რომელსაც ლენინი მუდამ იჩენდა საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ. აღსანიშნავია საქართველოს რევოლუციური კომიტეტის წევრებისადმი 1921 წლის 2 მარტს ლენინის წერილი „მუშებისა და ღარიბი გლეხების დაუყოვნებლო შეიარაღებაზე, ქართულ არმიის შექმნაზე“, სადაც „აძლევს მთ ხელმძღვანელ მითითებით, ქართველ კომუნისტებს ურჩევს რუსი კომუნისტების ტაქტიკას ეს არ მიბაძონ, არამედ, ადგილო-

ბრივი პირობების გათვალისწინებით, საყურადღებო ტაქტიკა გამოიმუშაონ“⁴. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში (1922—1924), მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, ლენინს აკ გამოარჩენა ზემოკავკასიის პირველი რევოლუციონარული მშენებლობის მდგომარეობა და ამაღლება წერილს „ქართული საკითხის“ შესახებ. მამია ორახელაშვილი აღნიშნავდა: „ლენინის წერილების წაყთვის შემდეგვე ვინ მოსიყვანე, სანამ წერილის ავტორის მიერ შემოთავაზებულ ჩრევა-დარიგებას არ შეგარულებ“.⁵ მ. ორახელაშვილის მეორე წერილი ვკითხულობთ: „ამხ. ლენინი ახლო მონაწილეობას იღებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიური ბედის წინასწარ განსაზღვრაში. ეს მონაწილეობა, როგორც წესი, იყო გადამწყვეტი და მუდამ სასიკეთო“⁶. ამგვარად, იმ ურთიერთობებში, რომელიც, მუშაობა რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებით, ლენინსა და ქართველ მშობელ მასებს შორის XIX საუკუნის ბოლო წლებში დამყარდა, ხოლო შემდეგ თანდათან უფრო განმტკიცდა, ქართველი მუშა და გლეხი ახლო გაუცნო ამ ბუმბერაზი პირობების მოწინავე აზრებს, მის მისწრაფებებს და, მისივე მეთაურობით, ადრევე ჩაება ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველი მუშები, მოსწავლე ახალგაზრდობა და მოწინავე ინტელიგენცია გაბეღულად იბრძოდნენ 1905 წლის რევოლუციის მოსამზადებელი პერიოდში. პოლიტიკური გაფიცვები. შეიარაღებული აჯანყებები თანდათან ფართო გასაქანს იღებდა და ნამდვილ სახალხო რევოლუციად გადაიქცა. ცნობილია, რომ ლენინის მოძღვრების გავრცელებას საქართველოში ხელს უწყობდნენ მისი ერთგული მოწაფენ იოსებ სტალინი და ლადო კეცხოველი. აჯანყებული ხალხი დემონსტრაციებზე მიდიოდა წითელი დროშებით და ლოზუნგებით — „ძირს თეთიმპყრობელობა“, „გაუმარჯოს თავისუფლება“, ხმოვანება მებრძოლი რევოლუციური სიმურჩები, რომლებიც უფრო მეტად აღაფრთოვანებდა და მუიძიროდ აკავშირებდა მშობელი ხალხს. მებრძოლ მუშა და გლეხთა ეს სასიმღერო რეპერტუარი წინ უსწრებდა ქართულ საბჭოთა ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებას. ამავე სიმღერებით შეეგებნენ საქართველოში ოქტომბრის რევოლუციას. თვითონ ლენინი დიდი ყურადღებით და მზრუნველობით ეკიდებოდა ხალხური შემოქმედების ყოველ განშტოებას — ზღაპარს, თქმულეებას, არაყებს, ანდაზებს, ზოსოს და მძალა შეფასებას აძლევდა მათ. განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდა ლენინი ხალხური სასიმღერო შემოქმედებისადმი. მას კარგად ესმოდა სიმღერის მძალური შემოქმედება დამიანის ფსიქიკაზე. თავისუფალ დროს, უფრო სწორად, თავისუფალ საათებში, რაც იშვიათ შემთხვევას წარმოადგენდა მის დაძაბულ და ამობოქრებულ ცხოვრებაში, ლე-

¹ Свердлин С. «Карта Грузии в кабинете Ильича, «Веч. Тбилиси» (16.IV.70. № 5149).
² ივე.
³ რუსეთის რევოლუციის წლებში ემიგრანტი მუშაობდა პარიზის ერთ-ერთ ქარხანაში მუშად.

⁴ სვერდლინი ს., ივე.
⁵ М. Орახелашвили, В. И. Ленин и ЗСФСР. Тб., 1915. стр. 15.
⁶ მ. ორახელაშვილი, ივე, გვ. 3.


ნინს უყვარდა ხალხური სიმღერების მოსმენა. ეს მას ამ-
შვიდებდა, ასვენებდა, შემდგომი მუშაობისათვის ენერჯი-
სა და ხალისს მატებდა. ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი მუსიკალურ
ოჯახში იყო აღზრდილი, რომ მუსიკა მან პატარობიდანვე შეიყვარა და თავის ძმებსა და დებთან
ერთად ხშირად მღეროდა გულხევისა და ლხვირი ცხოვრე-
ბის ამასავლე ხალხურ სიმღერებს — ცარიზმის, მემანუ-
ლეებისა და მეფის მოხელეების წინააღმდეგ მიმართულ
პროლეტარულ, მებრძოლ სიმღერებს. ცნობილია, რომ
ბავშვები ძილის წინ მუსიკას ისმენდნენ და ისე იძინებდ-
ნენ. მუსიკალური რეპერტუარიდან საგულისხმოა ფარ-
თოდ გავრცელებული რუსული ხალხური სიმღერების
კრებული „გუსელიკი“, რომლითაც ხშირად სარგებლობდა
ჟლიანოვების ოჯახი, მაგრამ მას არა მარტო ხალხური
და რევოლუციური ბრძოლის სიმღერები ხიზლავდა. იგი
კლასიკურ მუსიკასაც კარგად იცნობდა, მთელი რიგი
დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა
მას აღულებდა და იტაცებდა. საგულისხმოა, მის შე-
სახებ მოგონებებში ჩამოთვლილი მუსიკალური მასალის
მრავალფეროვნება — ხალხური სიმღერიდან დაწყებუ-
ლი, სიმფონიური და საოპერო ნაწარმოებებით დამთავ-
რებული, რაც აშკარად მოწმობს ლენინის განსაკუთრე-
ბულ სიყვარულს მუსიკისადმი, რაც მან მეგვიდრეობით
მიიღო. ლენინის უფროსი ძმის, დ. ჟლიანოვის ცნობები,
გამოქვეყნებული „მუსიკის სიყვარულის“ სახელწოდე-
ბით, ნათლად წარმოგვიდგენს ოჯახს, რომლის ყოველი
წევრი თავისებურად იყო გატაცებული მუსიკით. ცნო-
ბილია, რომ ვლადიმერ ილიას ძე ბავშვობაში სწავლობ-
და ფორტეპიანოზე დაკვრას, შესანიშნავი სმენა ჰქონ-
და და მუსიკას ადვილად ითვისებდა. რვა წლის იყო, რო-
ცა ის თამამდ უკრავდა პიესებს და მონაწილეობდა უფ-
როსებთან ერთად ოთხი ხელით დაკვრაში, ბავშვთა გუნ-
დებთან ერთად მღეროდა, მათთან ერთად თამაშობდა.

ეს იყო მისი დედის, მარიამ ალექსანდრეს ასულის და-
მსახურება, რომელიც კარგად ფლობდა ფორტეპიანოს,
მუდამ გატაცებით უკრავდა და ნაწარმოებების შინაარსს
შთაგონებით გადმოსცემდა. განსაკუთრებულ ყურადღე-
ბას აქცევდა შვილების მხატვრულ-ესთეტიკურ აღზრდას.
ამიტომ, ბუნებრივია, რომ ბავშვებს უყვარდათ დედის
შესრულებით მოსმენა ხალხური და პროფესიული მუსი-
კისა, დღენიდაც რომ ესმოდა პატარა ვალოდიას თავისი
მუსიკალური მშობლების ოჯახში. ქალაქ არხანგელსკის
გაზეთმა „ნივესტიამ“ 1920 წლის 23 აპრილს გამოაქვე-
ყნა ცნობა ბოლშევიკის (იანისტის) მ. კედროვის წე-
რილი „ლენინი და ბეთოვენი“, სადაც აშკარად მელაენ-
დება ამ ბუმბერაზი ადამიანის უსაზღვრო სიყვარული მუ-
სიკისადმი. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს აგრეთვე ამ-
ხანაგ-მეგობრებისა და მათესავეების მოგონებები და წე-
რილი იმის შესახებ, თუ ადამიანის ცხოვრებაში ხელოვ-
ნებასა და, კერძოდ, მუსიკალურ კულტურას ლენინი რა
დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, და, მიუხედავად სახელმწი-
ფოებრივი საქმეებით, პოლიტიკურ-ეკონომიკური საკით-
ხებით, ფილოსოფიური პრობლემებით დატვირთულობი-
სა, ნახულობდა დროს მუსიკის მოსმენად, რაც დიდ სი-

ამოგნებას გვრიდა და შემდგომი მუშაობისთვის ხალისსა
და ენერჯის მატებდა. საგულისხმოა მ. ს. კედროვის მო-
გონებების წიგნი — „წითელი რევული ილიჩზე“. აქ
იგი ეხება ემიგრაციაში ყოფნისას, შვეიცარიაში გამა-
რთულ საღამოებს, ხშირად ლენინის ოხონიით შესრულე-
ბულ შოპენის, შუბერტის, ბეთოვენის ნაწარმოებებს და
განმარტავს, რომ „ლენინს ბეთოვენის მუსიკა განსაკუ-
თრებით მოსწონდა, უფრო მეტად აკმაყოფილებდა, და
რომ ბეთოვენის შემოქმედება ყველაზე ძლიერი და წმი-
ნდა სინათლით ბრწყინავდა მისთვის“. ამას მოწმობს
თვით ლენინის სიტყვები, ბეთოვენის ერთ-ერთი საფო-
რტეპიანო სონატის (ალბათ, „პათეტიკური“ ან „პასი-

ი. ნიკოლაძე

ვ. ი. ლენინი



ონტა“ — გ. ჩ). მოსმენის შემდეგ წარმოთქმული: „ამა-
ცობ, რომ შენ ხარ აღმიაინი, როდესაც ისმენ რა შექმ-
ნა შექმნა ადამიანის გენისა.“⁷ საყურადღებოა მ. კე-
დროვის მეორე ცნობა, რომ ლენინს „შემოლო საათო-
ბით მოესმინა ბეთოვენის სონატები, განსაკუთრებით
„პათეტიკური“ და „აპასიონატა“, უეტერტურები „ეგმო-
ნტი“ და „კორიოლანოსი“, აგრეთვე „პერიოდიული სიმ-
ფონია“ — ეს პროგრესულ-დემოკრატიული იდეებით აღ-
სავსე უკვედა ქმნილება. სახლში დაბრუნებისას, —
განავრძობს მ. კედროვი, — ის თავისი ცხოვრების მეგო-
ბარს ნადევდა კონსტანტინეს ასულს აღტაცებით ვლადი-
კარეობდა „ბეთოვენზე“ და თან ურჩევდა: „უსათუოდ
მოსმინო. აქვე უნდა ითქვას, რომ ლენინი უცნაოდ აგ-
რეთვე ბოროდინის, ჩაიკოვსკის, ვენიავსკის, ბახის, მოც-
არტის, ვაგნერის და სხვა კომპოზიტორების შემოქმედე-
ბას, რის შესახებაც ვგებულვით ნ. კ. კრავსკიანა და
მ. გორკის მოგონებებიდან ლენინზე. მაგრამ ლენინი არა
მარტო ისმენდა, არამედ თვითონაც მღეროდა და მღერო-
და ხშირად. მისი ამა დ. ი. ულიანოვი თავის მოგონებაში
გვიყვება, რომ ლენინი თავის უმცროს დასთან, იო-
ლასთან ერთად მოხდენილად ასრულებდა იახიკოვის ორ
სიმღერას — „მოცარტე“ და „ვატიმუჟკარბელი ჩვენნი
ჯზა“, და რომ მასზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა მე-
ორე სიმღერის უფასესელი ხანა: „მაგრამ მხოლოდ სუ-
ლით მძლავრებს გაიტანენ იქ ტალღები!... მედგრად, ძმე-
ბო, ქარბუსს მოაქვს ჩვენი მტკიცე იაქუნება“.

მისივე განდევნებით ლენინი ხშირად ასრულებდა
ვალენტიან აბის ვუნოს ოპერა „ფულსტიდან“ — „ღმე-
როთ, ყოვლად ძლიერო, ომერთო სიყვარულისა“, ხო-
ლო ამ არიდან განსაკუთრებული აღტაცებით მღერო-
და იმ ადგოლს, რომელიც მკვერთად გამოხატავდა მის
მებრძოლ ულისკვეთებას: „იქ უმჯავრო ბრძოლაში, სი-
სხლის წვიმებში, ვფიცავ, ვიყო ყოველთვის პირველ რი-
გებში“. ლენინს მოსწონდა აგრეთვე ა. ს. დარგომიციის
„ქორილი“: აქვე საყდარში გვარს არ ვეწერდნენ გვირგ-
ვინებით და სანთლებით, ჩვენ არც ჰიმნებს გვივალობდ-
ნენ საზეიმოდ აღმადგენის!

ყურადღებოს იქცეის პ. ნ. ლუბეშინსკის შემდეგი ცნო-
ბა: „ამხ. გურგენს... სკამბოდ ძლიერი ბარტონი ჰქონდა...
და როდესაც ის ლამაზად დამარცვლიდა — „ეკლესიაში
არ დაეწერეს გვარი“ (დარგომიციის ბაღდიდან „ქორ-
წილი“—გ. ჩ.), მთელი ბოლშევიკური საოჯახო აუდიტორია
სულგანაბრებით უსმენდა, ხოლო ვლადიმერ ილიას ძე,
საჯარქოსის ზურგზე გადახრილი და მუხლზე ხელუხმეო-
რტყმული, მთელი არსებით იძირებოდა მუსიკაში და,
აღბათ, განიცდიდა რაღაც ღრმა, მხოლოდ მისთვის ცნო-
ბილ განწყობილებას“. თუ როგორ რეაგირებდა ლენინი
მოსმენილ სამუსიკო ნაწარმოებზე, ამის შესახებ ა. ნ.
ლუბეშინსკი გვაწვდის შემდეგ ცნობას: როდესაც პ. ა.
კრასნოვი თავის ვიოლინოზე ხეიმთ გამოსცემდა ჩაიკო-
ვსკის „ბარკაროლას“ სუფთა, შესანიშნავ ბგერებს, დაკ-
ვისის დაბთავრებისას, ვლადიმერ ილიას ძე პირველი უქ-

რავად მქუხარე ტარს და მოითხოვდა გამოვრებას; რაც
არ უნდა ყოფილიყო. საზღვარგარეთის სხვადასხვა ქა-
ლაქში — პარიზში, ვენევაში, ბერნში, ზერენბერგში ოთ-
ხი მუსიკისი — მიხეილ სერგეის ძე კედროვი (პიანის-
ტი), სერგეი ივანეს ძე ვუსევი, ი. დ. რაბაკინი (მოპორე-
ლები), პეტრე ანანიაძე კრასიკოვი (მევიოლინე) და ინე-
სა არმანი (პიანისტი) — ლენინის თანამებრძოლები და
მეგობრები, — თითოეული ცალკე თუ ყველა ერთად, მუ-
სიკალური ნაწარმოებების შესრულებით, დასვენების იშ-
ვით საათებში, ლენინს და მის ახლობლებს დიდსაიოვე-
ნებასა და სიხარულს ანიჭებდნენ. ესენი ყველანი პოლი-
ტიკური მოღვაწენი იყვნენ და ლენინთან ერთად მშობ-
ლიერი მიწა-წყლიდან ღვეწლინი „ყოველდენენ ემგობრის
მწარე პურს“. ეს მაღალი მორალის, მრავალმხრივ განათ-
ლებული ადამიანები მუსიკალურ კულტურას კარგად იც-
ნობდნენ და ყოველ მოსახერხებელ შემთხვევაში ურავ-
დნენ, ეკვავდნენ, ხალისობდნენ და ართობდნენ ლენინს,
რომელიც მუშაობით დაქანცილი ყურადღებით ისმენდა
რომანსებს, საფორტეპიანო და სავიოლინო პიესებს და
დიდსაიოვენებს იღებდა (პეტრუშინსკია). მუსიკის სიყ-
ვარული ლენინს მთელი სიცოცხლის მანძილზე შერჩა.
უკვე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლის
შემდეგ, მ. კედროვთან პირველივე შეხვედრისას, ლე-
ნინს უთქიხავს: „თქვენ თუ ვაგვარძობთ მუსიკაში მეცა-
დინიობას? — ცოტ-ცოტას ვმუშაობ და ისიც დამის პირ-
ველი საათის შემდეგ. — ვისურვებდი თქვენს მოსმენას—
უთქავს ლენინს“. ⁸ ეს მიკვლე, ლაკონიური დიალოგი
პ. კედროვთან ნათეს მვენს ლენინის ტრატეების მაღალ-
მხატვრული პროფესიული მუსიკით, რომლის მრავალ
თვალსაჩინო ნიმუშს იგი ადრევე ეხიარა, მაგრამ მას არა-
ნაკლებ ხიზლავდა ძველი რუსული ტრადიციული და რე-
ვიუტაციური ბრძოლის სიმღერები, რომლისადმი სიყვარ-
ული მისმა მამამ, ფრიად განათლებულმა, პროგრესუ-
ლად მოაზროვნე ადამიანმა ილია ნიკოლოზის ძე ულია-
ნოვმა პატარაობიდანვე ჩაუწერდა. სტუდენტობის წლე-
ბი ილია ულიანოვმა ვაატარა ნიკოლოზ პირველის, ამ ეა-
ნდარამის მეფობის ულისშემუხუთე ატმოსფეროში, რო-
დესაც დაბეჭდვებით, დამონებულ რუსი ემგობრილი ხა-
ლის ბატონაშობის უღელქვეშე გმინავდა. ილია ნიკოლო-
ზის ძეს მთელი სიცოცხლის მანძილზე აწუხებდა და
აფლდებდა გლეხების აუტანელი ტანჯვა-წამება, უსამარ-
თლო ჩაგვრა, რაც კარგად არის ასახული ერთ-ერთ ხალ-
ხურ სიმღერაში — „გლეხაკობა ვარბადა მშობლიური
სოფლიდან, მამის კერას ტოვებდა, ცოლსაც თავს ანებე-
ბდა, მხოლოდ თავისუფლებას ვოლგის გაღმა ეძებდა“. ეს
სიმღერა პატარაობისას ლენინს თავისი მამისა და მისი
მეგობრებისაგან არავითხელ მოუხმენია ფარული შესრუ-
ლებით. როგორც ამაწინავე ინტელიგენციის წარმომად-
გენელი, ი. ნ. ულიანოვი კარგად იყო გაათვითცნობიერე-
ბული მეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველ
ლიტერატურაში. იცნობდა აგრეთვე რუსულ ხალხურ

⁷ Дрейденс. Ленин слушает Бетховена. «Советская музыка», 1963, № 4.

⁸ Кедров И. С. «Из красной тетради об Ильиче. Воспоминания о В. И. Ленине», 1956, т. I.

ბრძოლის სიმღერებს, რომელთა „ხმაშალა“ მღერა მე-
ტად სახიფათო იყო. „მხოლოდ ვიწრო წრეებში ბედავდა
ახალგაზრდობა ვუღო მოეზებინა ლაბარაკით, ემღერა
თავისი აკრძალული სიმღერები რილევისა და სხვათა
ტექსტებზე“.⁹ მიუხედავად ასეთი სიმკაცრისა, ი. ნ. ული-
ანოვი ახერხებდა ქალაქიდან მოშორებით, თავი-ველად
გასასიერებლად ვასელს ღრის ემღერა და თვისი შვი-
ლებისათვის შეესწავლებინა თავისუფლების ამსახველ ხა-
ლხურ ლექსებზე და ავრთვევ ცნობილი დეკაბრისტების
ტექსტებზე აქვრებულო სიმღერები. საინტერესოა რო-
მელ სიმღერებს ასწავლიდა თავის შვილებს ილია ულია-
ნოვი. მართალია, ამის შესახებ არავითარი ცნობა არ არ-
სებობს, მაგრამ ვინაიდან რილევის ტექსტზე ცნობილია
მხოლოდ ერთი სიმღერა „Ревела буря, дождь шумел“
(ერმაკის სიკვდილი),¹⁰ აშკარაა, იმ სიმღერათაგან ერთ-ერ-
თი ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, თუ
გავითვალისწინებთ, რომ ვლადიმერ ილიას ძეს „ერმაკის
სიკვდილი“ თვითონაც შეუტარებდა და, სხვა საბრძო-
ლო სიმღერებთან ერთად, მაღალ შეფასებას აძლევდა
მას.¹¹

მართლაც, ეს სიმღერა ყურადღებას იქცევს რო-
გორკ თავისი ფორმის, სტრუქტურის, რიტმისა და მე-
ლოდიის ორიგინალობით, ისე მუსიკალური გამოხატვე-
ლობის საშუალებათა თავისებურებით. ამის გამო, ზუნე-
ბრივი, ლენინის მიხედვით გონების, მუსიკალურ სმენის,
მხატვრულ გემოვნებას არ გამოუპარებია ეს საბრძო-
ლო ხასიათის პატარა, მაგრამ მეტად შთამბეჭდავი სიმ-
ღერა, რომელიც მას ჯერ კიდევ ბავშვობისას შეჰყარე-
ბოდა, შემდეგ თვითონაც შეუსწავლიდა და არაერთხელ შე-
უსრულებდა.¹² ამგვარად, რევოლუციური ნათლობაც ლე-
ნინმა თავისი შრომების ოჯახში მიიღო. აქვე შეისწავლა
და შეისისლხორცა პროლეტარული იდეოლოგიის მატა-
რებელი სიმღერები. ამათგან აღსანიშნავია რუსული ტრა-
დიციული მუსიკალური შემოქმედების საკმაოდ პოპულარ-
ული და თვალსაჩინო სასიმღერო ნიმუშები — „ტუსა-
ლი“ (ა. პუშკინის ტექსტზე), „ერმაკის სიკვდილი“, (კ-
რილევის მიხედვით) და ორიც ხალხურ ტექსტებზე —
„ღებინუშკა“ და „Нелюдимое наше море“, რომლებში-
ც მთელი სიამოვნებით იყო გამოთქმული გლეხკაცის გუ-
ლისნაღები, მისი ტანჯული აწყობა, ერთი მხრივ, და
მომავლის იმედი, წინააღმდეგობათა გადალახვის მგზნე-
ბარე მოწოდება, მთორე მხრივ.¹³ მათ შორის ლენინზე გან-
საკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ვოლგისპირული
სიმღერა „ღებინუშკა“: „ღებინუშკას“ გარდა, ქალაქ-
გარეთ ვასერინებიდან დაბრუნებული, ხშირად ამხანაგებ-
თან ერთად მღეროდა იმ ღრის ფართოდ გავრცელებულ
სიმღერებს: «Вниз по матушке по Волге», «Мужаки

мне такую обитель!» «Часовой!» «Что, барин, надо!»
და სხვ.¹⁴ დამახასიათებელია, რომ ვადასახლებისა და ემი-
გრაციის ღრის ენევაში, პარიზში, ბრიუსელში ლენინს
შეხვედრდა ამხანგებთან ხშირად დამთავრებულა იმპრო-
ვიზაციული კონცერტები, რომლებზეც სრულდებოდა
რევოლუციური ვუნდური სიმღერები, ზოგჯერ რომან-
სები, კლასიკური ოპერებიდან არიები და უსათუოდ რუ-
სული ხალხური სიმღერები, რომლებშიც ისმოდა პრო-
ტესტი მჩაგვრელების წინააღმდეგ, მათ შორის:
«Ревела буря», «Славное море, священный бай-
кал», «Есть на Волге утес» — ეს მეტად პოპულარული
სიმღერა სტეფანე რაზინზე. ამ სიმღერას უწოდებენ ავრ-
თვე «Утес Стенки Разина».

მაგრამ ლენინს არა მარტო თავისი შრომობიური სიმღე-
რები, არამედ სხვა ხალხების სასიმღერო შემოქმედებაც
მისწონდა. საკმარისია ვაგინენოთ პატარა მწყემსის ბა-
ხაიას მსწრულელებზე თათრული სიმღერები, რომელიც
მისმენაც ლენინს, თურმე, დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

XIX საუკუნის 80-90-იანი წლების საქართველოში,
განსაკუთრებით თბილისში, შეიქმნა ახალი, სოციალის-
ტური პროტესტის ამსახველი სიმღერები, ხოლო პირვე-
ლი რუსული რევოლუციური წინა წლებში ამას მოჰყვა
გაფიცვები, შეიარაღებული აჯანყებები, დემონსტრაციე-
ბი, რომლებშიც მონაწილეობდა, ფაბრიკა-ქარხნების
მუშებთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა კუთხის მო-
წინავე გლეხობა, თანდათან ფართო ვასაქან იღებდა და
უკვე 1905—1907 წლებისათვის მოიცავდა მთელი მხარე-
მასობრივი მოძრაობის ზრდასთან ერთად, უფრო და უფ-
რო ძლიერდებოდა მუშათა და გლეხთა წრეებში, რევო-
ლუციური ლექსებისა და სიმღერების მოთხოვნილება.
პირველ ხანებში, ვიდრე შეიქმნებოდა ორიგინალური ქა-
რთული ლექს-სიმღერები, დაიწყო თანდათან რუსეთი-
დან საქართველოში შემოსვლა საბრძოლო სულისკვეთე-
ბით გამსჭვალულმა მომწოდებლური ხასიათის სიმღე-
რებმა, მათ შორის ქართული მუშებისათვის კარგად ცნო-
ბილმა „მეგობრებო, მწყობრად!“, „ზურგე ვაკციეთ ძველ
ადათ-წყებს“, „თქვენ მსხვრებლად დაეციეთ“, „ჩვენ
ვართ მქედლები“, „კომუნარების მარში“, „შეო, ამო-
ლა, ნათელი“. ახალგაზრდა რუსი პროლეტარიატი ამ
სიმღერებით გაბედულად შეეგება 1905 წლის რევოლუ-
ციას, ამავე სიმღერებით საქართველოს წლებში, მოწინა-
ნავე ინტელიგენციას და ახალგაზრდობის წარმომადგენ-
ლები გამოდიოდნენ მიტინგებზე, დემონსტრაციებზე, გა-
ფიცვებზე. ამათგან პირველი ოხი სიმღერა, მაღვ რომ
მრავალი ქვეყნისა და მათ შორის საქართველოს პროლე-
ტარიატის ნამდვილ ჰიმნებად იქცა, ლენინის საყვარელ
ნაწარმოებებს წარმოადგენდნენ. საუკლისხმოა, რომ ლე-
ნინი ამ სიმღერებს ვადასახლებაშიც არ ივიწყებდა.¹⁵

⁹ „ნათესაების მოგონებები ვ. ი. ლენინზე“, სახელგამი, 1957, წ.
გვ. 8.
¹⁰ Русская народная песня. Составитель С. Богусловский,
И. Шимов. М., 1936, стр. 136.
¹¹ იქვე, გვ. 136.
¹² იქვე, გვ. 136.
¹³ იქვე, გვ. 136.

¹⁵ უფრ. «Смена» 1946, № 16, გვ. 4.
¹⁴ ეს სიმღერები მუსიკალურ კრებულში «Любимые песни
Ильича», изд. «Советская Россия», 1960.

ბევრი განცდილი, მღელვარე, ღრმად ემოციური და რევოლუციური პათოსით აზებულებული სიმღერა შეიქმნა მეფის რუსეთის საპატრიარქოსა და კატორღაში. მათ შორის ყურადღებას იქცევს პოლიტური რევოლუციური სიმღერა „ვარშავულა“. ძველმა ბოლშევიკმა, „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირისა ერთ-ერთმა წევრმა, გამოჩინებულმა საბჭოთა მეცნიერმა აკადემიკოსმა გ. კრეკოვსკიმ ბუტურისკის ციხეში რუსული ტექსტი შეუწყო „ვარშავულას“, რის შემდეგაც ჯერ რუსეთში, ხოლო შემდეგ საქართველოში ეს სიმღერა სწრაფად გავრცელდა. ბუტურისკის საგუშაგო კომში დაბადებული „ვარშავულა“ კლასთა ბრძოლის შეუ-რაგებლობის, რუსი რევოლუციონერების — ბოლშევიკების შეუღრეკელი ნებისყოფის სიმღერა გახდა. მიჩნეულია, რომ, „მარსელიეზსთან“ ერთად, „ვარშავულამ“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც რუსი, ისე ქართველი ხალხის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში. ეს სიმღერა განსაკუთრებით უყვარდა ლენინსაც. ამის შესახებ ჟურ. „სმენა“ ვაუწყებს — „ციმბირში გადასახლებულში ვ. ი. ლენინი მღინარე ენისეის ნაბირებზე, სხვა გადასახლებულებთან ერთად, ხშირად მღეროდა „ვარშავულას“. არსებობს მეტად საკულისხმო ცნობები, რომ პაროზი ყოფინას ლენინი დიდ ინტერესს იჩენდა აგრეთვე ადგილობრივი მუშების სიმღერებისადმი და ხალხისათვის დადიოდა ყვანახანებსა და გარეუბნის თეატრებში რევოლუციურად განწყობილი ფრანგი მომღერლების მოსასმენად, ანდა მუშათა უბნებში, სადაც მღეროდნენ ყველაფერზე, განსაკუთრებით დემოკრატიულ თემებზე, იმაზე, თუ შექვიანებული გლეხები როგორ ირჩევენ დემუტატა პალატაში ავიტატორებს. მღეროდნენ ბავშვის აღზრდაზეც, უმუშევრობაზეც, მკაცრად აკრიტიკებდნენ ბურჟუაზიულ დემოკრატისა და ცხოვრების ყოფით მხარეებს. ნ. კ. კრუსკაიას გადმოცემით ლენინს განსაკუთრებით მოსწონდა პარიზის განაპირა უბნების საყვარელი პოეტი და მომღერალი, კომუნარის შვილი მონტეპიუსი, რომლის სიმღერები ყოველთვის მკაფიოდ გამოირჩეოდა ყოფაცხოვრებითი ელფერი. ლენინი გატაცებით მღეროდა მის „მისალმებას მე-17 პოლკისადმი“, რომელმაც უარი განაცხადა ესროლა გაფიცული მუშებისათვის — „სალამი, სალამი, თქვენ, მე-17 პოლკის ჯარისკაცო“. ლენინი მოუხერხებლად რუსულ საღამო-წყვეთლებზე მონტეპიუსის გაცნობა და საუბარი მასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეორე ფრანგული, ელზასური სიმღერა, ფრანგი დამლაგებელი ქალისაგან მოსმენილი. ამ პატრიოტულ სიმღერას ლენინზე დიდი შთაბეჭდილება მოუტანდა და დასომეხია მისი მელოდიაც და ტექსტიც. აქ აუცილებელია გავიხსენოთ ნ. კ. კრუსკაიას პასუხები ტვიინის ინსტრუქტის ანკეტაზე, რომელიც მან 1935 წელს გასცა. ეს წარმოადგენს საყურადღებო მასალას, საიდანაც ირკვევა ლენინის დამოკიდებულება ხელოვნებისადმი, კერძოდ მუსიკისადმი. ასეთია ნ. კ. კრუსკაიას ლაქონიური პასუხები:

„...იყო მუსიკალური, კარგი მუსიკალური სმენა ჰქონდა. იმასლოგრებდა კარგად, მაგრამ არც ძალიან სწრაფად. ყველაზე მეტად უყვარდა ვიოლინი. უყვარდა პიანინო... უყვარდა დამღერებდა და სტენდა...“

„...ხმა ჰქონდა ძლიერი, მაგრამ არა მყვირალა, მკერდისმიერი. ბარიტონით მღეროდა. რეპერტუარი: «Нас венчали не в церкви», «Я Вас люблю, люблю безмерно», «Замучен в тяжелой неволе», «Варшавянка», «Вставай, подымаясь рабочий народ», «Смело, товарищи в ногу», «День настал, веселый мая», «Беснуйтесь тираны...“

„ყველაზე მეტად ოპერა უყვარდა.“
„უყვარდა სონატა „მათეტიკური“ და „აპასიონატა.“
უყვარდა ტორეადორის მღერა, ხალხისთ დადიოდა პარიზის კონცერტებზე. მაგრამ ყოველივე ეს ცოტა იყო ჩვენი ცხოვრებაში...“

აქ გადმოცემულია ნათელი სურათი ლენინის განსაკუთრებული სიყვარულისა მუსიკისადმი და ასე იყო ბელადის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. ამას კიდევ უფრო განამტკიცებს 1923 წელს გორკში ლენინის ცხოვრების შესახებ კვლავ ნ. კ. კრუსკაიას მოგონებები. „...იღისობიან დაიწყო გამოკანმრთელება. და, ამასთან დაკავშირებით, განწყობებდა მთლიანად შეიცვალა ვლადიმერ ილიას ძე ხუმრობდა, იციონდა, ზოგჯერ კიდევაც დაამღერებდა ხოლმე „ინტერნაციონალს“, «Червонь Штандар», «В долине Дагестана».

ლენინი და მართლმადიდებელი სიმღერა

ამდენად, ცხადი ხდება, რომ „მეჯერაბობის“ არ დაუწყია საბჭოური ფილმების ექსპორ-

ტი — მან მხოლოდ სისტემატორეზიზმის მისცა ამ საქმიანობას, რითაც უდავოდ კინო-ლუმილიური როლი ითამაშა მთელი ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის ფართო და თვალსაჩინო პრობაგანდის საქმეში.

თემატური თვალსაზრისით აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ ვ. ი. ლენინს ეკუთვნის იმის ინიციატივაც, რომ სამამულო კინომრეწველობის ფეხზე დასაყენებლად გამოგვეყენებინა ისეთი ფორმაც, როგორცაა უცხოური კაბინეტის მიზიდვა. ამ მხრეებზე დასაყურადღებო მასალები შემორჩა უცხოეთის სხვადასხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ვ. ი. ლენინის პირად ურთიერთობასა და მიმოწერაზე.

„ლენინი ზრუნავდა საბჭოთა კინოს განვითარებაზე. — იგონებდა შემდეგში ამერიკელი იურისტი ჩარლზ რებენი. — მას სურდა მიეღო ამერიკელთა დახმარება კინომრეწველობის აღჭურვილობისა და რეკონსტრუქციისათვის, სამაგიეროდ, თანახმა იყო კონცესიაზე — პოლიფის აღმდეგდა საბჭოთა რუსეთში ფილმების გადაღების ნებართვას... საოცარია, რომ იმ დროს, როცა რუსეთის მთელი ეკონომიკა დანგრეული იყო, ლენინი უკვე კინოს განვითარებაზე ფიქრობდა.“

საბჭოთა მხატვრული კინო თანდათან მტკიცდებოდა და ვაჟკაცდებოდა. პრიმტიულ ავტოკესსა და ფსევდორეველუციურ ღრამებს შორის თანდათან გამოჩნდა ისეთი ფილმებიც, რომლებიც მხოლოდ თემატური აქტუალობით როდი იმსახურებდნენ ცხოველ საზოგადოებრივ ინტერესს. აღსანიშნავია, რომ სამამულო კინოს ერთ-ერთი პირველი ნიმუში ამ მხრივ განსაკუთრებით გამოჰყო ვლადიმერ ილიას ძემ და სამაგალითო შეფასება მისცა. ეს მით უფრო საკულისხმოა, რომ ფილმი, რომელიც ვ. ი. ლენინს მიეწონა, თემატურად თანამედროვე კი არა, რეველუციურ პერიოდს განეკუთვნებოდა — მხედველობაში გვაქვს ალ. პანტელეევის ანტირელიგიური კომედია „სასწაულო მოქმედი“, რაც შეეხება ალ. რაზუმნის ფილმს „პრიგადის მეთაური ივანოვი“ — იგი თანამედროვე თემაზე იყო, მაგრამ ვ. ი. ლენინმა დაიწუნა. ნ. კ. კრუჟსკაიას აზრით, ეს იმიტომ მოხდა, რომ ვლადიმერ ილიას ძის შეფასებით, პირველ ფილმში ანტირელიგიურ პრობაგანდას კლასობრივი ხასიათი აქვს, მეორეში კი — შემთხვევითი. მართლაც და, თუ გავიხსენებთ ამ ფილმებს, დავრწმუნდებით ამ ორივე სიტყვით რაოდენ ღრმად და რეალურად შეაფასა ვ. ი. ლენინმა ალ. პანტე-

ლევინს და ალ. რაზუმინს ფილმები. „სასწაულომოქმედი“ გასულ საუკუნის უცბა, მაგრამ იგი გაცილებით თანამედროვეა თანისი ქვეყნადობით, მასალის გააზრებით, იდეური მახვილების სწორი და ზუსტი დასმით.

ცხადია, კიდევ და კიდევ შეიძლება დასხვადასხვა ფაქტებისა და მავალითების მოტანა იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ იყო დაინტერესებული ვ. ი. ლენინი საბჭოური კინემატოგრაფის მშენებლობის საკითხებით საყოველთაო სტატიის მოცულობა რომ არ ვგზულავდეთ, მაგრამ, ვფიქრობთ, უკვე ისედაც ნათელია ისტორიული სინამდვილე საბჭოური კინემატოგრაფის აღმოცენებისა და განვითარებისა, სინამდვილე, რომლის გვერდის ავლა არ შეიძლება.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი საზღვარგარეთელი კინომოყვანილნი, ამაყარა ტენდენციურობის გამო, ისეთ დასკვნებს აკეთებენ, რაც ძალზე შორს დგას როგორც ისტორიული სინამდვილისაგან, ისე ელემენტარული ლოგიკისაგან. 1946 წელს ლონდონში გამოვიდა სემიურ სტერნის წიგნი დ. გრიფიტის ფილმ „შეუწყნარებლობაზე“, რომელშიც, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თითქოს სწორედ დ. გრიფიტის ამ ფილმმა დაუღო საფუძველი... საბჭოთა კინოს, რომ თითქოს „შეუწყნარებლობა“ იყო საბჭოთა კინოს როგორც ფინანსური, ისე ესთეტიური და ტექნიკური ბაზა, რომ თითქოს საბჭოთა კინოსათვის იგი ისეთივე სიძლიერის შემოქმედებით-შთანთავონებელ და იდეოლოგიურ წყაროდ იქცა, როგორც მარქსის „კაპიტალი“ ოქტომბრის რევოლუციისათვის, რომ თითქოს ვ. ი. ლენინმა სწორედ ან ფილმის ნახვის შემდეგ განაცხადა — „კინო არის და უნდა იქცეს პროლეტარული კულტურის უმძლავრეს იარაღად“ (?) და ა. შ.

დ. გრიფიტის დაგუნანს როგორც საბჭოთა, ისე მთელ მსოფლიო კინოზე არავინ ათავსებს არ უარყოფდა, მათ შორის თვით სერგეი ეიზენშტეინიც, რომელიც დ. გრიფიტს, გამოჩენილ ამერიკელ რეჟისორს, „მონტაჟის ჯადოქარს“ უწოდებდა, მაგრამ რომელ იდეურ-თემატურ გაგუნანზე შეიძლება საუბარი? ეს ხომ საერთოდ ისტორიისა და კერძოდ, კინოსტორიის ელემენტარული გაუგებრობაა. დ. გრიფიტის შემოქმედება ხომ საინტერესო იყო არა იდეურ-თემატური, არამედ წმინდა პროფესიულ-ტექნიკური თვალსაზრისით, იმ დეწლით,

რომელიც დ. გრიფიტს ეკუთვნის, როგორც დამოუკიდებელი ხელოვნების, სპეციფიურ-გამომსახველობით (საშუალებათა სიღვიძა და დამკვიდრების საქმეში).

მაგრამ ჩვენმა იდეოლოგიურმა მტრებმა დასავლეთში თავდაპირველად ვაივაცელეს ხმა, თითქოს ვ. ი. ლენინმა ნახა დ. გრიფიტის ფილმი „შეუწყნარებლობა“ და მოიწონა. ასეც რომ ყოფილიყო, არც არავფერი იქნებოდა გასაკვირი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ვ. ი. ლენინს საერთოდ არ უნახავს დ. გრიფიტის „შედევრი“. „ინფორმაცია“, თითქოს ვ. ი. ლენინმა ნახა და მოიწონა „შეუწყნარებლობა“, მხოლოდ მორიგი ყურნალისტური სენსაციისათვის როდი გამოიყენეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის აპოლოგეტებმა. ეს იყო შორს გამიზნული პოლიტიკური ფანდი იმ მტკიცე, პარტიული სულისკვეთებით შედუღებული ფუნდამენტის შესარყევად, რომელსაც საიმედოდ დაეყრდნო თანისი აღმოკენებისა და განვითარების დღევანდელი მალალიდური და მალალმხატვრული საბჭოური კინემატოგრაფია.

ნიშნდობლივია, რომ ზემოთხსენებული ფაქტის შემდეგ დასავლეთშივე შეითხზა ლეგენდა, რომ თითქოს ვ. ი. ლენინი დ. გრიფიტს საბჭოთა კინემატოგრაფის ხელმძღვანელად იწვევდა.

როგორც ვხედავთ, ერთი გამოკონილი ფაქტის შემდეგ ჯერ ლეგენდა შეითხზა, მერე კი ლონდონში გამოიყენა წიგნი, რომლის ავტორმა ს. სტერნმა კალმის ერთი მოსმით გადახაზა მთელი ისტორიული სინამდვილე — აი, სანამდე შეიძლება მივიყვანოს ამაყარა ტენდენციურობამ.

იმ მიღღარი ფაქტობრივი მასალის გაანალიზებით, რომლის მხოლოდ ნაწილი წარმოვადგინეთ წინამდებარე სტატიაში, რათქმა უნდა, ცხადი ხდება, რომ საბჭოური კინოს სათავეებთან სწორედ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი დგას მთელი თავისი, უარესად გადამწყვეტი მნიშვნელობის, იდეურ-მარგანიზებელი და პრაქტიკული მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით.

ქართული დრამატურგია ბელორუსიის სცენაზე

გიორგი ვოლჩოკი

ჩმინი ხალხების მეგობრობა, მიზანთა და ყოველ დღიურ ამოცანათა ერთობლიობა, ჩვენი სულიერი კავშირი თანდათან ფართოვდება, ღრმავდება და მუდმივ, სისტემატიურ ხასიათს იძენს. ჩვენი რესპუბლიკების წარმომადგენელთა მონაწილეობით ეწყობა თეატრალური კონფერენციები და სიმპოზიუმები, ქვეყნდება ლიტერატურული და, კერძოდ, დრამატული ნაწარმოებები, ცალკეულ შემსრულებელთა და მთელი თეატრალური კოლექტივების გასტროლები, ფილმების გაცვლა-გამოცვლა და სხვა. ერთი სიტყვით, ჩვენი რესპუბლიკების კულტურული, სულიერი კავშირი ყოველდღიურ მოვლენად იქცა.

დიდ მკაყოფილებას გვანიჭებს ის ამბავი, რომ ქართული თეატრის სცენაზე სულ უფრო ხშირად იდგმება ბელორუსული დრამატურგების ნაწარმოებები. ჩვენი თეატრალური კოლექტივები, თავის მხრივ, სულ უფრო ხშირად მიმართავენ მდიდარ ქართულ დრამატურგიას.

დროის მიხედვით ეს პროცესი შეიძლება ორ ეტაპად დაიყოს. პირველი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ვაცნობის ეტაპია. იდგმებოდა ქართულ დრამატურგთა ის ნაწარმოებები, რომლებიც საერთაშორისო თემებს ეხებოდნენ. ეს ეტაპი გრძელდება 50-იანი წლებიდან 60-იან წლების დამდეგამდე. ეს არის პერიოდი, როცა ბელორუსიის სცენა ფართოდ ითვისებს ქართულ დრამატურგის მთელი მისი თემატიკა, ენარობრივი, სტილური და ეროვნული თავისებურებებით.

მაგრამ იყო კიდევ ეგერთოდუმელი თავისებური დახვედრებით ეტაპი. 1949 წელს ქ. ვიტებსკის ი. კოლასის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე, რომელიც მნიშვნელობით რესპუბლიკის მეორე

თეატრალური კოლექტივია, დაიდგა ბელორუსი დრამატურგების კ. გუბარევიჩისა და ი. დორსკის პიესა „ალაზნის ველი“. მითხველი რომ შეცდომაში არ შევიყვანოთ, წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოქმედება საქართველოში, მდ. ალაზნის ველზე კი არ მიმდინარეობს, არამედ ბელორუსიის ტყეების მიდამოებში და მოქმედნი პირნი ბელორუსი კოლმეურნეები არიან. მაგრამ მათ შორის ცხოვრობს ქართველი ჭაბუკი შოთა აგულიაშვილი, წარსულში ტანკისტი, რომელიც ადგილობრივმა მცხოვრებმა დიდი სამამულო ომის დროს გადაარჩინეს ისევე, როგორც მისი ეკიპაჟის წევრი უკრაინელი ოსტაპი. გამოჯანსაღებული შოთა საცხოვრებლად რჩება ბელორუსიაში — გულია, კეთილ, ჭირისა და ღვინის გამზიარებელ ბელორუს გლეხებს შორის. პოლესიეს კოლმეურნეობას არქმევენ „ალაზნის ველ“. ეს კოლმეურნეობა, რომელიც ნანგრევებიდან და ნაცირბან ადგილებს და ახალი ბაღებით, ნარგავებითა და ნაგებობებით დამშვენდება, რასაც ბედნიერება და სიხარული მოაქვს მშრომელი ხალხისათვის, აღორძინებული საბჭოთა ქვეყნის სიმბოლო ხდება.

შოთა გულიაშვილი და მისი მოხუცი მამა, რომელიც შორეული ალაზნის ველიდან შვილის ქორწილში ჩამოვიდა, ქართველი ხალხის პირველი წარმომადგენლები არ არიან ბელორუსიის თეატრის სცენაზე. ჭერ კიდევ ომამდე ჩვენი მკურნებელი შეხვდა ქართველ ვეჟაკებს. მძებნი ტურებისა და შეინინის პიესის „გენერალური კონსულს“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟია წითელი არმიის ოცულები მეათური, თავმდაბალი, მამაკი ვეჟაკი ვასო გოგოძე. ეს პიესა რესპუბლიკის რამდენიმე თეატრში დაიდგა და საქამო პოპულარობაც მოიპოვა.



სცენა სპექტაკლიდან „ოქტომბერი“

კ. სიმონოვის პიესაში „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან“ ბელორუსი მკურებელი შეხვდა მეორე ტანკისტ გულიაშვილს, სერგეი ლუკონინის ამხანაგს. სპექტაკლ „ფრონტში“, რომელიც რესპუბლიკის ორივე წამყვანმა თეატრმა დადგა, სანაგარში ბაშოკოვთან, უკრაინულ ოსტაპენკოსთან, ყაზახ შაიმეტოვთან ერთად ვხედავთ ქართველ გამელაურსაც. ისინი წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიან, შედუღებულ ოჯახს, რომლის ურყევი მთლიანობა სამამულო ომის მძიმე ბრძოლებში დადასტურდა. 1940 წელს როგორც ბელორუსი, ასევე მოსკოველი მკურებელი ბელორუსის რუსული თეატრის სცენაზე (შემდეგ ამ თეატრს კოლასის სახელი ეწოდა) ბელორუსი მწერლის პ. გლეხკას პიესაში შეხვდნენ სერგო ორჟონიკის. მის როლს ასრულებდა ნ. ზეხვდოჩენტოვი. ამ როლის შესრულება აღინიშნა, როგორც ბელორუსის თეატრალური ხელოვნების არტისტულ და საერთოთეატრალურ მიღწევად.

მაგრამ სანამ ბელორუსის სცენაზე გამოჩნდებოდნენ ქართველ დრამატურგთა შთაგონებითა და ფანტაზიით შექმნილი გმირები, მრავალი წელი გაივლიდა.

1952 წელს ბელორუსის ი. კუპალს სახელობის თეატრის სცენაზე (თეატრი უკვე მინსკში იყო გადმოსული) დაიდგა მ. ჰიაურელის „ოქტომბერი“. ეს იყო დიდი მოკლენა ჩვენი ქვეყნის თეატრალურ ცხოვრებაში. მ. ჰიაურელის პიესას, რომელიც მან დრამატურგ მ. ბოლშინცევის თანავტორობით შექმნა, საფუძვლად დაედო დიდი ისტორიული მნიშვნელობის ამბავი. მოქმედება იწყება 1917 წლის აპრილის თვეში, როცა პეტერბურგში დაბრუნდა ლენინი და მთავრდება კრეისერ „ავრორას“ ზარბაზნების ქუხილით, რამაც მსოფლიოს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება აუწყა. სპექტაკლი „ოქტომბერი“, როგორც მამინდელი პრესა აღნიშნავს,

ამ პერიოდის სხვა სპექტაკლების ფონზე გამოირჩეოდა შესაძლებელი ანსამბლურობით, მკვეთრი რეჟისორული ჩანაფიქრით და ამ ჩანაფიქრის აქტიორული რეალიზაციით. მოქმედების ცენტრში დგას ოქტომბრის რევოლუციის დიდი ბელადი — ლენინი.

ლენინის სახე ამ სპექტაკლში შექმნა ბელორუსის სცენის გამოჩენილმა ოსტატმა პ. მოლჩანოვმა. პ. მოლჩანოვს უკვე ჰქონდა გამოცდილება ბელადის სახეზე მუშაობისა, მანამდე მან თამაშა ლენინის როლი ი. კოლასის სახელობის თეატრის სპექტაკლში „თოფიანი კაცი“ (1938 წ.), „კრემლის კურანტებში“ (1940-1945 წწ.), „დაუეციყარ 1919-ში“ (1949 წ.) და ამავე სახელწოდების ფილმში (1951 წ.).

ახალ სპექტაკლში მსახიობმა კიდევ უფრო გააღრმავა თავისი ადრინდელი მიღწევები, ბელადის სახე ახალი ნიშან-თვისებებით გაამდიდრა. მან შესანიშნავად წარმოვიდგინა ლენინ-ბრძოლენი, განსაკუთრებით ფინეთის ევგლის სცენაში, სადაც ლენინი ჯავშნოსან მატარებელზე დგას, ბოლშევიკური პარტიის მიზნებზე ლაპარაკობს და ამბობს ლოზუნგს: „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“

დიდი შთაგონებით გადმოსცემდა მსახიობი ლენინის რევოლუციურ მგზნებარებას, მის ოპტიმისტურ რწმენას, რომ რევოლუციისა და სოციალისტური იდეების გამარჯვება გარდუვალია, მის ენერგიულ მიზანსწრაფვას, „მსახიობის გამოსვლები დატვირთული იყო დიდი მიზანსცენებით და პათეტიკური აღმაფრენით. აქ ხვდებით ლენინის ფიზიკური და სულიერი თვისებების სრულ შერწყმას“, წერდა რესპუბლიკური გაზეთი „ლიტერატურა ი მისტეტეკო“.

სპექტაკლი „ოქტომბერი“ გამოირჩეოდა მაღალი რეჟისორული კულტურითა და სანაქებო აქტიორული ოსტატობით. ტყუილად როდი უწოდებდნენ ამ სპექტაკლს



თეატრალური კრიტიკოსები „ახალ ეტაპს კოლექტივის შემოქმედებით ცხოვრებში“ და ბელორუსის თეატრალური ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენას“. ხოლო თუ იმისაც გავითვალისწინებთ, რომ ბელორუსიის ი. კუპალას სახელობის თეატრმა პირველად განახორციელა ამ სპექტაკლის დადგმა საბჭოთა კავშირში და თავისი მაღალმატერული დონით ერთგვარად ხელი შეუწყო მის ვადატანას სხვა თეატრების სცენაზე, მაშინ ამ სპექტაკლის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა.

ამ პერიოდშივე მოვიდეთვის სასალოე თეატრში დაიდგა მეორე ქართული დრამატურგის გ. მდიუნის პიესა „ტერეზას დაბადების დღე“. სპექტაკლი 1962 წელს დაიდგა ამ თეატრის მთავარმა რეჟისორმა ა. ოსანინმა. რეჟისორი დაინტერესდა ამ პიესის ინტერნაციონალური თემატიკით. ნაწარმოები იმ დროს დაიწერა, როცა კუბის რევოლუცია ისის იყო გამარჯვებით დაკვირვდნა. მართალია, პიესას თითქოს უმნიშვნელო ამბავი, ტერეზას დაბადების დღე დაელო საფუძვლად, მაგრამ რეჟისორმა სპექტაკლში შეიძინა რევოლუციური ეპოქის რომანტიკა და ამან წარმოდგენას მასშტაბურობა და სიდიადე შესძინა. მოქმედების განვითარებას ამხაფრდა პროლოგი, რომლის ემოციური ტონალობა ბოლომდე გასდევდა სპექტაკლს და ამიტომ იგი პლავატურ-პუბლიცისტურიც იყო და ემოციურად დატვირთულიც. მსახიობები რეაგირა დრამატურგიული მასალის სახლემ, უცნობმა, მაგრამ სულიერად მახლობელმა სახეებმა და კუბაში მომხდარი ამბების დამაჯერებლად გადმოცემა. ყველაფერი ეს სპექტაკლს სახეიშო ელფერს ანიჭებდა. ამიტომ ფინალში, როცა სცენაზე მეტრე ხნით ჩნდებოდა ფიდელ კასტრო ცის როლსაც ხმის ინტონაციის, ყუსტებისა და გრიმის წყალობით შესანიშნავად ასრულებდა სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი და მოქმედი პირნი მღეროდნენ ყოველი ჩვენთაგანისათვის ნაცნობ კუბის რევოლუციურ ჰიმნს, ერთი სულისკვეთებით გაქვლითილი მაყურებლები ფეხზე დგებოდნენ, მსახიობებს აყვეებოდნენ და დიდხანს უჩრავდნენ ტაშს.

ბელორუსიის სცენის მიერ ქართული დრამატურგიის ათვისების მეორე თენამედროვე ეტაპი დაიწყო 1965 წელს, როცა ი. კუპალას სახელობის დრამატულმა თეატრმა დადგა ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის პიესა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. სპექტაკლი დადგა ლენინგრადელმა რეჟისორმა რ. ავაშირზიანმა. ეს სპექტაკლი 60-იანი წლების ბელორუსიის თეატრალური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა.

თვით ინსცენირება, რომელიც დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს მოიცავს, დაწერილია ფრაგმენტურად. ეს არის მთავარი გმირის, ზურაბის წყვეტილი მონოლოგი საკუთარ ცხოვრებაზე. ამ დრამატურგიული მოთხრობის თავისებურება ისაა, რომ მასში თითქმის არ ვგვხვდება კონფლიქტები. თუმცა, რამ უნდა წარმოშვას კონფლიქტები, როცა ნაწარმოებში არ ვგვხვდებიან უარყოფითი პერსონაჟები, რომელთაც უნდა დაპირისპირებოდა მთავარი გმირი. უარყოფით პერსონაჟთა რიცხვს ვერაფრით ვერ მივაყოთუნებთ ვერც მუდამ მთვრალ ექიმს, ვერც ავრენილ მგზავრს და ვერც დაუდევარ მორაფეებს. პიესის ავტორები არავითარ გამოცხადების არ უშეგებენ და ყველა გმირის მიმართ გულკეთილად, სიმპათიურად

არიან განწყობილინი. ტექსტში პარადაა წმინდა კრეფილი იუმორი. ამ მხრივ, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ უაღრესად ეროვნული ნაწარმოებია და ეს თავისებურებანი მეტისმეტად ანდენლებენ პიესის დადგმას.

მთელი სპექტაკლი გამსჭვალულია ქართული ეროვნული კოლორითა. სპექტაკლში ყლდის გ. გოგლიძის მშვენიერი ქართული მუსიკა, სცენაზე ხედავით ოდნავ სტილიზირებულ ვაკეასიურ პეიზაჟებს, მსახიობებს აცვივით შესანიშნავი ქართული კოსტუმები, სივრცე შევსებულია ღარბით, მაგრამ ზუსტი ატრიბუტებით, სწორედ ისეთი ატრიბუტებით, როგორსაც ომისდროინდელი ცხოვრება მოითხოვს. მხატვარმა ა. გრაგორიანცმა გამომხატველ საშუალებათა ძალზე რეალური ფორმა აირჩია. სცენოგრაფიის ძირითად ელემენტს წარმოადგენს თვალწარმატაცი სურათები, შესრულებული ოდნავ ბუნდოვანი პასტელური მანერით. მაყურებელი სცენაზე ხან მთის პეიზაჟს ხედავს, ხან თბილისის ყველაზე დამახასიათებელი პანორამის ფრაგმენტებს, ხან რომელიმე სხვა გეოგრაფიულ წერტილს. ეროვნული კოლორიტის ყველა ამ ელემენტს ერთ მხატვრულ ნაწარმოებად კრავდა მსახიობთა ჩინებული თამაში, პერსონაჟთა ქეშმარიტად ქართული ქცევა. მოქმედი პირნი არ ცდლობდნენ ლაპარაკის ქართული მანერისათვის მიებაძით. სამაგეროდ, როგორც უწყყინარი ხმაური ატყვდება, სანამ მგზავ

სცენა სპექტაკლიდან - ნუ გეშინია, დედა!





ერები ვაგონში დალაგდებიან. ქართულ კოლორიტს ცხოვრების აწეული ემოციური ტონუსი ქმნის. რა საოცრად, რა ორგანულად გადადის ყოველი დედა, ანდა დავისმავარი ფიცი ლაპარაკი სიმღერაში. ესეც ქართული კოლორია. ქართული ხასიათისთვისევა დამახასიათებელი აგრეთვე ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო საბაბით პათეტიკური სადღეგრძელოების წარმოქმნა. მაგრამ დრამატურული ნაწარმოების ქართული თავისებურებანი ფაქობად ერწყმის ადამიანის ქცევის ბელორუსულ ეროვნულ თვისებებს. ამის შედეგად იქმნება გმირთა ხასიათების უაღრესად საინტერესო შედეგობები. ვაგონებში თუნდაც ერთი, არც ისე მნიშვნელოვანი სცენა — ილარიონისა და ზურციკის ნადირობა. ისინი ხელცაბილინი ბრუნდებიან ნადირობიდან, მეტრისმეტად დალილინი დასასვენებლად კუნძუზე ჩამოვდებიან, სახელდახლო სუფრას გაშლიან და თურქულად ფემბრონბმული მიუსხდებიან. ზურციკი ამას ბიჭურად, სხარტად აცეთებს, ამ რიტუალის შესრულება გაცილებით უფრო უჭირს ბერიაკს. მაგრამ მის მოძრაობაში იმდენი სიმსუბუქე იგრძნობა, თითქოს მთელი სიცოცხლე მხოლოდ თურქულად ფემბრონბმული მჭდარიცის ილარიონი სადღეგრძელოს წარმოქმავს, ჭიქას დაიცლის და მონარჩენს ვაგზე ისე გადასახას (თუმცა სად იყო მონარჩენი), როგორც ამას ბელორუსი აცეთებს, იგი თავისთვის ბუტბუტებს რაიცას. დაცლის მეორე ჭიქას და იგივე მეორდება, კვლავ გადაღვრის მონარჩენს, კვლავ ბუტბუტებს. მერე რაღაცნაირად მკაცრად გაიქნევის თავს. რა ნაცნობია ნაჯაფი და ნატანტი ბელორუსი გლეხის ეს თავის გაქნევა და ბუტბუტი. ამ დროს მას რაღაც მეტრისმეტად პირადი ახსენდება, რაც, ცხადია, სისხარულს მოკლებულია. ლეონმოკიდებული, მაგრამ ჯერ კიდევ ყოჩაღი ილარიონი ძაღლს მოუხმობს და საინდიონი დაბარავს ვაგუბას, ერთსა და იმავე დროს ემადლიერება კიდევ და საყვედურსაც ეუბნება. ძალი მართლაც დამანავესავით წყმტუტუნებს, პატრონს პასუსს არ სთვს. ილარიონს სწყინს მისი უტყვეობა. ბოლოს გადაფურთხებდა, ხელს ჩაიჭნევს და ზურჯს შეაჭიკვს. აბა, აუ ექნა. კაცი გრძნობამორეული იყო და ანგარიში არ გაუწიეს, აწყვიტინეს.

ზურციკის როლი ა. კუპალის სახელობის თეატრის სცენაზე შესარულა ა. მილოვანოვმა. მსახიობისათვის ეს იყო ერთ-ერთი პირველი დიდი და საპასუხისმგებლო როლი. მან სცენაზე მზარი აუბა უფროს და გამოვიდო კოლეგებს. ზურციკლა სპექტაკლის დასაწყისში მოზარდია, მის ქცევაში ბევრი სილაღე, უზრუნველობა, უწყინარი სიცილე და სიზარმაცისკენ მიდრეკილება იგრძნობა. სამაგიეროდ, უაღრესად კეთილია, რაც მემკვიდრეობით მიიღო ბებიისა და კეთილი მებოძლებსიგან. ზურციკი მაყურებლის თვალწინ დავაყავდა. ეს დავაყავება ტკაპურად, თანდათანობით ხდება და სპექტაკლის ბოლოს იგი გრძნობების გამოვლენაში „კაცურად ტუნწი“, ბიჭურად გულწრფელი და მოზრდილივით მოფილოსოფოსოა. აი, ასეთად წარმოვიდგენს მსახიობი მილოვანოვი ზურციკლ-ზურციკლ-ზურბას, იწყებოდა ერესუბლეკური ვაგზეთი „სოვეტსკაია ბელორუსია“.

ბებია ოლია (მსახიობი ს. სტანიუტა) უბრალო, წერაკითხვის უცოდინარი ქალია. იგი ჩამოახმო მძიმე,

ყოველდღიურმა შრომამ, მაგრამ ვერ გატეხა. მისი სიტყვით დასკნლი ნუგეში დაუდგარი შვილიშვილი! სილაამზე ბებია მთელი დღეზური ცხოვრების მანძილზე შეინარჩუნა. ამ სილაამზესა და დიდ ადამიანურ სიკეთეს იგი მეგვიდრეობით შეილოშვლს გადასცემს. აი, აქ ვხედავ ჩვენ ბელორუსი ქალის მიერ შექმნილ ქართულ ქალის სახის ზოგადეროვნულ და საყოველთაო მნიშვნელობას. ბებია ოლდას როლი ს. სტანიუტასთვის არა მარტო თვალსაჩინო წარმატებაა, არამედ მრავალი წლის მანძილზე მის მიერ შექმნილი ერთ-ერთი საუკეთესო სახეც.

ამ სპექტაკლში ჩვენ ვნახეთ შესანიშნავი დუეტი: ილიკი და ილარიონი. ილარიონი (მსახიობი ვ. დღილეშკო) და ილიკი (მსახიობი შ. კარმუნინი) გვიან კიდევ ერთმანეთს და მეკეთრადაც განსხვავდებიან. მათ თანაბრად უყვარს ზურციკი, მაგრამ ამ სიყვარულს გამკლებულბაში სხვადასხვაგვარი არიან. თანაბრად გონებასცილინი არიან ერთმანეთს წინააღმდეგ სახეშობო ხბიყების მოგონებაში, მაგრამ განსხვავებული რეაგირების თვალსაზრისით, წერდა ბელორუსული ვაგზეთი „ზევიზა“.

დედიუშკოს შემოქმედებითი მანერისათვის — თეატრალურ წრეებში მას უწოდებენ „ბელორუსიის ყოველზე ეროვნულ მსახიობს“ — დამახასიათებელია როლის პლასტიკური მონახაზის სიბრალე, სწრაფვა ცოცხალ, ყოფილი, მაგრამ ფსიქოლოგიურად გამართლებული დეტალებისაკენ. დედიუშკოს აქტიორული ტალანტი მოთავიო სტიჟია კომედიანა. მან დიდ ისტატობით შექმნა მრავალი სატრული სახე. მისი საუკეთესო როლი, როგორც წესი, ყოველთვის დაკავშირებული იყო ეროვნულ რეპრეტუართან, მაგრამ როგორც კრიტიკისემა აღმოშვავენ, მისი თვითმყობადი ნიჭის თავისებურებანი ეკვივოდ გამოვლენდა ქართული გლეხის მეკეთრად სახასიათო როლის შესრულების დროსაც. დიას, დედიუშკოს ილარიონი ტიპური გლეხია, ზოგჯერ მძიმედ მოაზროვნე, მაგრამ უაღრესად კეთილი და ჭირთა მომენი. იგი ორგანულად იხდენს ქართულ ტანსაცმელს, გათავისებული აქვს ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ექსტრუ და მისი მეტყველების რიტმილი სტოკატოსებურია. თუმცა არც ბელორუსი გლეხის ექსტრები და ინტონაცია უგულვებელყოფილია. სწორედ ილარიონის როლის შესრულების დროს იმინა თავი ვ. დედიუშკოს როლის აქტიორული ინდივიდულობის ახალმა წახსენებმა.

სპექტაკლის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი შ. კარმუნინის თამაში ილიკოს როლში. მთელი სპექტაკლის მანძილზე იგი ორგანულად ერწყმებოდა ანამბლს და ისე ოსტატურად გვიხატავდა გმირის ხასიათში აღმოჩენილ, უაღრესად საინტერესო თვისებებს, რომ ზოგჯერ ვეგონებდით. სცენაზე ნამდვილი ილიკი დაბოცხტოა. აი, რა წერს შ. კარმუნინის თამაშის შესახებ თ. წულუკიძე: „ილიკი (მსახიობი შ. კარმუნინი) ხუმარა და ლაზღანდარა კაცია. ეს მისი ჩვეულება კი არ არის, არამედ ეს არის მისი ცხოვრებისეული პრინციპი. რა მძიმეც არ უნდა იყოს სხეულები, იგი კარგი ხუმრობით უნდა შეაგვი. ილიკოს ცხვე ბელორუსის თეატრის სცენაზე აქტიორულ წარმატებაზე მეტია, ეს არის მოვლენა!



ასე როლის თამაში მხოლოდ შემოქმედებით აღფრთოვანებას შეუძლია გამოიწვიოს. მსახიობი როლს კი არ თამაშობს, იგი „ხეობრობს“ ამ როლში, იგი მართლა ილიკაა — მხარაული და სულგრძელი, სასაცილო და მგარანობიარე.

რაოდენობრივად ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა 70-იანი წლები, როცა რესპუბლიკის თითქმის ყველა თეატრმა ერთდროულად შეიტანა რეპერტუარში ქართული ავტორთა ნაწარმოებები. მათ შორის ყველაზე პოპულარული აღმოჩნდა ნ. დუმბაძის პიესა „ნუ გეშინია, დედა“ ეს პიესა თითქმის ერთდროულად დაიდგა ბრესტში, გომელსა და ვიტებსკის ი. კოლასის სახელობის თეატრში.

მაგრამ სანამ ვიტებსკში დადგმულ სპექტაკლს განვიხილავდეთ, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა გომელის საოქოო თეატრის სპექტაკლზე, რომელიც მთელი რიგი დღისგებები აქვს (სპექტაკლი დადგა ი. პოპოვიძე). ძნელია ყანრული თეატრსარბისით ეს სპექტაკლი რომელიმე მთავანს მივაყუთენოთ. ერთსა და იმავე დროს, იგი კომედიაა, დრამაც, მახვილი სატრიაღ და ჰეროიკული პათეტიკის ელემენტებსაც შეიცავს. სპექტაკლი უდავოდ პირობითი მანერითაა დადგმული. მხიარული, თითქოსდა მსუბუქად სათამაშო კომედიიდან, როგორც, კრატკოსაგის აზრით, პირველი სურათები გვესახება, იგი თანდათან გადადის „მკაცრ დრამაში“ და მოქმედების განვითარება იქეთვე ისწრაფვის, რომ ცხოვრების სილამაზისათვის უკომპრომისო ბრძოლა დაგვანახოს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მიგრე გამოხატვის, შემოქმედებითი კოლექტივი ჰარმონიული, ანსამბლურია. თეატრის წამყვანი მსახიობები ძალადუბანებლად, ბუნებრივად თამაშობენ „მოხეტებს“ 6. ცურბაკოვი (ისიდორე ჯაყელი), პ. ფილიპოვი (ვანო), 6. კორნეევა (სამიკო). ცურბაკოვის მიერ ისიდორე ჯაყელის როლის შესრულება შეიძლება მივიჩნიოთ სცენაზე ბუნებრივად თავის დაჭერის ეტალონად. იგი უადრესად კოლორიტულიცაა და სპექტაკლის მთელ პარტიკულსაც ზუსტად ერწყმის. პ. ფილიპოვიც დამაჯერებლად თამაშა ვაქა-კური, თავმდაბალი, გულისხმიერი და მეტად კეთილშობილი ადამიანის, ვანოს როლი, ვისთვისაც ამხანაგობის კანონები და კოლექტივიზმის იდეებისადმი ერთგულება თვით ცხოვრების ფუცილებელი პირობაა. ამ როლის შესრულებისათვის მსახიობი დაჯილდოვების სსრკ-ს ხალხთა დრამატურგიული ხელოვნების ფესტივალის წამხალისებელი დიპლომით. დიდი წარმატება ხედა წილად მთავარი როლის, თეიმურაზ ჯაყელის შემსრულებელს ვ. სმირნოვს. მსახიობი სცენაზე თავისუფლად გრძნობს თავს და ახასიათებს მომხიბვლელი გამოხატულებითი პლასტიკა. ყველაფერი ეს ორგანულად შეერწყა გმირის სახეს. სცენაზე ვხედავთ მსახიობთა ამ თაობისათვის დამახასიათებელ ერთგვარ აღზნებულობას, ღრმა დრამატიზმის ნაცულად. კრიტიკოსთა აზრით, არამკაფიოდ გამოხატული „ეროვნული თვისებები“ ვერ ჩრდილავენ შესრულების დადებით ღირსებებს.

სხვაგვარად იყო დადგმული ეს პიესა ი. კოლასის სახელობის თეატრის სცენაზე ვ. ვიტებსკში. რეჟისორმა ბ. ერინა ვაითელისწინა ნ. დუმბაძის კეთილი დამოკიდებულება თავის გმირებისადმი, ზოგ შემთხვევაში მო-

მეტბული სიყვარულიც კი და შეეცადა თეატრალურ საშუალებებით ეამხნა ჩვენთვის მათ შესახებ მისსამტყქტაკლში არ არსებობს გამოხატვის, ყველანი კარგები არიან, სერიოზულ პრეტენზიებს იმ ჰოქრის ახალგაზრდობასაც“ კი არ უყენებს, უაზროდ და უშინაარსად რომ ცხობრობენ. ამიტომ ეს სცენები, მიუხედავდ მსახიობთა დიდი მონდომებისა პერსონაჟებისათვის ინდივიდუალური თავისებურებანი მიენიჭებინათ და მრავალფეროვანი ეფექტება, საკმაოდ დუნედ და უღიმეხად მიმდინარეობს. მართალია, რეჟისორმა სცენა ზოგიერთი სცენის კომედიური ელემენტებით გამდიდრება, მაგრამ სპექტაკლი ბოლომდე ვერც ამან ამაოვანა. მავალითად, პირველი ჩხუბი შემდეგ მან თეიმურაზს და ანზორის სცენის სხვადასხვა მხარეს დასვა და ორივე „გმირს“ ქალშვილები სავფენებს ადებენ, რის გამოც ისინი კენესი და დრიალებენ. კომედიური სიმსუბუქეს რეჟისორი იმით აღწევდა, რომ ჩხუბი, როგორც სცენური მოქმედება, არ არსებობდა და ახალ ებზოზზე გადასვლა მას შემდეგ იწყებოდა, როცა შუქი ჩაქრებოდა და კვლავ აინთებოდა.

სპექტაკლის ძლიერი მხარე იყო მსახიობთა ჩინებული თამაში. საუკეთესოთა შორის უნდა დავასახელოთ გურგენის და ანზორის როლის შემსრულებლები.

მთელი ენოს გამართობის, ხუმრობის მოყვარული მესასილი, გურგენის როლს ასრულებს ი. მატუსევიჩი. იგი ტემპერამენტით დაჯილდოებული, ენერგიული, პლასტიკითა და ინტონაციით მიღირსი მსახიობია და ჩინებულად თამაშობს სახასიათო როლებს. გურგენის სახეს იგი ქმნის ქემშარტიად კომედიური საღებავებით, თამაშობს გატაცებით, აზარტით. გრძნობათა რა მრავალფეროვნება იმის მის ხმაში, როცა იგი თეიმურაზთან ერთად დადუნს პაემანზე იხიბოს, შემდეგ კი, კმაყოფილი იმით, რომ ყველაფერი კეთილად დამთავრდა, მათ ლირიკულ დუეტს ხმას აყოლებს. გურგენის როლი უკანასკნელ წლებში მატუსევიჩის ერთ-ერთი საუკეთესო ნაშთშეგარია.

ასევე მკვეთრად და დამაჯერებლად თამაშობს ჩხუბისთავის, ანზორის როლს ვ. ულუაშვილი, ინტელექტუალური-პერიოიკული სტილის მსახიობი. მას ხელს უწყობს აგრეთვე გარკვეული მონაცემებიც. იგი სახასიათო გამომსახველობის გზით წაივდა და უდავოდ წარმატებას მიადლია.

თავმდაბალი, მოაზროვნე კაცად წარმოგვიდგენს მიწერალ მიმინარაქის მსახიობი გ. დუბოვი. მსახიობი გმირს პორტრეტულ მსგავსებას ანიჭებს და მყურებელი ადვილად ცნობს თვით ავტორს.

სპექტაკლის წარმატებას დიდად შეუწყობ ხელი მხატვრის გემოვნებამ და ფანტაზიამ. კოსტიუმები უაღრესად ზუსტი და კოლორიტულია. ეს კოსტიუმები შექმნა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ მხატვარმა ა. გრიგორიანმა. ყველაფერი დანარჩენი კი ე. ნიკოლაის ფანტაზიის ნაყოფია. დეკორაციული ლაქონიზმი სრულიად არ ტრეფდა მოდურ, პრეტენციოზული სიღარიბის შთაბეჭდილებას. ფაქტურული დეკორაცია ძუნწე-იყო წარმოდგენილი და ძირითადი დეტალები ვერწყურულ ელემენტებზე მოდიოდა. თავისებური სუპერფარდის მავიერობას ეწეოდა ორი უზარმაზარი, ქართული

ქედურობის მავგარად მოხატული სპილენძის კედელი, რომელზეც გამოხატული იყო რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გმირები.

ზემოთ განხილული ნაწარმოებების წარმატებამ ბელორუსის თეატრების შემოქმედებით კოლექტივებს რწმენა შთაუნერგა. ისინი კიდევ უფრო დაინტერესდნენ ქართული დრამატურგიით. მოგილიოვის საოლქო თეატრმა დადგა ნ. დუმბაძის „საბარაღდებო დასკვნა“. ამ ნაწარმოებში მწერალი კვლავ აყენებს თანამედროვე ახალგაზრდობის სულთნების ცხოვრების მწვავე პრობლემებს, მისი გმირი აღმოჩნდება ექსტრემალურ ვითარებაში, როცა იგი იძულებულია სხვებთან სახიფათო კონფლიქტში გამოავლინოს ყველაზე ძვირფასი ადამიანური თვისებები — ეფექციობა, სიამავე, სამართლიანობა და ასე შემდეგ. დრამატურგი კიდევ ერთხელ მოგვაგონებს, დედამიწაზე მარტო კეთილი და გულისხმიერი ადამიანები კი არ დაბიჯებენ, არამედ ყველა ჭურის ეგოსისტები, რეციდივისტები, ბანდიტები, მომხვეპელებიც, რომელთაც სხვის ხარჯზე სურთ ცხოვრება, სწორედ მათთან შეტაკებაში ვლინდება ჩვენი ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლის უნარი, წინ აღუდგეს ბოროტებს. მოგილიოვის თეატრის სპექტაკლის ღირსება ისაა, რომ სცენაზე კვლავ გაჩნდა აქტიური, მოქმედი, მიბაძვის ღირსი გმირი. რეჟისორმა ვ. კოროტკევიჩმა გადაწყვიტა სპექტაკლი პიესის ავტორისეული შინაარსის ფარგლებში დაეტოვებინა. იგი არც ციხის „ეგზოტიკას“ მოუხიბლა, არც ეთნოგრაფიულ კოლორიტს და არც სხვა გარეშე ელემენტს. მთელი მისი ყურადღება გამახვილებული იყო მთავარი გმირის, რეჟისორ ნაჟაშიძის მტკიცე ხასიათისა და ადამიანური თვისებების გამოვლენაზე.

ახლახან გრიდონის საოლქო თეატრმა დადგა ა. ცაგარის ცნობილი კომედია „ხანუმა“. მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს კოლორიტული პერსონაჟები, პროვინციული მაჟანკლის ხანუმას სასაცილო თავგადასავალი, ამ პერიოდის საქართველოს ლაღი სიძინებები და ექვემდებარება ალტაცებით მიიღო მდინარე ნემსაზე გაშენებული, ბელორუსიის უძველესი ქალაქის მაღლიერმა მკაყურებელმა.

ბელორუსიის ლენინური კომკავშირის 50 წლის სახელობის მოხარად მკაყურებელთა თეატრმა 1975 წელს დადგა გ. ნახუტორიშვილის ზღაპარი „ჰიუნრაქა“. ამავე თეატრმა შემდეგი სპექტაკლისათვის ისევ ერთიველი დრამატურგი არჩია და დადგა შ. როყავა თანამედროვე პიესა „მღინარის მიღმა ჩემი სიფელია“. ორივე სპექტაკლში მოხარად მკაყურებელთა თეატრის მსახიობებმა თავიანთი ოსტატობა თითქმის უნაკლოდ გამოავლინეს, ორივე სპექტაკლში რეჟისორული ჩანაფიქრისა თუ გაფორმების მხრეზე ბევრი საინტერესო კომპოზიციური ელემენტი დაინახეთ.

„ჰიუნრაქას“ დადგმის დროს დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს სცენის გაფორმებას და ეს არსებითად სწორია, რადგან ზღაპრული გარემოს წარმოჩენისათვის, ჩვეულებრივი ამბების მიწოდების გარდა, საჭირო იყო ეთნოგრაფიული ხასიათის მთელი რიგი ისეთი მონაცემების დამოუკიდებლობით, რაც თითოეული ქართველი მოსწავლისათვის ცნობილია. სინამდვილეში ეს ასეც მოხდა, ეთნოგრაფია ზუსტად შეესაბამებოდა ლტერატურ-



სცენა სპექტაკლიდან „ჰიუნრაქა“

რულ მასალასაც, მოქმედების ადგილსაც; ქანრსაც და სართო ატმოსფეროსაც, მაგრამ მიუხედავად მნიშვნელოვანი სტილიზაციისა, სცენის გაფორმება მაინც დამძიმებული იყო.

ფარდა იხდებდა და დახატული უცხოური მკაცრი პეიზაჟის დანახვაზე ბავშვები ჩუმდებოდნენ. წინა პლანზე მოსჩანს ზღაპრული, ჰიპერბოლიზირებული დიდი ყვავილები, მათ მიღმა ბორცვებია აღმართული და მოგვეგონება შემოდგომისა და ზამთრის ბელორუსულ პეიზაჟს. კომპოზიციის ცენტრში განმარტოვებულ დას „კავკასიური“ სტილის ეკლესია. მათ ზემოთ კი გნებდათ სიმეტრიული დანაოჭებული ღრუბლებს.

„ჰიუნრაქაში“, როგორც ყოველ ზღაპარში, ერთმანეთს უბრუნდებოდა კეთილი და ბოროტი, ვერაფე და ერთგული ადამიანები. პიესის ნორჩ პერსონაჟებს უამრავი რამ გადახდებოდათ თავს, სანამ საწაღელს მიაღწევდნენ. წინასწარ გინდა აღვნიშნათ, რომ ბელორუსიის მოხარად მკაყურებელთა თეატრის სცენაზე დადგმულმა „ჰიუნრაქამ“ გააფართოვა თეატრის ეროვნული მოტივი, სტილისტური და ქანრული დიაპაზონი, გამოავლინა მისი ახალი შესაძლებლობანი და გააცნო ბელორუსი ბავშვებს მომე ხალხის შემოქმედება, ესე იგი, ცხოვრება, რითაც კიდევ უფრო განამტკიცა სულიერი კავშირი ჩვენი მოხარად თაგებულ შორის.

რეჟისორმა ვ. ვლადიმირსკიამ ეს სპექტაკლი ყველაზე ნორჩ მკაყურებელს მიუძღვნა. მან სანახაობრივად საინტერესო გახადა პიესა, ზღაპრული ეფექტიანობით

წარმოაჩინა გმირთა თვაგდასავალი. მაგრამ არც სპექტაკლის სუსტი მხარეები დარჩა შეუმჩნეველი. საქმე ისაა, რომ რეჟისორი ვაიტაქა მთავარი გმირის თვაგდასავლის წარმოჩენამ და მხედველობიდან გამოორჩა ბოროტი ძალა, რომელიც მთავარ გმირს უპირისპირდება. ვერაჯი ბაბაყაძე (მსახიობი ვ. ლებედევი) ზარმაცი, ღორმუცელა, მობუზუნენ და ერთგვარად გაბრაზებული, მაგრამ კეთილი ძალაც კია, ვისთვისაც სულგრძელობა არც ისე უცხოა. ამის გამო სპექტაკლის მთავარი გმირის ჭინჭრაქას მიზანდასახელობა ერთგვარად გაუფასურებულია და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს იგი დია კარებს ამტვრევს. მოტყუებული რჩება თვითონ მთავარი გმირიც და ნორჩი მაცურებელიც, მოხერხებულ და იღბლიან ჭინჭრაქას ბოროტებასთან ბრძოლაში ხელს არავენ უშლის, თუმცა თვითონ უღად იგი დიდ ენერჯიასა და მიზანდასახელობას იჩენს ბოროტებასთან ბრძოლაში.

უდავოდ მცდარადაა გადაწყვეტილი სპექტაკლში უფლისწულ ნოდარის გაქრობა. პიესაში ეს ეპიზოდი იკითხება, როგორც მუხანათობა, დეზერტორობა, სპექტაკლში კი მისი გაქრობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს იგი გადასახლდა სამოთხისებურ ქვეყანაში, რომელზედაც გამდემებით ოცნებობდა. ეს პერსონაჟი მუხანათობისათვის მაქსიმალურად დაკიდოვდა, სამოთხე და უყვადება მოიპოვა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ბელორუსის მოზარდ მაცურებელთა თეატრის სპექტაკლში ყველაზე თვალმისაცემი და უცნაური ნაწილი სწორედ ესაა.

ქართული თეატრალური ხელოვნებისათვის დამახასიათებელია პოეტური და რომანტიკული აღმავრუნა, ლირიკული და პათეტიკური ტონალობა. „ჭინჭრაქას“ საფუძვლად უდევს შესანიშნავი პოეტური მასალა, ზღა-

პრული ფაქტორების გარდა (მფრინავი ხალხი, მთავარი, ჯაღოჭრული ნივთები და ა. შ.) სიუჟეტის ქარგვლაში გიგურადაა ჩაქსოვილი ლექსები, მუსიკა, სიმღერა. სამწუხაროდ, სპექტაკლში არ იგრძნობა პოეტური აღმავრუნა, სცენური თხრობის ემოციური ტონალობა. რეჟისორმა ზოგირეთი პერსონაჟი მთლიანად გაანთავისუფლა მუსიკალობისა და პოეტურობისაგან, ზოგიერთი კი ნაწილობრივ. ლექსებიც მდირედ, პროზაულად იკითხებოდა. ცეკვისა და სიმღერის უფლება დაუტოვეს მხოლოდ მთავარ გმირებს. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ ჭინჭრაქასა და ლალის სადღეუბო სცენები შესრულების თვალსაზრისით გამოირჩეოდა დიდი სიზუსტით და პარმონიულობით. კარგად დადგა ცეკვები ქორეოგრაფმა ს. დრეჩინამ. ამიტომ გმირების ყველა მუსიკალური ნომერი ჩართული კი არ არის სპექტაკლში, როგორც ეს ხშირ შემთხვევაში ხდება, არამედ ორგანულად ერწყმის მოქმედების განვითარებას და უაღრესად ბუნებრივ, ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ ყველა მსახიობი, ვინც ამ სპექტაკლში მონაწილეობას იღებს. მთავარ როლს ასრულებს ლ. ულაშინკო. მისი ფიზიკურ-ფსიქიური მონაცემები კარგად ეხამება ზღაპრის გმირის თავისებურებებს. ჭინჭრაქა ცოცხალი, ტემპერამენტური, მხიარული ჭაბუკია. მისი ბუნების ძირითადი თვისებებია გულწრფელობა, უშუალობა, საქმისადმი ერთგულება. მეფის ასულის ლალის როლს თამაშობს ორი მსახიობი. ი. პოლიონინა მიერ შექმნილი სახე მეტისმეტად ქალური, რბილი და ელერადია. მისი თამაში ცხადყოფს, რომ ბევრი უმუშევარი როლზე და პროფესიონალურად დაუხვეწია. ლალის როლის მეორე შემსრულებელია ნ. კოლესნიკოვა. იგი მაცურებელს ხიბლავს უშუალოებით, გულწრფელობით, ბუნებრივი რაქციით, ციცხლად, ზუს-

სცენა სპექტაკლიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“





ტად გრძნობს მოვლენებისა და სიტუაციების ცვალებადობას.

ბოროტი ვეზირის როლს თამაშობს ვ. ზუბარევი. იგი გვეუბნება გულცივ ადამიანად; ყურადღებავაფაცივებული და გაბოროტებულია და ყოველივე ამას გამახიბავს ზუსტი ექსტემით.

მჩველის დამაჯერებელ სახეს ქმნის მსახიობი კ. სეგვეიჩი. მან მოახერხა პერსონაჟის სტრუქტურისა და მისი გარეგნული სახის ორგანული შერწყმა.

ბელორუსის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ქართველი დრამატურგის კიდევ ერთი პიესა დადგა. ეს გახლავთ შ. როყვას „მდინარის მიმამ ჩემი სოფელია“. ეს თემა გავრცელებულია კავკასიაში, მაგალითისათვის დავასახელებთ ო. იოსელიანის „სანამ ურემი ვადაბრუნდება“, კ. პაბიანის „დარჩი მარხე“ და ა. შ. როყვას პიესაში ეს თემა ოდნავ ტრანსფორმირებულია და სცენაზე გამოყვას მოზარდი. ამ სპექტაკლში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ორი მოხუცი, ბაბუა ანთიმოზი და მისი მეზობელი ავაბო. ანთიმოზი თავის შვილიშვილს გიას შეუმჩვენებლად, მაგრამ თანამიმდევრულად, მიზანდასახულად უნერგავს მშობლიური მიწისადმი და შრომისადმი სიყვარულს, რაც თავისთავად გულსმზობს, რომ ბერკაცს ქეშმარიტად მამაკაცური, კეთილშობილური მიზანი აქვს დასახული.

ამ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი ი. ბერეზა არ ცდილა მაყურებელი გაეოცებინა „აღმოჩენებით“, „სიახლეებით“, „უკლები ფილოსოფიური კითხვებით“, რითაც უკანასკნელ ხანებში ჩვენი ახალგაზრდა რეჟისორები სცოდავენ. ზოგიერთი მსახიობის სცენაზე შემოსაყვანად მან ძველ ხერხსაც კი მიმართა, პირდაპირ დარბაზიდან შემოიყვანა ისინი. სამწუხაროდ, რეჟისორმა პიესიდან ამოიღო ცხენის პატრონთან შეხვედრის სცენა, რამაც ამ ეპიზოდს შემრავებული იდილიურობის დადი დასავა. ამით არა მარტო შეარბილა სერიოზული მორალურ-ეთიკური კონფლიქტი, არამედ ხსიათებრივ გადარბობა და მოქმედების განვითარება უფრო მდორე და ერთფეროვანი გახდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სპექტაკლის იუმორი დახვეწილი, ლირიული და სითბოს მომგვრელია. მაგალითად, ანთიმოზი იკეხნის, რომ ვაყვაცი და შესანაშენავი მოჭირითა, მაგრამ ვარო, ამბობს სიხარულისაგან აღტყინებული და ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე მკერდში თითს იტაკებს, მაგრამ ამასაც თვლარ უძღობს, წვაბრახცდება და იქვე მიწაში ჩაფლულ ქვერზე ჩამოკდება.

სპექტაკლს ყველაზე დიდი წარმატება მოუტანა მსახიობების თამაშმა, სწორედ მათმა ოსტატობამ გახადა იგი მიწიდეველ სანახაობად. გიას როლს ასრულებს ა. აღუქანდაროვი, ახალგაზრდა, ტანდაბალი, მოძრავი სცენის ოსტატი, რომელმაც მაყურებლის ყურადღება მიიპყრო ემოციურობით, უშუალოდ, პლასტიკით. თეატრის დიდ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ ანთიმოზის სახის შექნა. მსახიობმა ულამაზესად შესანიშნავად შეუთხამა თავისი მონაცემები მოხუცებული კაცის წარსულ ცხოვრებას, ვანცდება, ფიქრებს და ოსტატურად ვადმოგვცა ანთიმოზის სულიერი ცხოვრების მრავალრიცხოვანი ნიუანსები.

ცხადია, ყველა მსახიობი სრულყოფილად როდი ასრულებდა თავის როლს. იგრძნობოდა არტიკულაციური დაუდებლობა, ემოციური სიღარიბე, მაგრამ რეჟისორული თვალსაზრისით ყველაფერი ზუსტად იყო ჩაფიქრებული.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლისა, ამ სპექტაკლში იგრძნობა დიდი აღმოჩენილობითი პოეტურობა და ამ თვალსაზრისით იგი გამოირჩევა უკანასკნელი წლების მოზარდ მაყურებელთა სპექტაკლიდან.

ჩვენს წერილს რომ დამთავრებული სახე მიეცეს, აუცილებელია აქვე ვთქვათ ორიოდე სიტყვა ბელორუსის თეატრებში დადგმულ მუსიკალურ ნაწარმოებზეც.

1967 წელს მოვილიოვის მუსიკალური კომედიის საოლქო თეატრმა დადგა ი. შატუნოვსკის ლიბრეტოს მიხედვით შექმნილი გ. ცაბაძის ოპერეტა „ჩემი შეშლილი ძმა“. ეს ოპერეტა ეხება ამერიკის თანამედროვე ცხოვრებას და თუმცა გამოცდილმა რეჟისორმა დ. იცოვამ ვერ შესძლო ნაწარმოების ყველა ნაკლის აღმოჩენა, სპექტაკლს მაინც მთელი რიგი ღირსებები აღმოაჩნდა: რიტმული და ემოციური განწყობილება, გამომსახველობითი მიზანსცენები, მოქმედების განვითარების ზუსტი დინამიკა და რაც მთავარია, მსახიობთა ოსტატური თამაში. დადგმა მოყოლებდა მასიურ სცენებში, მაგალითად „სიგივის“ სცენაში, მაგრამ სპექტაკლის სხარტმა და უქმეტიქსტებო გადაწყვეტამ მის პოლიტიკური პამფლეტის შტრიხები შესძინა.

ჩვენი რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1973 წელს ბელორუსის სსრ ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ო. თაქთაქიშვილის „მინდია“ დადგმა. ამ სპექტაკლის განხილვა სპეციალისტთა პერფორმაცია, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა ეპიზოდის თეატრალური ნაწარმოებების ვაცვლა ჩვენი მრავალფეროვანი თეატრალური ხელოვნების საერთო ღონის სიმძლავრე მეტყველებს.

ქართულმა დრამატურგიამ ბელორუსის სცენა გაამდიდრა თეატრალური და სტილისტური მრავალფეროვნებით. ვერც იმ ფაქტს ავუხვევთ გვერდს, რომ ბელორუსის თეატრების რეპერტუარში ქართული ნაწარმოებების შეტანამ ბელორუსის თეატრი გაამდიდრა ორიგინალური პერსონაჟებით.

ქართულმა პიესებმა შესამჩნევად შეუწყო ხელი როგორც ბელორუსის თეატრალური ხელოვნების აღიარებულ ოსტატების, ასევე დამწყები მსახიობების წარმატებასა და აღიარებას. ამ ნაშეშვართავან ბევრი პროფესიონალური მიღწევების საპატიო ღონეზე აღმოჩნდა.

გრიგოლ ტატიშვილი და სომხური ხელოვნება

მაია ლაზარიანი

სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის
გამოყენებითი ხელოვნების განყოფილ-
ების გამგე

ბევრი დაწერილა სომხურ-ქართული
კულტურული კავშირების შესახებ, განსა-
კუთრებით სახეითი ხელოვნების სფერო-
ში. ეს არც გასაკვირია, თუ გავითვალისწი-
ნებთ იმ პოლიტიკურ-ისტორიულ ვითარე-
ბას, XIX საუკუნის საზოგადოებრივ
ცხოვრებას რომ განსაზღვრავდა კავკასია-
ში და განსაკუთრებით მის ცენტრში —
თბილისში.

XIX საუკუნის თბილისი, ინტერნაცი-
ონალური ქალაქი, ახალ, სწრაფ ნაბიჯებს
დგამდა კულტურისა და ხელოვნების ყვე-
ლა დარგში. აღორძინება დაიწყო ბექდვის
საქმემაც. ქართული წიგნის გამოცემის
ცენტრი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნა-
ხევრიდან საქართველოს დედაქალაქია.
იხსნება სტამბები, გაზეთების, ჟურნალებ-
ის, წიგნების ბექდვა ფართო ხასიათს
იღებს.

საგამომცემლო დარგს სპეციალისტები
ესაჭიროებოდა. იმ მოღვაწეთა შორის,
ვინც უდიდესი ამაგი დასდო ამ საქმეს
საქართველოში, იყო პირველი გრაფიკორი,
მხატვარი-ქსილოგრაფი გრიგოლ ტატიშ-
ვილი (1838 — 1911).

გრიგოლ ტატიშვილის შემოქმედება
კარგადაა ცნობილი. იგი დამოუკიდებლად
დაეუფლა ქსილოგრაფიის ხელოვნებას,
ააღორძინა წიგნის გაფორმების ტრადი-
ციები, რომელიც ჯერ კიდევ XVII საუკუ-
ნის დასაწყისში, ვახტანგ VI დროს ჩამო-
ყალიბდა. მან დაამუშავა ქართული
ანბანის თაური ასოები, შექმნა წიგნების
გასაფორმებლად განკუთვნილი ორნამენ-
ტების ალბომი. მხატვარი გრაფიკოსებს
ასრულებდა როგორც სხვა ავტორთა, ისე
საკუთარი ნახატების საფუძველზე. იაკობ
გაგეაშვილის „დედაენას“ და „ბუნების
კარის“, ქართველიზვილისეული „ვეფხის-
ტყაოსნის“, საბავშვო ჟურნალების —
„ნობათის“, „ჯეჯილის“, „ნაკადულისა“
და სხვ. გამოცემების გაფორმებამ ფარ-
თოდ მოუხვეჭა სახელი გრიგოლ ტატიშ-
ვილს. კავკასიაში იგი ამკვიდრებდა პერი-
ოდიკის გაფორმების კულტურას. მასვე
ეკუთვნის პირველი თეატრალური და სა-
ციკო აფიშები (1868), ქართველ მწერალ-
თა გრაფიკული პორტრეტები. ძალიან
ხშირად იგი თავის გვარს არც აწერდა ნა-
მუშევარს.

წერილში, მხატვრის გარდაცვალების
გამო რომ დაიბეჭდა სომხურ ჟურნალ
„ტარაზში“ (1911, 7-8, გვ. 94) მისი
რედაქტორი, გრიგოლ ტატიშვილის დიდი
მეგობარი ტიგრან ნაზარიანი ფიგაროს
ადარებდა მხატვარს: ...მუდამ მზიარული,
მოცინარი, „ალბაჟრისთვის“ იგი ხისგან
ორნამენტებსა და ასოებს კვეთდა ძველი
სომხური ძეგლებისდა მიხედვით, თანაც
ისეთი სიყვარულით, როგორითაც ქართუ-
ლი გამოცემებისთვის... მხატვარი გვევრქ

ბაშინჯალიანი კი გაზეთ „მშაქსი“ წერდა: „ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე (შესაძლოა მეტისაც) ტფილისის საზოგადოებისთვის გიგო დიდად საჭირო კაცი გახლდათ. იგი შეუცვლელი იყო როგორც თეატრალური აფიშის, წიგნის გარეკანის, გაზეთის სათაურებისა თუ ორნამენტების შემქმნელი. მას ყველგან იწვევდნენ და ისიც უდიდესი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით, სრულიად უსასყიდლოდ ან მეტად მცირე გასამარჯვოთი, ახმარდა მათ თავის შრომას. ამას იგი აკეთებდა მოქალაქისა და პატრიოტის მორალური მოვალეობის ღრმა შეგნებით.“ („გიგო ტატიშვილის ხსოვნას“, გაზ. „მშაქი“, 1911, 9/VIII).

გრიგოლ ტატიშვილის ხელოვნებას დიდად აფასებდნენ მისი თანამედროვენი. მასზე მრავალი წერილი და გამოკვლევაა დაწერილი. მაგრამ არასაკმაოადა გაშუქებული მხატვრის მჭიდრო კავშირი სომხურ კულტურასთან.

სომხური წიგნის გრაფიკა XVI საუკუნის დასაწყისიდან ვითარდება. მისთვის ნიშანდობლივია ღრმა ეროვნულობა და ტექნიკური სრულყოფილება ქსილოგრაფიაში, განსაკუთრებით XVIII საუკუნის დასაწყისიდან, როცა დაიწესა გაფორმება და დსურათება ისეთი გამოჩენილი სომეხი მწერლების წიგნებისა, როგორიც არიან გრიგორი მარზვანცი, ჰაკობ და ბარსეულ სებასტაცი კონსტანტინეპოლიდან, არუთუნ ევგარშაპატცი ემიაძინიდან.

გრიგოლ ტატიშვილის ხელოვნება შემოინახა თბილისში დაბეჭდვით მხატვრულმა ჟურნალმა „ალბურმა“ და „ტარაზმა“, გაზეთმა „მშაქმა“, რომლის ტიტრებიც მან შექმნა. ტატიშვილს ეკუთვნის აგრეთვე ქსილოგრაფია მრავალრიცხოვანი რეზუსებისა, რომელთა ავტორები იყვნენ შემდგომში ცნობილი სომეხი მხატვრები — ვარდგეს სურენიანი და გევორქ ბაშინჯალიანი.

გაზეთების ტიტრისათვის შრიფტის დამუშავებაში განსაკუთრებით გამოვლინდა გრიგოლ ტატიშვილის ნიჭი და მხატვრული გემოვნება. ამ ნიმუშებში ჩანს მისი უდიდესი სიყვარული და სწრაფვა ლამაზი, მეტყველი შრიფტის შექმნისაკენ. მხატვრისთვის შრიფტი, ასო — ეს იყო ენის, ლიტერატურის პროგრესის სიმბოლო, ცოცხალი სიტყვის, ეროვნული სპეციფიკის გამომსახველი. მეორეს მხრივ, იგი წარმოადგენდა სახეით ერთეულს, რომელსაც მხატვრულ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც ენიჭებოდა.

სწორედ ამ ორ პრინციპს ეყრდნობოდა

გ. ტატიშვილი, როცა სომხურ ასოებს ამუშავებდა. იგი მხედველობაში იღებდა საგაზეთო სათაურების სპეციფიკას, — გაზეთის ზომებს, ტიტრების შეფარდებას, ასოების არქიტექტონიკას, შრიფტების ფორმას, რომელსაც იგი თვითონ ქმნიდა.

დღეს მართლაც გასაოცარია საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება. 1872 წელს კი, როცა გამოდიოდა გაზეთ „მშაქის“, ცოტა მოგვიანებით კი ჟურნალ „ტარაზის“ პირველი ნომრები, გასაგებია ამ გამოცემათა რედაქტორებისა და მკითხველების სიხარული და კმაყოფილება.

გიგო ტატიშვილი ფაქიზად გრძნობდა ასოს გრაფიკულ სილამაზეს, ესთეტიკურ შინაარსსა და გამომსახველობით სტრუქტურას. პირველად მან შექმნა ნაქარგო-ზისთვის განკუთვნილი ქართული და სომხური შრიფტების ალბომიც.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მხატვრული განათლების სისტემასა და სასკოლო ესთეტიკაში კალიგრაფიისა და ქარგვის სწავლება შევიდა. კალიგრაფიის გარდა, პედაგოგი ხატვასაც ასწავლიდა. ჯერ კიდევ 1841 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულმა, ხატვის მასწავლებელმა ოგენა კატაინანმა თბილისში, დახვეწილი აკადემიური სტილით გამოსცა სომხური კალიგრაფიული დამწერლობის ალბომი, ოთხი წლის შემდეგ კი ასეთივე ალბომი — რუსული გიმნაზიისათვის.

ქალთა გიმნაზიებში მხოლოდ ქარგვას ასწავლიდნენ. გამოყენებითი ხელოვნების ეს დარგი XIX საუკუნეში განსაკუთრებით განვითარდა და მოდურადაც კი იქცა. ინტერიერისათვის ფართოდ იყენებდნენ ფერადოვან ნაქარგებს, მას დიდი როლი ეკისრებოდა ქალთა სამოსში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ადგილობრივი სამოსის „გავეროპულეზა“ მოხდა, ნაქარგობამ პირველ პლანზე წამოიწია. ფართოდ გავრცელდა ვენუზელი და მონოგრამა. იმდენად პოპულარული გახდა ქალაქის მცხოვრებთა ყოფაში მონოგრამა, რომ გრიგოლ ტატიშვილმა კანვის ხერხით ამოსაქარგი შრიფტების სპეციალური ალბომი შექმნა. ამგვარი სახის ალბომებს შორის, როგორიცაა „კანაზუ ჩართული ანზანი“ (1888 — 1897), „ქართული ანზანის თაიგული“ (1892), „ჩართული ანზანი“ (მონოგრამები), განსაკუთრებით საინტერესოა, აგრეთვე, „სომხური მონოგრამების რვეული“. რომელიც გ. ტატიშვილმა 1889 წელს სომხურ ენაზე დაბეჭდა თბილისში. ამ ხასიათის მხატვრული ალბომის შედგენა



რთულ საქმეს წარმოადგენდა. საჭირო იყო სომხური შრიფტის სისტემის დაზუსტება, სხვადასხვა ასოს გადაწერის დამუშავება, და, ერთდროულად, ყოველივე ამის მხატვრული გაფორმება, ორნამენტულ ჩარჩოში მოქცევა. ორნამენტისათვის მხატვარმა მცენარეული მოტივები შეარჩია.

ნაქარგობის ხელოვნების მოთხოვნებს ქართული ასოების პლასტიკური კონტურები უფრო შეესატყვისებოდა, მაგრამ გრიგოლ ტატიშვილმა ისე კარგად იცოდა სომხური ენა და სომხური ანბანის სტრუქტურა, რომ პირველმა შექმნა მონოგრამები, რომლებიც არა მარტო მშვენივრად გამოდგა კანვით ამოსაქარგი ტექნიკისათვის, არამედ შრიფტისა და ასოს არქიტექტონიკის მხატვრული კულტურითაც გამოირჩა.

თითოეული მონოგრამა გარკვეული გრაფიკული კომპოზიციაა, რომლის ცენტრში მოქცეულ ასოს ერწყმის მცენარეული ორნამენტის ფაქიზი კონტური. ტატიშვილისათვის ყველაფერი მთავარია თვით ორნამენტისა კი გარკვეული კომპოზიციური დატვირთვა გააჩნია. ამიტომაც ყოველი ასოსთვის იგი თაიგულის განსაკუთრებულ სახეობას არჩევს, ხან ვაზის სტილიზებულ ფოთლებს, ხანაც ბროწეულის ნაყოფს. ნამუშევრებში ჩანს სომხური არქიტექტურული ორნამენტის ბრწყინვალე ცოდნა.

სომხურმა გაზეთებმა აღტაცებით მიიღეს ქართველი მხატვრის ნახელავი — სომხური მონოგრამები ნაქარგობისათვის, რომელიც ლითოგრაფიის ტექნიკით იყო განხორციელებული. გრაფიკის ამ სფეროშიც ტატიშვილმა მაღალი ოსტატობა გამოამყვანა. ეს აღნიშნეს ქართულმა გაზეთებმაც („ახალი ამბავი“, „ივერია“).

გრიგოლ ტატიშვილის ალბომებმა დიდი ვერცხლის მედალი დაიმსახურა თბილისში მოწყობილ კავკასიის სანარმოო და სოფლის მეურნეობის გამოფენაზე 1889 წელს. ამ ალბომიდან შერჩეული ნამუშევრები მხატვარმა წარადგინა 1900 წელს პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც კვლავ ვერცხლის მედალი ხვდა.

შემდგომ წლებში გამოიცა სომხური მხატვრული ასოებისა და მონოგრამების რამდენიმე ალბომი ნაქარგობისათვის. ცნობილია, მაგალითად, 1899 წელს თბი-

ლისში გამოცემული ალბომი რუსეთის მხატვარმა ელისაბედ პატიკიანმა შეადგინა. იდენტური ალბომის კონსტანტინოპოლის გამოცემა (ასევე სომხურ ენაზე) ს ბახტაჯიანს ეკუთვნის.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მხატვრის გარდაცვალება დიდი გულის ტკივილით აღნიშნეს მისმა ახლო მეგობრებმა — ტიგრან ნაზარიანმა და გეგორქ ბაშინჯალიანმა. ჟურნალ „ტარაზსა“ და გაზეთ „მშაკვი“ დაიბეჭდა ნეკროლოგები მხატვრის პორტრეტითურთ. აქ ისევ გვსურს მოვიყვანოთ ნაწყვეტი გ. ბაშინჯალიანის გამოსათხოვარი წერილიდან; რომელშიც ასე კარგად ჩანს მოძმე ერის შვილთა დამოკიდებულება ქართველი მხატვრისადმი, მისი ღვაწლის უსაზღვრო დავასება: „...თვალს მიეფარა გიგო ტატიშვილი, ეს მოუღლეელი მშრომელი და ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტი... ვინც ერს მიყრდეს მაინც უტოვებს თავის მიცირე მემკვიდრეობიდან, სიქველეთა მიჩნეული. ნაშინ რაღა ვუნოდოთ ტატიშვილს, რომელმაც თავისი ინტელექტუალური და მორალური სიმდიდრე, თავისი უნარი — ყველაფერი ხალხს უძღვნა“.

ჩვენ კი დავძენთ: განა მარტო თავის ხალხს?

თვალსაჩინოა გრიგოლ ტატიშვილის წვლილი სომეხ ქალთა მხატვრული გემოვნების განვითარების, ეროვნულისადმი სიყვარულის გაღვივების საქმეში. ამიტომაც სრულიად კანონზომიერი იყო, როცა საბავშვო ჟურნალის „აღბურის“ (1883-1908) 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საგანგებო ალბომში, რომელიც 1908 წელს თბილისში გამოიცა, მისმა შემდგენელმა — მწერალმა ნარ-დოსმა სომხური კულტურის გამორჩენილ წარმომადგენლებთან — რაფის, პერქ პროშიანის, ლაზაროს ალაიანის, ოვანეს თუმანიანისა და სხვათა გვერდით ქართველი მხატვრის — გრიგოლ ტატიშვილის პორტრეტიც მოათავსა.

კულტურის ქებლთა ღაცვა— მღმმარეობა და პრობლემა

ირაკლი ციციშვილი

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის,
კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების
მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი

ბანშითარბულ საზოგადოებაში კარგა ხანია აღიარებულია ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღმზრდელობითი როლი. კულტურის ძეგლები ჩვენი ხალხის ისტორია, მისი ყველაზე თვალსაჩინო და უცუქარი ფურცლებია, მისი ძეგლები მიხედვით ვეცნობით წარსული ეპოქების აზროვნებას, კულტურას, ხელოვნებას, სამშენებლო ტექნიკას, მათი გვაგზრობინებენ თაბათა მეგვიდრეობითობას. ამჟამად ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული ყურადღების საგანია. ამას ხელი შეუწყო კულტურული ტურიზმის განვითარებამ, პირველ რიგში კი, ჩვენი ეპოქის ცივილიზაციის მაღალმა დონემ. ჩვენ, როგორც ჰუმანისტური აზროვნების პროგრესის მეგვიდრენი, ვამტყებთ თანაზარებას ეროვნული და საკაცობრიო კულტურული ტრადიციებისადმი. დღეს, როდესაც ადამიანმა აღიწყო აქტიური ბრძოლა ბუნებრივი გარემოს დასაცავად, ცხადია, საქმე ეხება არა მარტო ბუნებას, არამედ ძეგლებსაც და ვრცელ ისტორიულ ადგილებსაც.

რა დასამალა, რომ თანამედროვე სამყაროში, ტექნიკური პროგრესისა და ურბანიზაციის არნახულ ვითარებაში, ადამიანი რამდენადმე ჰკარგავს თავის ინდივიდუალობას. აუცილებელი ხდება შემოქმედებით ადამიანს ისტორიული ძეგლები ბუნებრივ ლანდშაფტში, შემოქმედებით ქალაქების ძველი უბნების ნათელი და მშვიდი მასშტაბები, სივრცე და სიჩუმე. ასეთი გარემო ადამიანს სულ სხვა, ამასთან, საკირო ემოციებს აღუძრავს. ახალმა ეპოქამ შეცვალა ძეგლების ფუნქცია, მაგრამ დარჩა მათი არსი, მათი მნიშვნელობა ახალი შინაარსით აღიქმა.

ამჟამად მეტად გაფართოვდა დასაცავი ძეგლების

წრე. დღეს ჩვენ ვიცავთ უძველეს არქეოლოგიურ ძეგლებს — ძვ. წ. ა. V-IV ათასწლეულებიდან, ვიდრე საბჭოთა პერიოდის მნიშვნელოვან არქიტექტურულ ძეგლებამდე.

დიწყო მსახიობის დიდი და რთული შემოქმედებითი ცხოვრება — მუშაობა სხვადასხვა ეპოქის, განსხვავებული მსოფლმხედველობის ქალების სახეებისა და ხასიათების შესაქმნელად, ნიჭიერმა, ძალზე ემოციურმა მსახიობმა მაშინვე მიიპყრო რეჟისორებისა და მაყურებლის ყურადღება. როგორც იტყვიან, როლები თავზე საყრელად ჰქონდა. იყო თუ არა იგი ამდენ როლზე მუშაობით ბედნიერი? იყო, ალბათ, მაგრამ როგორც თავად აღნიშნა ერთხელ, მას იმ დროს „პროფესიული კავშირი არ ჰქონდა მუსიკასთან“ და ამიტომ შევიდა სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგაც დიმილით იტყვის — „ეს ისე, სულს საამებლად მინდობდა“. მერე და მერე თვალნათლივ გამოჩნდა, თუ რაოდენ საჭირო იყო მსახიობისთვის ეს „მუსიკალური ტრენინგი“ — სხვაგვარად, უეჭველად, გაუჭირდებოდა პეროფული, ტრაგიკული როლებს იმ დონეზე შესრულება, როგორც შესარულა.

თეატრში მუშაობისა და, იმავდროულად, მუსიკალურ სასწავლებელში სწავლის პერიოდში მსახიობმა შექმნა რამდენიმე საინტერესო სახე, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოსარჩევია ასიდა სპექტაკლში „სიმღერის შეთხზვა ძნელია“ (ნ. თაბბას პიესა). ამ სპექტაკლში ისმოდა ხალხური სიმღერები, საცეკვაო მელოდიები, ისმოდა სარლის ხმაც... და, აი, შუა ქორწილში ერთ-ერთი ტყვია ნეტეს მოხვდა, ახლდაქორწინებულთა ოჯახში

სოფიო ავღმაა

ალექსი არგუნი

უბედურება შემოვიდა — ხიმცა დაბრმავდა, დიდი ტანჯვისა და წამების შემდეგ მან ახალგაზრდა ცოლს ურჩია, მე, ამ ნახევარ კაცს, ნუ შემომწირავ შენს ბედნიერებას, შეგიძლია ჩემგან წახვიდეო. მაგრამ ასიდას ნამდვილი სიყვარულით უყვარდა ხიმცა და შესწლო კიდევ ამაში დაერწმუნებინა, რითაც სიცოცხლის, ერთად ცხოვრების შესაძლებლობის რწმენით გამსჭვალა იგი. ასიდას როლის შესრულებით ს. ავღმამ დრამა ფსიქოლოგიური პლანის მსახიობად უკარგავიჩინა თავი. ს. ავღმას გმირი ავღმაა, თავგანწირვით იბრძოდა კატასტროფის წინაშე მდგარი საყვარელი ადამიანის გადარჩენისთვის და ეს ბრძოლა კიდევ მოიგო.

მსახიობმა თეატრში მუშაობის ოცი წლის მანძილზე მრავალი როლი შესარულა, მაგრამ ასიდას როლი მისთვის განსაკუთრებული და დაუყოფიყვარია, რადგან ეს სიცოცხლთ სავსე, შინაგანად მოზიბღული, სიყვარულით აღტკინებული გმირი ბევრი რამით თვითონ ს. ავღმასს ჰგავდა.



ებოლი („ღონ კარლოსი“)

60-იან წლებში ს. აგუმაამ საინტერესო სახეების მთელი ვალურება შექმნა, — გავიხსენოთ, თუნდაც, უარდახანი ა. ლაველიავას „აბრსკილში“, ნატაშა დ. პაელოვას „სინდისში“, ნატალია ა. ჩეხოვის „ხელის თხოვაში“, გუვერნანტი ქალი ე. შვარცის „შოშველ ხელმწიფეში“, ზარადა მ. შალოხოვის „სასიძოებში“ და სხვ. გვინდა საგანგებოდ შევჩერდეთ ამ უკანასკნელ როლზე, რომელზეც „სოვეტსკაია აბხაზია“ (1965 წლის 21 დეკ.) წერდა:

„მსახიობი ს. აგუმაა კომედიაში ასრულებს ზარადას — ულამაზო შინაბერას როლს, რომელსაც უნდა გვიჩვენე, სულერთია ვინ, მოატყუოს“ და ქმარი იშოვოს. ს. აგუმაას გმირები სიცოცხლით სავსე ქალიშვილები და ქალებია, მისი ამბულა ე. წ. ნებისყოფიანი გმირების როლებია. ზარადა, უეჭველად, ბევრი რამით ჰგავდა მათ. ზოგჯერ იგი ბუნებრივი, გულწრფელი ჩანს, ცხოვრებისეულია, მაგრამ ზოგჯერ გაცილებული რჩები: რა საჭიროა ასეთი უტრირება ხასიათისა, ასეთი დაუფარავი სწრაფვა იქითკენ, რომ მიანიცდამაინც

იციოს მყურებელმა? მსახიობის გრძობა კი ისეთია, როგორც კაცი ვერაფრით წარმოიდგენდა? რა თქმა უნდა, ხასიათის შექმნისთვის გამოჩნული ეს შარკული მომენტები გათვალისწინებული იყო რეჟისორ შ. ფაჩალას მიერ მომარჯვებული გროტესკული პლანით“.

თუკი ამ სექტაკამდე ს. აგუმააზე ლაბარაკობდნენ, როგორც დრამატული პლანის მსახიობზე, ამ როლის შემდეგ გამოჩნდა მოსი მკაფიოდ კომედიური ნიჭიც, უფრო სწორად, გამოიკვეთა მისი შემოქმედების სატირულ-გროტესკული მიმართულება.

1966 წ. თეატრმა წარმოადგინა დრამატურგ კ. ბუაჩიძის მხიარული კომედია „მკაცრი ქალიშვილები“.

ერთერთმა უხუცესმა აფხაზმა რეჟისორმა შ. ფაჩალამ კომედიაში წარმოაჩინა ბევრი მართლაც რომ სასაცილო სცენა, ჩვენი ყოფის, ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრების ზოგიერთ უარყოფით მომენტს რომ ამთრახებდნენ. მაგრამ, ამ სექტაკაში მთავარი ამალგებულ ადამიანთა ურთიერთობათა, სიყვარულის პოზიცია იყო.

კომედიის სიუჟეტურ ხაზს ქმნიდა სოფლელი ქალიშვილის — ფასინესა და ვაიბოეტის, სტუდენტ ნაზოლონ ჭინჭილუიშვილის ურთიერთობის ამბავი.

ს. აგუმაამ ამ სექტაკაში შექმნა თავისი მიაბიტობით, გულწრფელობით მომხიბველი ქალიშვილის შესანიშნავი სახე. მისი გმირი — ფასინე — მხიარული, სიცოცხლით სავსე, სიყვარულში ერთგული ქალიშვილი ქალაქში ჩამოდის, რათა იმ ინსტიტუტში მოეწყოს, სადაც სწავლობს მისი გულის რჩეული — ნაზოლონი. ქალაქის ცხოვრების გაცნობამ, სხვადასხვა ხასიათისა და შეხედულების ადამიანებთან ურთიერთობამ ფასინეს ბევრი რამ ასწავლა. იგი თავისი მეგობარი სტუდენტების წრეში ერთერთი ყველაზე უფრო მიმზიდველი პიროვნება ხდება. ს. აგუმაამ, ისევე, როგორც ასიდეს როლში, აქაც შესძლო წარმოეჩინა სათნო, გულთბილი სოფლელი ქალიშვილის ბუნების შინაგანი სილამაზე, და ის სიკეთე, რომელსაც საგზლად ატანს სოფელი ცხოვრების შორ გზაზე შემდგარ თავის მკვიდრთ.

კიდევ ერთმა როლმა დატოვა წარუშლელი კვალი. ს. აგუმაას შემოქმედებაში — ესაა ნაზი მ. ბაიჭიევის ბიუსა „დუელიდან“, რომელიც დადგა რეჟისორმა მ. მარხოლიამ. სექტაკაში თავისებური დუელი იმართება დია-

მეტრულად საწინააღმდეგო ბუნების ადამიანებს შორის. ერთი მედლეტურია, მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს და ყველაფერზე მიღის თავისი ღვაწის ტური ზრახვების ხორცმესხმისათვის. მეორე კი თავის სიცოცხლეს საფრთხეში ადებს სხვების დასამარებლად. ამ კამერულ სპექტაკლში ცხოვრება უქიდურესად რეალისტურად და ასახული. მან წინდა და მშვენიერი ვახანბა უწმინდურსა და ცინიკურს. და მინც, ამ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ადამიანის სულს სიწმინდე იმარჯვებს.

ს. აგუმაას გმირი — ნაზი თითქოს მზისკენ მომზირალი ყვავილია. იგი მთელი თავისი არსებით ილტვის აზიზისკენ, რომელიც უსახლეროდ დიდ სიბოხსა და სიწმინდეს აშუქებს. გული გულს იცნობს, ფერი — ფერსაო, რომ იტყვიან, ისეთია ნაზისა და აზიზის დამოკიდებულება.

გაზ. „სოვეტსკაია აბხაზისა“ (1968, 26 ივნისი) რეცენზენტი ი. გერია ასე ახასიათებს ს. აგუმაას თამაშს; „...სოფლი აგუმაამ ბრწყინვალე შეპარულა ნაზის როლი... მსახიობი ყველა ვითარებაში ძალზე ბუნებრივია, — მაშინაც, როცა დუმს, მაშინაც, როცა იმას არ ამბობს, რასაც ფიქრობს და მაშინაც, როცა თავის მწუხარებაზე ხმამალა მოთქვამს და გოდებს. ანდა, შენ ტახტები, თითქოს სულ ჩადგმულ ნახატს უყურებო, როცა იგი სცენაზე ტრიალებს ან რიტმულად ცეკვავს აგუნებით. როდესაც იგი ტრისი, დარბაზში ჩუმად იწმინდენ ცრემლს. როცა ლაპარაკობს, დარბაზი მის ყოველ რეპლიკას იჭერს. ეს ისაა, რაზეც ოცნებობს ყველა, ვინც კი სცენაზე გამოდის — ეს წარმატებაა“.

სპექტაკლი ღრმა და შთამბეჭდავი იყო. იგი მნიშვნელოვან აზრს ამკვიდრებდა. დუელი შედგა და ვინც ილტუბა, ის ამარცხებს ცოცხლად დარჩენილ ეგოსტ ადამიანს. მხატვარმა თ. თვანიამ სპექტაკლის ძალზე პოეტურ დეკორატიულ გადარწმუნებას მიაგნო.

ცისფერი წყალი. ცისფერი ფონი. მთელი სამყარო — ცისფერი და ყოველივე ამის ცენტრში — პატარა კუნძული, ასე გგონია, ქარის ერთმა ძლიერმა დაბეჭდამ შეიძლება აიტაცოს ეს პატარა კარავი. დღას იგი ოცნებასავით უმწეო და სიზმარული... ასე გგონია, რომ მთელ ქვეყნიერებაზე ვერ მოინახება შეყვარებული წყვილი, რომელსაც ბედნიერებისთვის უპაცრიელ ცისფერ კუნძულზე დადგმულ კარავზე უკეთესი რამ სჭირდებოდა, ასე გგონია, რომ მხოლოდ ბედნიერებას შეიძლება ეძღოს ბინა მასში. და მის ბინადართათვის, თითქოს, ერთადერთი საფერავალი ის უნდა იყოს, რომ ამ კარავს თავზე არ დაატყდეს გრივლი, არ წააქციოს იგი, პაერში არ აიტაცოს, არ დაგლიჯოს. ამ პაეროვანი ს-

ცხოვრების ცისფერი არაფერმა არ უნდა აშლავდეს.

...სიხვიერკაბიანი, კნაპა, გრაციოზული ნაზი — აგუმაა კი მუსიკის რიტმის აყოლებით ტრიალებს ნაზარზე. ქარი თმებს უწევს, კაბას უფრიალებს, ხელიდან აღერსით სტაკებს თავსაფარს, ვინაა ეს ჯალი, ბედნიერი ქალი? და, თითქოს ჩვენს კითხვას პასუხობსო, იგი გვაუწყებს: — მე ქალი ვარ. ნაზი მჭევია. ოცდაორი წლისა გახლავართ. ორ ახალგაზრდა კაცს ისინადერი და აზიზი მჭევია. მეტი აქ სხვა არავინაა“.

ეს სპექტაკლი ნაღვლიანი მუსიკალური აკორდებით მთავრდება. მოქმედი პირები სცენას სტოვებენ, თვალის დამატყვევებელი ბუნება კი ისევ ისეთი რჩება, თითქოს ახალ, ჭერ ჩვენთვის უცნობ ადამიანებს, ახალ პრობლემებს, ახალ ტყვილასა და ახალ მწუხარებას ელოდებოდა.

სპექტაკლის წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა. მაყურებელი სიამოვნებით ესწრებოდა წარმოდგენას, რომელიც თანამედროვე ადამიანების ახლებურ ურთიერთობებს ასახავდა.

ს. აგუმაას წყალობით ასე ჩნდებოდა აფხაზურ სცენაზე პოეტური, ყოველგვარი ზედმეტი პათეტიკრობისგან თავისუფალი, ამაღლებული ხასიათები. ს. აგუმაას გმირები — ემოციური, ნაზი, უღალატო, ენერჯული ადამიანები შეიყვარა აფხაზმა მაყურებელმა, სწორად მოიქცა რეჟისორი და კორტავა, როცა რ. გამზათოვის „მითელ ქალში“ ასიათის როლის შესრულება ს. აგუმაას დაავალა. კაცს ეგონება, თითქოს როლი საგანგებოდ ს. აგუმაასათვის შეეკმნას ავტორი, იმდენად შეეხამა გმირის ბუნება მსახიობისას.

სპექტაკლი აღიქმებოდა როგორც პოეტური, ამაღლებული საუბარი მთიელი ქალის ხედრზე, ქალისა, რომელიც აჯანყდა მთიელთა ძველი, მაგრამ ჭერ ისევ ფესვებმაგარი აღათ-წყების წინააღმდეგ. რეჟისორმა და მთავარი როლის შემსრულებელმა მოგვეცინა ასიათის სახის საინტერესო ინტერპრეტაცია, გმირის ხასიათი გახსნეს პოეტობიერებელი, ამაღლებული მანერით. ძველი, მაგრამ ფსევმაგარი ადამიანის ორიენტალიზმი იგი გრძელში მოხვედრილი, დასაღუბაად განწირულ ფაქტზე, ნაზ ყველს ჰგავდა. ს. აგუმაას ასიათი იყო ხორცმესხმა სილამაზისა და სინაზისა, მისი ნაღვლიანი თუ მხიარული გამომხევა დიდხანს ედგა მაყურებელს თვალწინ. ს. აგუმაა ამ სპექტაკლში მოგვევლინა ჩინებულ ფსიქოლოგიური პლანის ტალანტად, რომელიც დიდი ოსტატობით გადმოსცემდა გმირის ტყვილას თუ სიხარულს, მისი ასიათი სულაც არ იყო უმწეო და ინერტული. იგი თანდათან იმსკვალება ბრძოლის, ბოროტე-

ბისთვის წინააღმდეგობის გაწევის სულისკვეთებით და იგი პოულობს ძალას ქალური ღირსების დასაცავად, და მინც, ასიათი ხდება მსხვერპლი დრამოქული დათებისა, რომელიც ვადმონაშთებზე კავკასიის მთიან სოფლებში ჯერ ისევ ბოჯიზობენ.

ამ სპექტაკლში რეჟისორ დ. კორტავასა და მსახიობთა წყარობით ერთმანეთს შეენივთა რომანტიკა და პოეზია, რეალური ყოფა და სუსხიანი სატრია. მთელი ქალის — ასიათის ხვედრის ჩვენებით აფხაზურმა თეატრმა შთამბეჭდავად წარმოაჩინა ძველის, დროგადასულის კედომისა და ახლის, პროგრესულის დამკვიდრების რთული პროცესი.

60-იანი წლების მიწურულს მსახიობმა წარმატებით ითამაშა მთელ რიგ სპექტაკლებში (ბ. პრეტის „ბატონი პეტრილე და მისი მსახური მანტა“, ა. ისტროვის „თოვლია“ და სხვ.).

1969 წელს აფხაზურ სცენაზე პირველად დაიდგა დიდი ნორვეგიელი დრამატურგის — ჰ. იბსენის ერთ-ერთი საუკეთესო დრამა „მოჩვენები“, რომელშიც ფრუ ალენგის როლი შესანიშნავად შესასრულა ს. აგუმაშ. ეს როლი მსახიობის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახალი ფურცელია. ამ ფსიქოლოგიური დრამის დადგმას დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა მ. მარხოლია, რომელიც დიდხანს ოცნებობდა იმაზე, რომ ერთ ანსამბლში მოეყარა თავი აფხაზური თეატრის ისეთი საინტერესო მსახიობებისთვის, როგორც არიან რ. აგრა, ა. ერმოლოვა, ვ. კოვე და, რაღა თქმა უნდა, ს. აგუმა. რეჟისორმა სპექტაკლი ჩაიფიქრა, როგორც თეატრული ხეღერის ადამიანის დრამა, ადამიანისა, რომელმაც ვერ შესძლო ბძილა ბურჯუაზიული მორალისა და რელიგიური სიბნელის წინააღმდეგ.

„მოჩვენების“ პრემიერა შედგა 1969 წლის დეკემბერს. სპექტაკლის პირველ პლანზე რეჟისორმა გამოიყენა დედა-შვილის დუეტით და დიდის ტრაგედია წარმოაჩინა ს. აგუმას საოცრად ღრმად გააზრებული შესრულებით.

ოდესღაც ლამაზი და ჯერ ისევ საკმაოდ მიმზიდველი, ოღნე თამაშეუბრცლო, ფართო, შემოთავაზებული თეატრი, დინჯად, აუჩქარებლად მოსიარულე, — ასეთი წარმოდგა მაყურებელს აგუმას ფრუ ალენგი. მსახიობი მაყურებელს იპყრობდა თავისი დამაყრებელი, წრფელი განცდებით. დრამის მონაწილე სხვა პირებთან ურთიერთობაში თავდაპირილი ფრუ ალენგი-აგუმა შვილის გამოჩენისას წამში იცვლებოდა და საოცრად აღერსიანი, მოსიყვარულე დედა ხდებოდა. მისი გამოხედვა, მისი მთართლვარე ხელების მოძრაობა დიდი ხნის წინათ განშორებულ შვილთან შეხვედრისას უსაშველო სი-

ხარულს გამოხატავდა. და, აი, დედა იგებს, რომ მის შვილს უყურებელი სენი სჭირდება, პირველი, რასაც აცუთებს, ისაა, რომ უნდა შვილი ხვალინდელი დღის საშინელება მოსტავოს და მაგრად იკრავს მეტრებს მის თავს. მძიმე სიჩუმე შევებოდა და მხოლოდ წვიმის ხმა არღვედა დღემოს. ბოლოს, ფრუ ალენგი-აგუმა აცრემლებული, დიდხანს, დიდხანს უყურებდა შვილს თვალებში. რამხელა სინაზის და რამხელა სიყვარულს აფრქევდა ამ დროს ფრუ ალენგი-აგუმა!

სცენაში, როცა ოსვალდი-კოვე გამძვინვარებით უყვირებს მას, მე შენთვის სიცოცხლე არ მითხოვია, იგი არც არაფერში მებრდება და შეგიძლია წამართვო, ს. აგუმა ადვილს მოწყდება, თავში ხელს წაივლებს და „მიმეღეთ, მიმეღეთო“ ყვირის, შემდეგ სწრაფად გაემართება ქარისკენ, მაგრამ შვილის ვერბება, — ნუ მიდიხარ, დედი, აბა, სად მიდიხარო? — თითქოს ადვილზე გაჯავრებს. და იგი უკვე ვერ იკავებს თავს, აქვითინდება და შვილს ჩაეხვევს. ისინი, მწუხარნი და მარტოხელანი, დგანან ასე გაშვებულნი, სცენიდან მხოლოდ გრიგის მუსიკა ისმის, რომელსაც ქარის ღრიალი და წვიმის ხმაური აძლევს ბანს.

...ფრუ ალენგს — ს. აგუმას რეალობასთან ტაშის გრილი აბრუნებდა. იგი მაყურებლებისთვის თავის დასაცრავად თითქმის შექანიყურად გამოდიოდა ოსვალდის როლის შემსრულებელ ვ. კოვესთან ერთად და დარბაზი მას დიდხანს აღარ უშვებდა სცენიდან.

სპექტაკლი „მოჩვენები“ ათასობით მაყურებელმა ნახა აგუმი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში და სოფლი აგუმას თამაში ყველგან აღტაცებას იწვევდა.

თბილისში ჩატარებული გასტროლების დროს ამ სპექტაკლზე მართალი გამოხმაურება და რეცენზია გამოქვეყნდა. აქ მინდა მოვიყვანო პროფესორ ი. ანთელავას სიტყვები: „მე ვნახე აფხაზური თეატრის სპექტაკლი „მოჩვენები“. ვულახდლად უნდა ვთქვა, რომ დიდი ესთეტიკური კმაყოფილება მივიღე. ყველა მსახიობი შთაინებთ თამაშობდა, მაგრამ განსაკუთრებით მინდა გამოვიყო ს. აგუმას, რ. აგრბას და ვ. კოვეს თამაში. მე თეატრმცოდნე არა ვარ, მაგრამ, გაგებდავ და ვიტყვი, რომ ეს ადამიანები ნიჭიერი მხატვრები არიან და, ვფიქრობ, ისინი ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი თეატრის სცენას დაამყენებდნენ. მათი ბრწყინვალე სამშრომლო ოსტატობის მოვებთ სპექტაკლის ჩანაფიქრი მთლიანად აღიქვა მაყურებელმა, თუმცა, აუღიბოროტად აფხაზური ენა არ იყოლა.“

მსახიობის შემდეგი როლები იყო: ეთოლი ფ. შილერის „დონ კარლოსში“, დედა დ. დუმაბის „თეთრ ბაიარლებში“, მარია ი. ბუკო-

ენანის პიესაში „მამლის ხიროლამდე“, მიღე-
ნა ა. გულმანის „რემიაში“, ლანცა ა. არგუ-
ნის პიესაში „გუდისა ლაზარაზე“ და სხვ.

6. ვუბან მიერ დადგმულ „დონ კარლოსში“
საინტერესო სახეები შეიქმნა, რომელთა შო-
რის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახე-
ლოთ კოვეს დონ კარლოსი, ს. დნარის დედო-
ფალი, ს. აგუმას ებოლი. ამ სახეა შექმნა
და აქტიურულ წარმეტყველებად უნდა მივიჩი-
ნოთ. ლირიკული, მიხნედილ-თავშეკავებუ-
ლი დნარის დედოფლის ვერდიო, რომელიც
ტრაგიკული განწირულობის ნიშნითაა აღბე-
ჭვლილი, ს. აგუმას ებოლი ხიროლამდე, როგორც
ტრაგიკულ-პათეტიკური სახე. აგუ-
მას ებოლი ერთდროულად დაუთკებელ
დაუმცხრალი და მძაფრად სახასიათო არსე-
ბაა.

დაუეიწყარია ს. აგუმას ჰკუამხიარული
ქალი მარია. (ი. ბუკოენანის „მამლის ყივი-
ლამდე“). მსახიობმა დამაჯერებლად, თვალ-
ნათლივ გვიჩვენა ხორციელ თავაშვებულო-
ბასა და სულიერ სიმართლეს შორის არსებუ-
ლი დისპარმონია.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ს. აგუმა არსო-
დეს არ ამბობს უარს პატარა, მეორეხარის-
ხოვან როლებზე, პირიქით, მისი შესრულე-
ბით ამგვარი როლები მოთულოდნელ ელვა-
რებთა და სიღრმით იწყებენ ცხოვრებას
სცენაზე. აი, რას წერდა რეჟისორი ფ. იარ-
მიკაია ს. აგუმას თამაშზე ქ. ელაროში აფ-
ხაზური თეატრის გასტროლებში დღეებში“.

„6. დუმბაძის „ოთხი ბაიარლებში“ ს. აგუ-
მა თამაშობდა სცენური დროის მიხედვით
მიკრე როლს დედისას, რომელიც ციხეში
მოღის შვილის სანახავედ. მე შემთხვევით
როდი დავიწყე ს. აგუმასთან შეხვედრებზე
საუბარი მისი პატარა როლით. გავისხნოთ,
როს ამბობდა ქ. სტანისლავსკი: „არ არსებობს
დიდი და პატარა როლები, არსებობენ მხო-
ლოდ დიდი და პატარა მსახიობები“.

ეს მართლაც რომ ასეა. ეს „პატარა“ როლი
ძალზე ძვირფასია ს. აგუმასთვის. მან მი-
თხარა: „ამ სახეს ძალზე ველოლიყები. დე-
დის როლში ყოველი ამოცვლისთვის ისე
ვემზადები, თითქოს პირველად ვიამაშობდე“.

ნამდვილად რომ საინტერესო იყო აფხაზი
მსახიობების შესხვედრა ამერიკელ დრამატურ-
გის ტენესი უილიამსის დრამატურგისათან.
მისი პიესა „ტრამეია“, სურვილი“ თანამედრო-
ვე საზღვარგარეთული დრამატურგის მნიშ-
ვნელოვანი მოვლენაა. ტ. უილიამსი ამხელს
ბურჟუაზიულ საზოგადოებას, ააშკარაებს
მისი სულიერი დასუტლებების დალუპვის
გარდუვლობას. ამ სტრატის ავტორს, როგ-
ორც ტ. უილიამსის პიესის აფხაზურ ენაზე
მთარგმნელს, მოუხდა სპექტაკლის რეჟისორ
დ. კორტავასთან ერთად მუშაობა. დ. კორ-

ტავ სკრუპულოზურად ხეწუნდა სპექტაკლს,
დრმად ანალიზებდა პიესას მიმდინარე სო-
ციალურ პროცესებს, პერსონაჟთა შინაგან
სამყაროს. რეჟისორმა ყურადღების ცენტრ-
ში მოაქცია სამი მთავარი მოქმედი პირი —
ბლანში, სტელა, კოვალსკი და მათი ხასიათე-
ბის ანალიზის მეხეებით გვიჩვენა არსი საზო-
გადოებისა, სიდაც ყველაფერი ავებუნდა
კერძომბაკეთურობისა და ცხოვრებისადმი
მომხმარებელი დამოკიდებულების პირნიცი-
პებზე, რომლებიც ფუქვ ცნებებად აქცევენ
სულიერ სიფაქიზეს, ურთიერთპატივისცემას
და ნიადაგს ებოლი ხიროლამდე ცინიზმისა და სისას-
ტიკისთვის, ადამიანის ღირსების შემოახვე-
ლი ატმოსფეროსათვის.

ს. აგუმა ბლანში დიბუეს ასახილებებს
ადამიანად, რომლისთვისაც უცხო და გაუგე-
ბარია ჭუნგლის კანონებით ცხოვრება. იგი
ცილობს იბრიოლოს სტელას სახლში ვაბა-
ტონებელი უხეშობის, უსულგულოების, ფარ-
ისეელობის, თვალმომკიცხის წინააღმდეგ.
მაგრამ, სამწუხაროდ, თვით ბლანში-აგუმა
უმწერა და უხერხელო, მისი სიტყვა და სა-
ქმე ერთმანეთს დამორბეულობა და, კოვალს-
კის პირველივე უხეში გამოხდომის შემდეგ,
თმობს პოზიციას. მსახიობმა ძალზე დახვეწი-
ლად, დამაჯერებლად გადმოსცა თავისი გმი-
რის ხასიათის წინააღმდეგობები, მისი უნებ-
სყოფობა, წუთიერი აფეთქებები. იგი ხან მო-
თენილი, საწყალობელი, გამოვლელია, ხან
ხალისიანი და აღვზნებულია და მზადაა მთე-
ლი სამყარო გულში ჩაიკრას. მსახიობმა შექ-
მნა სახე ქალისა, რომელიც თავისი კეთილშო-
ბილებით ამაღლდა თავის წრეზე, უცხო სხე-
ულად დარჩა ამ წრისთვის და მისი მსხვერპ-
ლი გახდა კიდევაც.

შეიძლება ითქვას, რომ ს. აგუმას სტიქია
პეროიკული ხასიათების ტრაგიკული თემბე-
ის სცენურ ენაზე ხორბუტსხმაა, მაგრამ მას
მხიარული კომედიაც იტაცებდა, მსუბუქი
იუმორიცა და მსუსხავი სატირაიც, რომლებიც
მაყურებელსაც სჭირდებოდა და თვითონ
მსახიობის სულიერი შემოქმედებითი წონას-
წორობისთვისაც აუცილებელი იყო. ამიტო-
მაც ითამაშა მან ასეთი შთაგონებით ტარა
ტარაზის როლი ბ. შნიკუბას კომედიაში
„მერე... როგორც გენგენი...“, რომელიც სა-
ინტერესო რეჟისორული ჩანაფიქრით დადგა
აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებუ-
ლმა მოღვაწემ დ. კორტავამ.

სპექტაკლში ბევრი ძალზე საინტერესო აქ-
ტიორული ნამუშევარია, მაგრამ განსაკუთრე-
ბით გამოირჩევა ს. აგუმას და ჩ. ჭენიას დუ-
ეტო, — მათ შესარულეს ტარა ტარაზისა და
ჩაკე ჩაკარიას როლები. მათმა ბრწყინვალე
თამაშმა მაყურებელთა აღტაცება გამოიწვია,
ცინცხალი საღებავებითა და მტყეველი ფერ-



სცენა სპექტაკლიდან „მოჩვენებანი“
ფრუ ალენიკი — ს. აგუმა

ებით იყო დახატული ამ უარყოფით პერსონაჟთა ხასიათები. ტარა და ჩაკი აშკარად, დაუფარავად ქადაგებენ: სიფლად თუ ქალაქად, ნებისმიერი შემთხვევისთვის, ჭირი იქნება თუ ლხინი, ფული უნდა მოვაქუთოთ, და ამას ურთიერთდახმარების წეს-ჩვეულებას ეძახიან. სინამდვილეში ისინი ამახინჯებენ, აყალბებენ საუკეთესო ხალხურ ტრადიციებსა და ადათებს, რომლებიც კაცთმოყვარეობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე იყო დაყრდნობილი.

აფხაზური სცენური ხელოვნების ნიჭიერმა წარმომადგენლებმა ს. აგუმამ და ჩ. ჯენიამ კიდევ ერთხელ გვიჩვენეს თავიანთი კომედიური ნიჭი, — სატირის დაუნდობლობით გაამთარახეს ჩვენი ყოფის ხორცილებები.

ბედნიერია მსახიობი, რომელსაც თავიანთი მცემლები ჰყავს. ისინი ბევრნი ჰყავს ს. აგუმას, რაც ავალებს და წადილს უღვივებს, რომ კიდევ უკეთ ითამაშოს, კიდევ უფრო ღრმად და შთამბეჭდავად გავსნას ხასიათები. როდესაც მიდის სპექტაკლი ს. აგუმას მონაწილეობით, დარბაზში არავენ რჩება გულგრი-

ლი. დარბაზი იცინის, ხარხარებს, რუგუცა უყურებენ ტარა ტარაზის კომედიაზე: „მეზობელი რე... როგორ გენებოთ...“, ხოლო როცა უყურებენ ვ. ვიშნევსკის „ოტიმისტურ ტრაგედიას“ (აფხაზურ თეატრში დაიდგა ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავზე), ლელავენ, — ღრმად განიცილიან უშიშარი კომისრის ბედს. „ოტიმისტური ტრაგედია“ დადგმა აფხაზური თეატრის სცენაზე უშუალოდ ს. აგუმას შემოქმედებით პიროვნებასთან, მის ტალანტთანა დაკავშირებული. სწორედ იგი წარმოიღვინა რევოლუციის კომისრის როლის შემსრულებლად რეისორმა დ. კორტავამ — მისი კომისარი ხომ ნებისყოფიანი, მიზანსწრაფული, ძლიერი, ინტელექტუალური ხასიათის მეტროპოლი უნდა ყოფილიყო, იმ მეტროპოლითა სისხლი სისხლთავანი და ხორცი ხორციავანი, რომელთა მეშვეობითაც ამოწმებდა ლენინი რევოლუციის მაჩინებს.

ს. აგუმას კომისარი გარეგნულად მშვიდი, თინიერი ქალია. მსახიობი მტკიცე, რკინის რაინდის ნაბიჯით არ დადის, განსაკუთრებული პათოსით სულაც არ ლაპარაკობს, მაგრამ რასაც ამბობს, იმას ურყევე რწმენის ბეჭედი აზის. მისი ყოველი სიტყვა მიზანში ხვდება. კარგად იცის, რა მიმე საქმეც დაეკისრა და რა რთულია ანარქისტულად განწყობილ მრავლობასხველ მატროსებთან მუშაობა, მაგრამ არ შეშინდა, არ შედრკა.

აგუმას გმირმა იცის, რომ მხოლოდ ძალით, მხოლოდ ტყვეით ვერ მოთოვავ, ვერ შევაკვებ თავწყვეტილი მატროსების ბრბოს, აქ საჭიროა პოლიტიკური ლაბირინთიდან რევოლუციისკენ მიმავალი სწორი გზის მონახვა, საჭიროა გულის ენით, გონების ენით ლაპარაკი.

როგორ, რა საშუალებით უნდა შეიკრას ერთიან რევოლუციურ რაზმად ეს ათასი ჯუარის მატროსებისგან შემდგარი ჭრელი პოლიტიკი?

რევოლუციური სიმართლე იყო კომისრის იარაღი და მან გაიმარჯვა, შესძლო მატროსების, აქამდე ამ ურწმუნო თომების გამოფხიხვლება, მათი ჩაყენება სოციალისტური რევოლუციის სამასხურში.

ს. აგუმას გმირი — კომისარი პროვოკატორის ტყვეით განგმირული ეცემა, მაგრამ იმარჯვებს ილია, რომელსაც იგი ეწირება.

პოლიტიკი გარინდულია. მაღლა, ცეცხლის ენის ფონზე აღმართება კომისარი — აგუმა, წინამძღოლი ანარქისტი ქაოსიდან გამოყვანილი, უკვე ახალი — რევოლუციური პოლიცია, პიროვნება, ვინც რევოლუციის, მისი ჰუმანისტური არსის თავისებურ სიმბოლოდ იქცა.

ბუნებით მოკრძალებული პიროვნება — ს. აგუმა არასოდეს არ ლაპარაკობს თავის შემოქმედებით გამარჯვებებზე, რომლებმაც მას

დამსახურებელი აღიარება მოუპოვა აფხა-
ზეთს გარეთაც. ერთხელ, როცა უტყობლმა
ქურნალისტებმა მსახიობს ჰკითხეს, რაიმე სა-
პატიო წოდება თუ გაქვთ მინიჭებული, მან
უბრალოდ უბასუხა: მაქვს, მაგრამ განა მითა-
ვარი ეს არისო? ვფიქრობ, რომ იგი მართა-
ლიცაა, და არცაა მართალი, რადგან, მიგვაჩი-
ნია, რომ ღირსეულად მინიჭებული წოდებაც
გამოხატავს ამა თუ იმ შემოქმედლის დამსახუ-
რებას. და, განა, საეცემო კანონზომიერი არ
იყო, რომ ს. აგუშაა აფხაზეთის ასსრ უმაღლე-
სი საბჭოს მეცხრე მოწვევის დეპუტატად
აირჩიებო? განა საეცემო კანონზომიერად არ
მიენიჭა მას, ჯერ კიდევ 1972 წელს, საქართ-
ველოს სსრ დამსახურებული არტისტისა და
აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტის
საპატიო წოდებები?

მსახიობი განაგრძობს შემოქმედებით სი-
ცოცხლეს თავის შრომატურ თეატრში. მას
წინ მრავალი საინტერესო როლი ელის, რომ-
ლებზეც აქედანვე ფიქრობს და ოცნებობს.
მაგრამ არამცდარაა იმე არ შეგვიძლია გვერდი
აუღუროთ მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის
ერთ-ერთ ყველაზე ნათელ ფურცელს — მის
ელექტრას.

დიდხანს საოცნებოდ ჰქონდა რეჟისორ
მ. მარხოლიას სოფოკლეს „ელექტრას“ დად-
გმა, და, აი, რეჟისორმა, ს. აგუშაასთან შემო-
ქმედებითი მგობრობით ამ ოცნებას ხორცი
შეასხა პრემიერა ბიჭვინთის უძველეს ტაძარ-
ში შედგა, შემდეგ თეატრმა „ელექტრა“
უჩვენა 1979 წელს ქ. უღანფოში ჩატარებული
გასტროლების დროს, და უკრაინის ტელევი-
ზიითაც გადასცეს (თავისთავად ცხადია, რომ
სპექტაკლი სოხუმში, აფხაზეთი თეატრის
სცენაზე იღმებოდა). ს. აგუშაას ელექტრამ
მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახუ-
რა. მოგვყავს ადგილი უკრაინელი თეატრმ-
ცოდნის — მ. ნაბოკოვის სტატიიდან:

„ორესტეს ცნობის სცენას. აგუშაა მაღა-
ლი ტრაგედია გზნებით, ძალზე რისიანი,
დიდი მანვანი ძალის მსახიობისთვის შესა-
ფერი გადასვლებით ატარებს. ძლიერი დაქ-
რილი ფრინველივით ფიქვავს და გოდებს
ელექტრა, დასტირის ძმის და, უცხე, როცა
მიხვდება, რომ მის წინ ორესტეა, თითქოს,
ამხელა ბედნიერება ვერ დაუჭერებიაო, და,
თითქოს, ბრბაა და მიცვალებულის სახეს ვერ
ხედავსო, მოცახტახე ხელეხს ავლებს სახეზე,
დედურად ეფერება თმაზე. და ამ დროს მკე-
რდოდან აღმოხდება ვერ დაუჭერებიაო უმ-
წეო სლუკუნე — ასე განაწყენებული ბავშვი
ტირის. ამ წუთას ჩვენ მთელი სიცხადით
ვგრძნობთ, თუ რაიერ არადაამიანური სული-
ერი დაძაბულობით ცოცხლდება ეს გოგონა
მოლოდინის ამ უსაშველოდ გაწეილო წლე-
ბში. მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი სისუსტეა,

იგი კვლავ იკრებს ძალას, — ჯერ მაგრად უნ-
და იყო, ჯერ ხომ „სამართალს პური არ უტე-
ბია“.

არსებითად, ელექტრა — აგუშაას თავადვე
გამოაქვს უმაღლესი ზნეობრივი განაჩენი,
როცა მასზე მთლიანად მინდობილი ორესტეს
მოქმედებას წარმართავს. ძმისდმი მის დამ-
ოკიდებულებაში ერთმანეთს ებრძვის მამაკა-
ცისა და გვირის უფროსის წინაშე ქედმოადრი-
კილობა და დედური ნახი გრძნობა განვლენი-
ლი ჰბუტისადმი. ელექტრას ხომ ოდესღაც
უნანაგებია ორესტესთვის, შემდეგ კი გადაუ-
რჩენია იგი მკვლელობისგან. დედური სიყვარ-
ულის გრძნობა მსახიობს არ მოუფონია —
ეს სოფოკლიდან მოდის. სოფიო აგუშაასთვის
ელექტრას სახეში არ არსებობს რაიმე ანსტ-
რაქტული, განყენებული, მას ყველაფერი
აღამიანურად განცდილი და გაცნობიერებუ-
ლი აქვს.

ს. აგუშაას ელექტრას მაღალი შეფასება
მისცა გაზეთმა „სოვეტსკაია კულტურამ“
(1979 წ. 25 დეკ.):

„უბრალოება და სიღიადე — ელექტრას
ხასიათის ამ ორ წახნავს არაჩვეულობრივი
ოსტატობით წარმოსახავს ს. აგუშაა. მძიმე
ბედისწერის გარდღევალობის შეგრძნება და
სასტიკი გამოცდისთვის გვირის შზადყოფნა
მსახიობმა ძუნწე შტრიხებით გამოხატა. ყო-
ველი მისი ქესტი და გამოხედვა ცხადყოფს,
რომ გვირის ტკივილები მსახიობს განცდილი
და გაცნობიერებული აქვს...“

კიდევ რამდენი რამის თქმა შეიძლება ს.
აგუშაას ელექტრაზე! მთავარია ითქვას, რომ
მსახიობის ალლო, ტალანტი ჰვაკვს, თუ შეიძ-
ლება ითქვას, ლაზერის სხივს, რომელსაც სო-
ფიო აგუშაა მიზანწარაფულად წარმოართავს.

ს. აგუშამა და მისმა თანადასელებმა, რე-
ჟისორებმა და კორტავამ და მ. მარხოლიამ
თავიანთი სპექტაკლებით დაამტკიცეს, რომ
ესმით ჩვენი ეპოქის, ჩვენი თანამედროვეობის
მაჯისცემა, შეუძლიათ აღამიანებს დაუსახონ
უქეთურებასთან ბრძოლისა და სიყვითლენ
მიმავალი გზები, შეუძლიათ წარმოამჩინონ,
სად არის ნამდვილი ცხოვრება და სად ყალბი
ილუზიები.

ამის ნათელი დადასტურებაა სოფიო აგუ-
შაას კომისარი, ფრუ ალვინგი, ბლანში,
ელექტრა...

და, რასაკვირველია, გვეწამს და გვეკრა,
რომ ს. აგუშაასთან შემოქმედებითი შეხვედ-
რების სიხარული არც მომავალში მოგვაკლ-
დება.

თეატრალური პირობითობის ეფექტი



ვასილ კიკნაძე

მაცურებელი მიდის თეატრში და ნინასნარ უკვე იცის, რომ სცენაზე ნახავს პირობით სინამდვილეს, მაგრამ მას მაინც რეალობათ აღიქვამს. სცენა სავსეა სიურპრიზებით, მოულოდნელი ეფექტებით.

მეოცე საუკუნის თეატრში გამრავლდა სცენური ეფექტები, გაფართოვდა მისი საზღვრები, საშუალებაა რთულმა კომბინაციებმა შექმნეს სცენური ქმედების ათასი ვარიანტი. მე-19 საუკუნის თეატრი ნაკლებად ფიქრობდა ეფექტებზე, თითქმის არ იცნობდა სცენურ მეტაფორას. თეატრის სინამდვილე თავისთავადაც პირობითია. ძველი თეატრი პირველქმნილი ბუნების ხმას მიჰყვებოდა. მარტივი გზით ცდილობდა შეექმნა ცხოვრების ილუზია. მაყურებელზე ზემოქმედებას ახდენდა საოცარი გულწრფელობით, იდუმალებით, ეფექტური იყო მისი გაუნელებელი სიყვარული

ენოგილ თეატრმცოდნეს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ვასილ კიკნაძეს 50 წელი შეუსრულდა. მეტად მნიშვნელოვანია მისი დამსახურება დღევანდელი ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების საქმეში. მისი რეცენზიები, პრობლემური სტატიები, ნარკვევები, მონოგრაფიები, ესსეები უსათუოდ აჩენს თავის კვალს დღევანდელი ჩვენი თეატრალური — (და არა მარტო თეატრალური) ცხოვრების ახარეს.

ვ. კიკნაძემ პირველმა მიუძღვნა მეცნიერულად დასაბუთებული პოეტურად შთაგონებული გამოკვლევა დიდი ქართველი რეჟისორის სანდრო აბშტელის შემოქმედებას, რისთვისაც მას ვ. მარჯანიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

გარდა მეცნიერულ-ლიტერატურული მოღვაწეობისა, ვ. კიკნაძე კარგი პედაგოგიცაა. ამჟამად ის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორად მუშაობს.

ფურცალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია სულითა და გულით ულოცავს ვასილ კიკნაძეს მისი ცხოვრების ამ მნიშვნელოვან თარიღს და უსურვეს ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებას.

რული და ხელისუფლებასთან შეჯახების ისტორია. პქონდა ზნეობრივი კდემამოსილება, რასაც ქართულ თეატრში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ქართულ თეატრშიც გაიარა აზიისა და ევროპის გზებმა. ერთიც გაითავისა და მეორეც. ძლიერ შინაგანი ეროვნული ენერჯია თავისდა იქცევა იმასაც, რაც გარედან მოდიოდა, მაგრამ ნოყიერ ნიადაგს პოულობდა ჩვენში. თეატრი ამაღლებდა ეროვნულ თვითშეგნებას, ახდენდა მის სრულყოფას, ავრცობდა პუმანურ იდეებს. მაყურებელი ადვილად იჯერებდა იმას, რასაც სცენაზე ხედავდა, ადვილად ენდობოდა თეატრს და თეატრსაც საამისოდ აღარ აჭირდებოდა ათასი გზების ძიება. მაყურებელი დამშვიდებული ნერვებით მიდიოდა თეატრში, თეატრს გულუხვად უთმობდა დროს ღამის პირველ საათამდე, წინასწარ ემზადებოდა ამ შეხვედრისათვის. როცა სცენაზე შექსპირის ან სხვა მწერლის ტრაგედიას ნახავდა, ბოლოს ერთი ვოდვილიც უნდა „დეყილება“, რათა გაენოანსწარნებოდა შთაბეჭდილება. თუ კომედიას უყურებდა, იქვე მელოდრამასაც ნახავდა უთოლდ. სცენაზე მსახიობი და პიესის ავტორი იყვნენ. ავტორისადმი უსაზღვროდ ერთგული მსახიობი თამაშობდა და იგი გულმოდგინედ მიჰყვებოდა დრამატურგის სიტყვას. სიტყვა იყო პირველი სცენურ ეფექტსაც სიტყვის მაგია იწვევდა..

„დრო შეიცვალა. საუკუნეებმა გადაიჯირითეს კაცობრიობის ისტორიაში. დადგა მექანიზმების, გონიერი მანქანების ეპოქა, მაგრამ როგორია თვით ადამიანის დანიშნულება ახლა, როდესაც ათასწარი მანქანა შექმნა? ადამიანი ფეხით აღარ დადის, ადამიანი დაფრინავს, ადამიანი ცურავს ისე, რომ არ სუნდებდა, ადამიანი კოსმოსში შეიჭრა. რა გავლენა იქონია ყოველივე ამან ადამიანზე? ხომ არ დაკარგა ადამიანმა სიღამაზის, მშვენიერების მოთხოვნილება? მადლობა ღმერთს, — არა“. (ჯ. ბრუნერი), შემოქმედებითი ენერჯია მუდამ ქმნის, მოძრაობს, ეძებს ფორმებს ახალ-ახალი სიურპრიზებისათვის. მაყურებელიც ისევე შეიცვალა, როგორც თეატრიც და პიროვე. თეატრს აღარ შეუძლია ფარდის იდუმალი შრიალით მოხიბლოს მაყურებელი. თეატრმა პასუხი უნდა გასცეს ერთგულს კითხვებს, პრობლემებს. ერთი ადამიანის გონება ქმნის მშვენიერებას, ხოლო მეორე ადამიანი ამზადებს საშინელ ბომბს, რათა მოსპოს მშვენიერებაცა და მისი შემქმნელიც. ორივე თავიანთი საქმით არიან გატაცებულინი. რა საოცარი შეპირისპირებაა, და მათ შორის სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლაა. ზოგჯერ ფარული, არაცნობიერი იგი, მაგრამ ბრძოლა მაინც გრძელდება. თეატრი ცენტრშია მშვენიერების შემქმნელთა და მას არ შეუძლია ამ ბრძოლის წინა ხაზზე არ იდგეს. თეატრის განკარგულებაშია დიდი არსენალი საბრძოლო იარაღისა — ეს არის მორალის, ეთიკის, მრწამსის, და ათას სოციალურ-პოლიტიკურ საშუალებათა ერთობლიობა. მასთან მი-

დის ასობით, ათასობით ადამიანი და მას შეუძლია აღზარდოს იგი. თეატრი საამისოდ ეძებს ახალ-ახალ საშუალებებს. მათ შორის არის ეფექტური სიურპრიზი. იგი მოულოდნელია, უცებ გამოანათებს სცენაზე და დარბაზშიც ასევე უეცრად იფეთქებს ტაში. დგება წამი სცენისა და დარბაზის სრული გაგებისა, თანაგანდისა და ამ სიხარულს არაფერი არ შეედრება სცენური ეფექტი, იქნება ეს მეტაფორული სახით წარმოჩენილი, პირობითი მოულოდნელობის თუ იდის სიმბოლური განზოგადების შედეგი, ყოველთვის იწვევს მაყურებლის უეცარ მიხედვრას, მის არსში ნდომას და ამ მიგნების სიხარულის განცდებს. მაყურებელმა უცებ მიიღო უდიდესი ინფორმაცია, ინფორმაცია კი შეიძლება იყო პოლიტიკური, სოციალური და ან ერთიც და მეორეც; მეთავე... ამ უზარმაზარი ინფორმაციის მიღება ვიზუალურად ნათელი, ღამაზი ფორმით მოხდა და მაყურებელიც აღტყეებული შეხვდა მას, რადგან ამით ესთეტიკურ სიამოვნებას ეზიარა. დიდია ამგვარი თეატრალური პირობითი ეფექტის მნიშვნელობა, მაგრამ საერთოდ იგი მიზანს მიღწეულია, მაშინ როცა მას თავისი გამგები მაყურებელიც ჰყავს.

მეტაფორული აზროვნებისა და გართულებული, გროტესკული სცენური პირობითობის წარმოჩენა, რაც ასე საცნაურია ქართულ თეატრში, განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან, ტოტალურ რეჟისურასთან არის წილნაყარი. იგი თავისი არსით დამდგმელობით რეჟისურას არის დაფუძნებული. თავის მხრივ, მეტაფორული აზროვნება რეჟისურის უნივერსალიზმის პრობლემას უკავშირდება. იგი გუშინ და გუშინწინ არ წარმოქმნილა. შეიქმნა მეტაფორები კ. მარჯვანი-შვილისა, ს. ახმეტელის, ვს. მიეიერხოლდის, ე. ვახტანგოვის და სხვა რეჟისორებისა. მაგალითებს არ ჩამოვთვლით. ის კი უნდა ვთქვათ, რომ ყველგან საჭიროა ისტორიზმის პრინციპი, როცა წარსულს ვაფასებთ, მაგრამ ყველაზე მეტად იგი თეატრალური მოვლენების შეფასებისას უნდა ვახსოვდეს, დროის ფაქტორის განუსაზღვრელი ძალა აქვს თეატრში. დრო ადვილად სპობს, აბერებს თეატრის საშუალებებს. როგორც სიბერის ფაზს ნელდება სიტყბულის ენებანი, ასევე საცნაურია თეატრში შთაბეჭდილებების განვლების პროცესი, დროთა მანძილზე. ამიტომ, ჩვენთვის თეატრის კერებზედა ისინი უნდა დარჩნენ, ვისაც ხალხი აღმერთებდა თავის დროზე.

უნაპირო თეატრალური პირობითობის სამყარო. სინთეტური თეატრის რთულ კომპლექსში წარმოიქმნა საშუალებათა ათასი ახალი სახეობა, ზოგიერთი ძველიც ახლებურ კომბინაციაში მოექცა, ახალი შედარაობა შეიძინა. სახვითობის პრინციპებმა გააფართოვა მეტაფორის ხედვითი არე, ორგანულად გაითავისა პლასტიკური ნაზი და შეიქმნა რთული კონსტრუქციის მეტაფორული ხატი.

პირობითი სცენა ცხოვრების სინამდვილიდან თავისებური „გაქცევა“, რომელიც ახალი თეატრალური სინამდვილის შექმნით მთავრდება. სწორედ მასში იკითხება სინამდვილის მხატვრული სახის ენერჯია. პირობითი სცენის კოდი ინფორმაციასა და ასოციაციის დიდ სამყაროს მოიცავს. ბეგრის ასხვს ბოპემის ტყის სცენა ს. ახმეტელის სახელგანთქმული სპექტაკლიდან „ყაჩაღები“, ი. გამრეკელმა სცენაზე დადგა გაშიშვლებული უზარმაზარი ხის ფესვი (სპილოს ეშის რომ მოგაგვდა!). არაფრით არ გავდა ნამდვილი ხის ფესვებს. ეს არაბუნებრივი ხის ფესვი ბოპემის ტყის სრულ ილუზიას ქმნიდა. იგი წარმოადგენდა გრანდიოზული ტყის მეტაფორულ სახეს. რეჟისორმა და მხატვარმა გამართლება მოუძებნეს მას, მხატვრული ფუნქცია მიანიჭეს პირობით სცენას. ახმეტელის სიკვდილის შემდეგ, ერთხანს ფორმალისტურ გადაწყვეტად მიიჩნის ის სცენა და ნამდვილს მიმგავნებული „ბუნებრივი“ ხე მიახატეს. ეს ბუნებრივი ხე საოცრად არაბუნებრივი იყო.

მ. თუმანიშვილის სპექტაკლში „როცა ასეთი სიყვარულია“ იყო ასეთი სცენა: რ. ჩხიკვაძის პეტრი ბინაზე ეწვეოდა თავის საყვარელ ადამიანს მ. ჩახავას—ლიდა მატისოვას. სცენაზე კი სახლი არ იდგა. ცარიელი სივრცე გახლდათ. რ. ჩხიკვაძის გმირი იატაკზე დააკუნებდა, ლიდა მატისოვა კარებს „გაალებდა“ და „შიშ“ მიიწვევდა. ცხოვრებაში არც ასეთი სახლები არსებობს და არც იატაკზე აკაკუნებდნენ ზარის დატვირთვა თუ კარებზე დასაკაკუნების ნაცვალად. ამ სრულიად არაცხოვრებისეულ დეტალს მაყურებელი აღიქვამდა, როგორც საოცრად ბუნებრივს მოცემულ სიტუაციაში. პირობითი სცენური გარემო ბუნებრიობას ანიჭებდა ამგვარ ხერხს. ამავე სპექტაკლში ს. ზაქარაიძე ასრულებდა მოსამართლის როლს. ბრწყინვალე შესრულება იყო. მსოფლიო რომ მოიპაროთ, ვერ შეხვდებით ისეთ მოსამართლეს. ამ სპექტაკლში ს. ზაქარაიძე ქმნიდა მოსამართლის იდეალს. ამ პარადოქსულ წინააღმდეგობაში ვლინდებოდა არაბუნებრიობის ბუნებრივად ქცევის პროცესი.

ს. ზაქარაიძის მოსამართლისა და მ. ჩახავას ლიდა მატისოვას შორის დაახლოებით ასეთი დიალოგი იმართებოდა:

— ლიდა, შენ უკვე იცი თუ რა მოჰყვა პეტრისადმი სიყვარულს, დაილუებ. თავიდან რომ შეგქმლოს ცხოვრების დაწყება, როგორ მოიქცეოდი?

— ისევ გავიმეორებდი ჩემს გზას.

ამ დროს მოსამართლე ს. ზაქარაიძე ავლევებული მოწყნებოდა ადგილიდან, მოეხვეოდა ლიდა მატისოვას, გულში ჩაიკარავდა და ცრემლმორეული ჩაიჩურჩულებდა — „რატომ ლიდა... რატომ...“ და სულგა-

ნაბული მთელი დარბაზი მღელვარებით უყურებდა ამ დიდ სანახაობას.

ვინმეს უნახავს, მოსამართლე რომ ტიროდეს? ან განსასჯელს ეხვოდეს? რასაკვირველია არა! თეატრი კი ვერ წარმოიდგინება ამ პირობითობის გარეშე. ს. ზაქარაიძემ თავად შექმნა ახალი სინამდვილე, მაყურებელი დააჯერა თავის სიმართლეში და, ბოლოს და ბოლოს, სულ ერთი არ არის რა საშუალებებით მიაღწია ამას? ზოგჯერ მართალი სცენური დეტალი სრულიად შემთხვევითაც კი წარმოიქმნება ხოლმე თუ პირობითი გარემო ბუნებრივია“. სპექტაკლ „ესპანელ მღვდელში“ ერთი მანჯგალაძე ლოპესის როლს ასრულებდა (ფიციერვერკული სახე შექმნა). გენერალურ რეჟეტივიაზე კისერზე ჩამოსაკიდებელი ჯვარი დავიწყებოდა. როცა ჯვარი უნდა გადაესახა, მაშინ შეამჩნია ის, მაგრამ მოულოდნელად ხელი ჩაქნია (რა მნიშვნელობა აქვას!) და ხელითვე გადასახა პირჯვარი. დეტალმა არსებობის უფლება მოიპოვა. იგი ზუსტად გამოხატავდა ურწმუნო მღვდლის პოზიციას.

ათასჯვარი ფორმით ვლინდება ხოლმე სცენური მეტაფორა. ზოგჯერ იგი საოცარ მასშტაბს იძენს, მასში ვლინდება დიდი პოლიტიკური თუ სოციალური აზრი. ზოგჯერ პატარა დეტალის სახით არის წარმოდგენილი. თეატრში მეტაფორული აზროვნება რეჟისორის პრობლემასთან არის დაკავშირებული. იგი თითქმის არ გვხვდება განვითარებადი რეჟისურის პერიოდში. 20-30-იან წლებში კი უნივერსალურმა რეჟისურამ თან მოიტანა ფართომასშტაბი მეტაფორული სახეები. თუმცა დიდი რეჟისორები მეტაფორას სავსებით უქვემდებარებენ მსახიობს, გაიხსნეთ ყველასათვის ცნობილი მეტაფორა კ. მარჯანიშვილის სპექტაკლიდან „ოტელიო“. (უ. ჩხეიძის იაგო არწივი თითქმის რომ დაცხრება ძირს გართმხმლ ოტელიოს!). მსიანი წამებიდან მეტაფორამ ახალი აქცენტები შეიძინა. მსახიობი ზოგჯერ რეჟისორულ მეტაფორაში „მასხალის“ ფუნქციას ასრულებს. იგი მეტაფორაშია მოცუვლილი და თავად ვერ ბატონობს მასზე. პლასტიკისა და სახეობის პრინციპზე აღმოცენებულ მეტაფორაში რამდენადმე ნივლიანდება მისი თვითმყოფადობა და მოკრძალებულად ადგის იჭერს სიმბოლური აზრის საერთო პლანში. ეს არის ტოტალური რეჟისურის აქილევსის ქუსლიცა და ამასთანავე, მისი პირობითი სცენური აზროვნების მაღალი კულტურის ნიშანიც. ამ პარადოქსულ წინააღმდეგობაში შეინიშნება პამლეტისებური გაორება. სწორედ ასეთ ფიქრებს აღძრავს დიდად ნიჭიერი ლიუბიმოვის თეატრის ამ-სწინამდელი გასტროლები. იშვიათად გვინახავს ასეთი გულუხვობა მეტაფორებისა პირობითი სცენური სიმბოლოების ფიციერვერკული ბრწყინვალეობისა, მაგრამ ეს არის ნოსტალგია დაკარგულ მსახიობზე..

სცენური ეფექტებისა და მეტაფორული სახეების სიმრავლე ზოგჯერ თვითმიზნად იქცევა ხოლმე, იკარგება ზომიერება და გარდელდალად ინვეს ეთოფერონებას, რომელიც სპექტაკლიდან სპექტაკლებში გადადის. ზოგჯერ როცა ბუნდოვანია მეტაფორა, მაყურებელს ეკარგება სიხარულის განცდა, გაუგებარი შეიძლება გაორებასაც ინვედია, მაგრამ არა იმ სიხარულს, რომელიც თეატრისა და მაყურებლის ურთიერთ გაგებაზე აღმოცენდება ხოლმე. გაოცება და არა სულის შეძვრა. საერთოდ, მეტაფორების მოძალებას მაშინ აქვს ფასი, თუ იგი უკეთ ავლენს მსახიობის ხელოვნებას, რეჟისორულ მეტაფორაში ზოგჯერ მსახიობის როლი დეკორატიული დეტალის მნიშვნელობამდეა დაყვანილი. ერთობ საშინაია ასეთი მეტაფორა! (საშინოცა და ლამაზიც ერთსა და იმავე დროს!).

ს. ზაქარიამე არ იყო მოდას აყოლილი მსახიობი, მაგრამ კარგად იცოდა, რომ სცენურ საშუალებებს მუდმივი განახლება უნდა. ცხოვრების ფერისცვალება თეატრსაც სცვლის. მან პირველმა მოიწადინა თბილისში ჩამოეყვანა ბრეტის თეატრი. ეს შემთხვევითი არ იყო. ს. ზაქარიამე ხშირად არ შეგვერდა ინტელექტუალური დრამისა თუ სხვა თეატრალური ტენდენციების წარმოქმნას. „სამანიშვილის დედინაცვალის“ (რეჟისორები თ. ჩხეიძე და რ. სტურუა) დადგმით ნათელი გახდა, რომ თეატრმა იპოვა პირობითი სცენური აზროვნების ახალი მოდელი. რა კარგად გამოჩნდა მსახიობიცა და რეჟისორიც ერთსა და იმავე დროს!

ჟ. ანუის „ანტიგონეში“ ჩანდა თანამედროვე თეატრალური ენით მეტყველება. იგრძნობოდა სიახლე. მაგრამ ს. ზაქარიამისა და ზ. კვერენჩილაძის შესრულებაში „წმინდა სახით“ ფეხი ვერ მოიკიდა ინტელექტუალურმა დრამამ. იყო ეს ნაკლი? დააკლდათ რამე მსახიობებს?

რუსთაველის თეატრში ბოლო ათწლეულში თანდათან გაპარკოვდა სცენური მეტყველება, მეტად წარმოჩნდა არათეატრალური, ზეანული ინტონაცია, შესამჩნევად გამახვილდა ყურადღება პოლტიკურ და სოციალურ მეტაფორებზე, ერთგვარად მოითხოვა ტემპერამენტი და არტისტული გახლებება, მეტი ლაკონიზმი შეიძინა სცენურმა ფორმამ, კონკრეტულბოა აზრმა, გაძლიერდა მიზანსცენების სახიობობა და სხვა, რაც თანახმიერია გამორკვეული თეატრალური ესთეტიკური ტენდენციებისა. ჩვენ დიდად გვახარებს მიღწევები ამ სფეროში, რომელიც სახელმწიფო პრემიით დაგვირგვინდა. „კავასიურმა ცარის წრემ“ (რეჟისორი რ. სტურუა) ერთხელ კიდევ დაადასტურა ქართული თეატრის მაღალი კულტურა. თითქმის ოცდაათი წელია მას აქვთ, სახელმწიფო პრემიით რომ არ აღნიშნულა ქართული თეატრის მიღწევა. ამიტომ ეს ყველას ზემოა, მთელი ჩვენი თე-

ატრის აღიარებაა! და განა მართო ეს ფაქტი. ინგლისში „რიჩარდ მესამის“ (რეჟისორი რ. სტურუა) ტრიუ-მფულუმმა წარმატებამ აახდინა ის, რაზედაც ოცენობოდნენ ქართული სცენის კლასიკოსები მარჯანიშვილი და ახმეტელი, რასაც ესწრაფოდა ქართული სცენის შექსპირიანა.

შემთხვევითი არ არის, რომ „რიჩარდ მესამე“ პროზად ითარგმნა. ეს თეატრის ესთეტიკური პოზიციანა. სპექტაკლის შესახებ ბევრნი ითქვა და აღარ გაეფიქრებთ. ჩვენ მხოლოდ მისი ერთი ასპექტი განინტერესებს. არის თუ არა „რიჩარდ III“ და, საერთოდ, რ. სტურუას დიდად ნიჭიერი ძიებანი კავშირში სხვა თანადროულ ლიტერატურულ ძიებებთან? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არის. იგი არ წარმოადგენს ლოკალურ, მხოლოდ რუსთაველის თეატრის სფეროში მოქცეულ ძიებებს. ეს არის, ლიტერატურული ტერმინი რომ მოვიშველიო, „თეატრალური ვერლიბრი“.

თავლი დადავალთო რუსთაველის თეატრის შექსპირიანას: უ. ჩხეიძის ჰამლეტი, ა. ხორავას ოტელო და ა. ვასაძის იაგო, მას მოჰკვა ა. ხორავას ლირი, გ. გეგეჭკორისა და ნ. ჩხეიძის ჰამლეტი, მ. თუმანიშვილის დადგმით „ზაფხულის ღამის სიზმარი“, ს. ზაქარიამის ლირი, მ. თუმანიშვილის დადგმა „იულიოს კეისარი“ და რ. ჩხიკვაძის რიჩარდი. ეს მართკ ერთ თეატრში. ახლა მარჯანიშვილის თეატრში შექსპირი? — რესპუბლიკის სხვა თეატრებში და წარსულში დადგმული ტრესპირის პიესები — ყველაფერი ეს უმდიდრესი ტრადიციანა, რომელთაც გენეტიკური კავშირი აქვს ახალთან, თუქცა ერთობ სახეცვლილი.

ზოგი სპექტაკლი უკეთ დაიდგა, ზოგი ჩავარდა, მაგრამ სპექტაკლებში მაინც იგრძნობოდა დროის მოთხოვნით გამოწვეული ცვლილებანი, სხვა იყო „ოტელოს“ თეატრალური პოეტიკა და სულ სხვაგვარად იკითხება დღეს „რიჩარდ მესამე“. თეატრის მთელი გზა ჩანს ამ სპექტაკლებში. ისევ ლიტერატურული ტერმინი რომ მოვიშველიოთ და პირობითადად განვსაზღვროთ, ეს არის გზა „რიტომიანი თეატრიდან“ („ოტელო“) „თეატრალურ ვერლიბრამდე“ („რიჩარდ მესამე“). ყოვლად მოუტყვევებია მათი დაპირისპირება, ან ბანალური (თუ მოწაფური) კითხვა: რომელი სჯობიაო?! ყველაფერს ნიჭი და ოსტატობა წყვეტს! ყოველ დროს მოაქვს თავისი სათქმელ-სატკიკარი და მისი გამოსატკის მხოლოდ ხარისხი წყვეტს ყველა პოლემიკას.

ჟურნალ „ცისკრის“ შეკითხვაზე, რითომიანი ლექსი ურჩევნია თუ ვერლიბრი, ო. მეღვინეთუხუცესმა უპასუხა: რითომიანიო. ოიდიპოს მეფის შემსრულებლისათვის ბუნებრივი პასუხიანა. რ. ჩხიკვაძემ სხვა პოზიციანა დაიკავა შექსპირის რიჩარდ მესამის შესრულებაში. თანამედროვე ქართული თეატრის ეს ორი დიდი მსახიობი სხვადასხვა გზით ბრწყინვალედ ავლენენ ქართული არტისტიზმის სიდიადეს. ჩვენთვის ორთავე

ძვირფასია. ძვირფასია ის, რასაც ისინი ქმნიან. ხოლო თუ ოდესმე შემოაკლდება სიყვარული, ისინი უთუოდ მონახავენ ახალ გზებს. ან თუ გნებავთ ო. მელვინეთუხუცესის სპექტაკლი „ასი წლის შემდეგ“, გნებავთ მისი სირანო დე ბერკერაკი — გ. ლორთქიფანიძის და ო. მელვინეთუხუცესის დაწყვილება გარკვეულ მხატვრულ პოზიციას ნიშნავს, კლასიკური თეატრის პრინციპებთან თანამშრომლობას გულისხმობს.

პირობითი სიმართლის ეფექტი ათასგვარი შეიძლება იყოს. იგი დაიძებნება ყველა ტენდენციაში. თეატრში ძალიან კარგად ჩანს უნიადგობა სხვადასხვა სტილთა და მანერათა შეპირისპირებისა. თვით თეატრის ბუნება ვერ იტანს ამგვარ დაპირისპირებებს. თეატრში ადრე ბერდება საშუალებები, მთავარია ყოველი მათგანი აკმაყოფილებდეს თავის დროის მაღალ მოთხოვნებს. ა. ხორავა ოტელიოს დროის სტილით“ თამაშობდა, ასევე ავ. ვასაძე ფრანც მოორს, მაგრამ ისინი აღწევდნენ ნამდვილ მწვერვალებს.

ფიქრობთ, ასევე არ შეიძლება რითმიანი ლექსისა და ვერლიბრის დაპირისპირებაც.

უსაზღვროა თეატრის შესაძლებლობანი. ჩვენ თვალწინ ხდება ახალ-ახალი თეატრალური აღმოჩენები, ახალი მიღწევები, მათ გვერდით ბევრია ვულგარული მარცხები, მაგრამ თეატრის (და საერთოდ შემოქმედების) ბუნებისთვის არც ერთია უცხო და არც მეორე. ალბათ ასე იქნება მომავალშიც. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს თეატრის გზა, მხოლოდ დიდი მხატვრული სიმართლით მიიღწევა ყოველი სიკეთე.

ჩვენ უნდა გვახარებდეს სცენური მეტაფორების ის სიკეთე, როცა შექმნილი მხატვრული ხატი დიდი პოლიტიკურ-სოციალური წინაარსით არის სავსე. როცა მის მხატვრულ ენერჯიას წარმართავს მსახიობი. ხალხური თეატრალური ფორმების გათავისუფლება, მისი ორგანული შენივთება წარმოდგენის შინაგან განვითარებაში ქმნის ორგანულ სინთეზს. რეჟისორი თხზავს ეფექტურსა და ზუსტ კონსტრუქციას, სადაც ასევე ზუსტად რეგლამენტირდება არტისტის ფუნქცია. მაგრამ როგორც სხვა ამ ტენდენციის დროს ყველაფერს წყვეტს ნიჭისა და ოსტატობის დონე. მაგ. ის, რაც ბუნებრივია და მხატვრულად გამართლებულია რ. სტურუას წარმოდგენებში, იგივეს გამეორება, შეიძლება, სრულიად საწინააღმდეგო ეფექტს მოკავებდა ნაკლები შესაძლებლობის რეჟისორთან. მთავარია ერთი ტენდენცია არ უნდა დაფუძირისპიროთ მეორეს. დაე იყოს ერთიც, მეორეც და... მათვე. ქართველ ხალხს თეატრალური აზროვნების მრავალი ფორმა და გზა გააჩნია. სტილური მრავალფეროვნება ქმნის მის დიდებულ პანორამას. დაე ცოცხლობდნენ ერთ ცისქვეშ ადამიანის სულიერი სამყაროს გამომსახველი ათასი ფორმები,

დრო ყველას მიუჩენს ადგილს, ყველას დაიტევს ადამიანის გული და აზრი.

სცენური პირობითობის უნივერსალური შესაძლებლობანი, მისი გაზრდილი საშუალებები დღეს ერთობ დამაიმედებელია დრამატურგისთვისაც. ათასი გზებია ახლებურად ნაქოხვის, ახალი სცენური ვერსიების შექმნისა. ქართულმა რეჟისურამ უფრო გაბედულად უნდა მოჰკიდოს ხელი „ძველ“ ქართულ დრამატურგიასა და პროზას, პოეზიას, პუბლიცისტიკას. რამდენი რამ არის დაუდგმელი, ხელახლა წახსკითხი ვაჟა, ილია, კლდიაშვილი, ეს დიდი სიმდიდრეა ქართული თეატრისათვის. საბჭოთა პროზას მეტი გულისხმიერება უნდა. ნუ შეგვემინდება იმისა, რომ პროზას თავის „აქილევსის ქუსლი“ აქვს. ტოტალური რეჟისურის პირობებში ყველაფერს მოეცლება, მეტი სიბრძნე და მოკრძალები ერთსადამიანვე დროს!

თეატრალური პირობითობის სიურპრიზების, მეტაფორების ეფექტურობის მრავალი ფაქტორი უახლეს ქართულ თეატრში, საილუსტრაციოდ მოელი სცენების, დეტალების დამონშება შეიძლება თ. ჩხეიძის ბრწყინვალე სპექტაკლიდან „გუმინდელი“, ან გავისენოთ რუსთაველის თეატრში ახლახან წარმოდგენილი თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“ (რეჟ. რ. სტურუა)—რამდენი სიმბოლური, მეტაფორული სცენაა, სადაც ერთობ ძლიერია მისი ვიზუალური სახე. პირობითი მეტაფორული სახეების ეფექტურობა განსაკუთრებით გამოიკვეთა დ. კლდიაშვილის ნაწარმოებების დადგმებში. ეს იქნება „სამანიშვილის დედინაცვალი“ (თ. ჩხეიძე, რ. სტურუა) თუ ი. კაკულიას „უბედურება“ და „მსხვერპლი“ გორის თეატრში ან მეტეხოს თეატრში „უბედურება“ (ს. მრევლიშვილი), განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შ. გაწერელიას დადგმა „ქამუშაძის გაჭირება“. რამდენი ეფექტური მეტაფორაა მათში! რამდენი უცნაურად შემობრუნებული და მოულოდნელი ხილვა. ათასგვარი სცენური კომბინაციების მოქმედება ჯამში ქმნის ეფექტურ სიურპრიზებს! დ. კლდიაშვილის ამ ნაწარმოებების დადგმებში არის ფორმის ელგანტურობაც და სოციალური პრობლემატიკის სიმძაფრეც.

ვიზუალური მეტაფორული ეფექტი და სცენური სიმბოლო თუ ათასგვარი სიურპრიზი, — ყველაფერი ეს ღრმა ურთიერთ კავშირშია, ხოლო იგი თავის მხრივ დაკავშირებულია ტოტალური რეჟისურის პრობლემასთან, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ძიებათა ეფექტი (რომლის გარეშეც შეუძლებელია სიახლე), მაინც ყველაზე დიდი ეფექტია და სიურპრიზი ახალი აქტიორული სახის აღმოჩენა!..

ქველი სიმღერების ქველღექველ

ანზორ ერქომაიშვილი

შურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1977 წლის № 12-ში გამოქვეყნებული სტატია „ძველი გურული მომღერლების კვლადკვალ“, რომელშიც გადმოცემულია იმ ორი ანსამბლის ისტორია, გურული ხალხური სიმღერები 1907-1908 წლებში პირველად რომ ჩაწერეს ფირფიტებზე. მკითხველები გამოეხებოდნენ აღნიშნულ სტატიას და მომავლდეს პრაქტიკული ძველი ფირფიტა, რომლებზეც აღბეჭდილია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერები გამოჩენილ მომღერალთა შესრულებით. წინამდებარე წერილში კი მკითხველს მოვუთხრობ ამ უნიკალური ფირფიტების აღდგენის ისტორიას, რომელიც მრავალ საყუარდებო ფაქტს მოიცავს. ფირფიტების აღდგენის აუცილებლობამ მიმოიყვანა საკავშირო ფირმა „მელოდიასთან“ სარესტავრაციო განყოფილებაში. ფირმა „მელოდიასთან“ შეამდგომლობა გამიწვია და სარესტავრაციო ხარჯების ანაზღაურება იკისრა საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა.

მიკვლევლი ფირფიტების უმრავლესობა იმდენად გაცვეთილი იყო, რომ გარდა ზოგიერთისა, მათი სრულყოფილი აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა. შედარებით უკეთ შენახული იგივე ფირფიტების მოსაძიებლად სარესტავრაციო განყოფილების გამოცდილი მუსეის კ. ტახთაძის რჩევით, მივედი მოსკოვის გლენკას სახელობის მუზეუმში, სადაც აღმოჩნდა არა რევოლუციამდელი, არამედ 1928 წლის შემდეგ ჩაწერილი ფირფიტები სანდრო კავსაძის, ნიკო ქუმისაშვილის, სანდრო ინაშვილის, ვარლამ სიმონიშვილის, არტემ ერქომაიშვილის, მარო თარხნიშვილისა და სხვათა შესრულებით, რაც ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ვახლავთ.

გლენკას სახელობის მუზეუმის თანამშრომლებმა მიმასწავლეს ცნობილი კოლექციონერი მ. მ. შნიადერი, რომელსაც შესაძლოა სცოდნოდა რევოლუციამდელი ფირფიტების ადგილსამყოფელი. მასპინძელი ენაწულიანი მოხუცი აღმოჩნდა. მიაშბო ვის იცნობდა, ვინ უნახავს, ვინ მოუსმენია, რა ფირფიტები აქვს. „ჩემს ფირფიტებს ისმენდა მაქსიმ გორკი, რომელიც თავისუფალ დროს ჩემთან ხშირად მოდიოდა...“ მაჩვენა თავისი სურათი შალიაშვილის გადღებულნი. მერე კი რაღაც განსაკუთრებულ გრამაფონზე ფრთხილად დადო სპეციალური ხსნარით სათუთად გაწმენდილი ფირფიტა, რომელზედაც აღბეჭდილი იყო შალიაშვილის მიერ შესრულებული დონ კიხიძის სიკვილის სცენა.

როცა ჩემი მისვლის მიზეზი შეიტყო, გულდაწყვეტით მითხრა: „სამწუხაროდ, ხალხურ სიმღერებს არ ვაგროვებ, არც ვინმე ისეთი მეგულება, ვინც ქართულ ხალხურ სიმღერებს აგროვებდეს...“ აქვე მიჩიქა კრასნოვოსკის ფოტოფონოკინო და მოსკოვის ცენტრალურ ხმისჩამწერი არქივებში მისვლა. ფირფიტების ნომრებს რომ გაეცნო, უმაღლე მითხრა: „ეს ფირფიტები 1907-1910 წლებშია ჩაწერილი. თქვენ ფირფიტები კი არა, მატროცები ან მათი ასლები უნდა მოითხოვოთ. შესაძლოა, თვით არქივებშიც არ იცოდნენ ამ მასალის არსებობა, ამიტომ აბი მოეშვა და კატალოგებს გაეცანითო. საზღვარგარეთული ფირმა, რომელიც ამ სიმღერებს იწერდა, აქ გრამაფონებით ვაჭრობდა და მატროცებს ადვილზე სტოვებდა. მოსკოვის გარდა მათ ჰქონდათ ფილიალები კიევი, რიგაში, თბილისში, ლენინგრადში, ვარშავაში და სხვა ქალაქებშიო.“

მადლობა გადაუხადე გულისხმიერ მასპინძელს და მის მიერ მიითვებულ არქივებს მივაღდექი. კრასნოვოსკში შევიტყვე, რომ ფონო არქივი კარგა ხანია, რაც გაკლავილია მოსკოვში, ბაუმანის ქუჩაზე მდებარე ცენტრალურ ხმისჩამწერი არქივში, სადაც სათანადო საშვიცო საჭირო. ამისათვის დამჭირდა დაბრუნება თბილისში, ცენტრალური არქივის დირექციამ, კერძოდ პატივცემულმა ვახტანგ გურგენიძემ ბევრი საჭირო ცნობა მომწოდდა. მანვე მომიხმდა საბუთი, რომლითაც შემეძლო ჩემთვის საჭირო არქივებში მემუშავა.

ანსამბლ „რუსთავის“ გასტროლების დროს მივაშურე

კიევის, რიგისა და ლენინგრადის არქივებს, სადაც დიდი გულსმბიერებით მომეკიდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმის დროს რევოლუციამდელი ჩანაწერები გადაუგზავნიათ მოსკოვის აპრელევის ქარხანაში. ლენინგრადში დიდი დახმარება გამოიწვია თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორმა ლარისა ქუთათელაძემ და ლენინგრადის კონსერვატორიის ფონტიკის კაზინეტის გამგემ ალექსანდრე გომართელმა, რომელსაც დაცული აქვს ს. კავსაძის, ლ. გერმესანოვილის, ს. ინაშვილის, პ. ამირანაშვილისა და სხვათა ფირფიტები. აქვე შეიძლება, რომ მოსკოვში, 30-იან წლებში, ხელმეორედ დაიბეჭდა 1907-1910 წლებში გამოცემული მატრიცები, რაც იმის იმედს მძლევდა, რომ მეორე ორიგინალები მიიქმნებოდა შემორჩენილი.

ერთი საწყითი, ყველა ზნას მოსკოვის აპრელევის ქარხანაში მიეყავი. იქ გაიკრვა, რომ სხვადასხვა ქალაქიდან მიღებული მატრიცები დაცული იყო სპეციალურ საწყობში, რომელიც დამწვარა, გადაჩენილი მასალა კი გადაუგზავნიათ მოსკოვის ცენტრალურ ხმისჩამწერ არქივში, რომლის დირექტორმა ო. ბუღანოვმა ყურადღებით მოიპოინა და მიხარა: „მატრიცები და ფირფიტები გეაქვს, მაგრამ იმ პერიოდის, რომელსაც თქვენ ეძებთ აქ არ არისო“. მოვიითხოვე კატალოგები, სადაც მხოლოდ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის, „გორდელასა“ და „რუსთავის“ ჩანაწერები იყო აღნიშნული.

ხანგრძლივი ძიების შემდეგ ვიპოვე 1928-1934 წლებში ჩაწერილი კირილე პავლოვის, კივი გეგუქოვის, ვარლამ სიმონაშვილის, მარო თარხნაშვილისა და სხვათა გუნდების ჩანაწერები, რომელთა აღრიცხვას რამდენიმე დღე მოვანდობი.

განყოფილების უფროსმა პროზოროვამ მიხარა, რომ რამდენიმე დღის წინ ნახა ძველი კატალოგის ერთი ყუთი, მაგრამ შინაარსი ამ კატალოგისა არ იცოდა. შევუდგე ამ კატალოგის გადასინჯვას. სიმღერებს ვეძებდი 1907 წელს გამოშვებული ფირფიტების ნომრების მიხედვით. მართლაც, აღმოვაჩინე ორი ნომერი, მაგრამ ორივე რუსული სიმღერა აღმოჩნდა. როგორც ჩანს, აქაურნი ნომრები არ ედრებოდა ჩემი ფირფიტების ნომრებს. მატრიცები არქივის ნომრების მიხედვით იყო აღნუსხული. იძულებული ვიყავი მატრიცები ვეძებნა სიმღერების დასახელებსა და შემსრულებელთა გვარების მიხედვით. მაგრამ ამ გახუნებულ ბარათებზე სიმღერის სახელწოდება ზნორად არ ეწერა, ან ეწერა ზოგადად: „ქართული ხალხური სიმღერა“, „გურული სიმღერა“ და სხვა.

როგორც იქნა ვიპოვე ერთი ბარათი, რომელსაც ეწერა: „გურული სიმღერა. ბაბილოძის ტრიო. 1907 წ.“ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მივხვდი, რომ გურული სიმღერა ჩაწერილი იყო ცნობილი მომღერლის გიორგი ბაბილოძის ტრიოს მიერ 1907 წელს. იმ დღეს ვიპოვე კიდევ რამდენიმე ნომერი, სადაც ეწერა: „ახალური სიმღერა“, „გურული სიმღერა“, „მედულუქეთა ანსამბლი

ბაგრატის ხელმძღვანელობით“ და სხვა. ალბათ, დიდხანს ვიქნებოდი იქ, რომ არ შეეხსენებინათ სამუშაო საათები დათავობდნენ. თანდათან სხვა ნომრებიც ვიპოვე. ძალიან ბევრი იყო მედულუქეთა ანსამბლის, — კერძოდ, ბაგრატის დასტის მიერ ჩაწერილი სიმღერები.

განსაკუთრებით გამახარა ბარათმა, რომელსაც ეწერა: „დ. ლევანა“. მივხვდი, რომ ეს იყო გამორჩენილი მომღერალი ლევან ასაბიშვილი, რომელიც ხალხური ცნობილია „დედას ლევანას“ სახელით. იქვე მიეკვლიე „ჩაჭრულის“ დედას ლევანას, ბათი როსტომაშვილის, ალექსი ელოშვილის, ს. ქურციკიძისა და კინაზაშვილის შესრულებები. ესენიც ცნობილი მომღერლები არიან, განსაკუთრებით ბათი როსტომაშვილი და ალექსი ელოშვილი (ოსტატი ალექსა), რომლებსაც ხალხი დღესაც დიდი სიყვარულით ხსენებს.

თანდათან აღმოჩნდა კავსაძეების, ხუხუნაშვილების, ფლავას, ს. ტომაშვილის, ქუთათისის ქოროს (კობაჩენკის ხელმძღვანელობით), ჩავლიშვილების ჩანაწერები... სრულიად მოულოდნელად წვაწვენი ბარათს, რომელზეც ეწერა „ურბული“ ვ. სარაჯვეი. ავლელი და აღფრთოვანიდი. რადგან ჩემს წინაშე იყო ვანო სარაჯიშვილის — ამ ლეგენდარული მსოფრულის ჩანაწერის ორიგინალი...

ამ მომღერალთა სახელები დღესაც ცოცხლობენ, მაგრამ უმეტესობის ნამდვილი სიმღერა არ გავიგონია. მართლაც დედას ლევანა რად ღირს — ქართლ-კახეთის სიმღერების დღერით, რომ არაფერი ვთქვათ ვანო სარაჯიშვილებზე.

ძველი მატრიცების ნომრები ამოეწერე. ახლა საქორი იყო პირველი სამამულო ფირფიტების (1922-1936 წ.) აღდგენა. მაგრამ, სანამ ვ. სარაჯიშვილის, დედას ლევანას, ჩავლიშვილის, ბაბილოძისა და სხვათა აღდგენილ ხმებს გავიგონებდი, ბევრი არ იყო გასაკეთებელი. ამიტომ საბჭოთა პერიოდის მატრიცების მიკვლევა სხვა დროისათვის გადავდე.

თბილისში დაბრუნებულმა ჩემს მიერ ამოწერილი ნომრები ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს გადაეცა. კომიტეტმა „მელოდიას“ გაუგზავნა ოფიციალური წერილი, სადაც აღთხოვდა ზემოთ ჩამოთვლილი ნომრების მატრიცების აღდგენას, ვინაიდან ისინი ქართული კულტურისათვის მნიშვნელოვან შენამუს წარმოადგენდნენ. ამ წერილის საფუძველზე „მელოდიამ“ არქივიდან გამოიწერა ძველი მატრიცები. არქივის საცავში მეც შემიშვეს. სარდაფში ვნახე თაროებზე ვერტიკალურად დალაგებული უამრავი მატრიცა, რომლებშიც ვინ იცის კიდევ რამდენი ქართული სიმღერაა მიმაღული, ვინაიდან ბევრ მათგანს არც სიმღერის სახელწოდება აწერია და არც შემსრულებლის გვარი.

მატრიცები მივტანეთ ფირმა „მელოდიამი“, რომელმაც შეუძევია ფირფიტების ქარხანას მატრიცებიდან მეორე ორიგინალების გაკეთება. ამ რთულსა და საინტერესოს პროცესს მეც დავესწარი. ყოველივე ეს შევატყობინე კინორეჟისორ სოსო ჩხაიძეს, რომელიც მოსკოვში



ჩამოვიდა კინოგადამღებ ჯგუფთან ერთად და ფირზე აღ-
ბეჭდა ძველი მატრიცების აღდგენის მთელი პროცესი.

მატრიცა წარმოადგენს ლითონის (სპილენძის და თით-
ხერის) სქელსა და მიმე ფირფიტას, მისი პირველი ორი-
გინალი „ნივგავიკია“, რომლისგანაც ნამდვილი ხმა არ მიი-
ღება. ხმა მიიღება მეორე ორიგინალისაგან, რომელიც
მზადდება შემდეგი წესით: რამდენიმე საათის განმავლო-
ნაში, სხვადასხვანაირი ქიმიური ხსნარში ხდება მატრიცის
აწმენდა. თუ მატრიცას კიდები დაბრუნდები ან გაფუ-
ჭებული აქვს, ხდება მისი რესტავრაცია. რესტავრირებუ-
ლი მატრიცა გადადის საპარატოში, სადაც სხვადასხვა
ანარაობის ვერტიკალურად ჩაყიდული მატრიცა იწყებს
ბრუნვას და თანდათან ნიკელის ფენით იფარება. შემდეგ
მატრიცას სპეციალური მოწყობილობით ფრახილად
ააცილიან ნიკელის ფენას, სიღებენ ცენტრიდანულ მანქანა-
ზე, რომლის საშუალებითაც იხრებოდა ცენტრი, რათა
დაკვირს ღროს არ გამოიწვიოს ტრევა. ყოველივე ამის
შემდეგ ნიკელის ფირფიტას დაამუშავებენ, წმენდენ, ამ-
ოტონიან და აჯახენან ფირმა „მელოდიამი“, სადაც სპე-
ციალური აპარატის საშუალებით მოიღება ხმა, რომელიც
გადადის ფილტრებში და ისე იწმინდება, რომ ხმის ხარის-
ხი და ტემპირი არ დაზიანდეს. მიღებული ხმის გადაწერა
ხდება თანამედროვე მაგნიტოფირზე. სპეციალური მოწყ-
ობილობით ღვინდება სტაბილური სიჩქარე. მოგვსენე-
ბათ, რომ მაშინდელი ფირფიტები ჩაწერილია გრამაფო-
ნისტოვს, რომლის სიჩქარე წუთში აღწევდა 78-დან 90-
მდე. ამიტომ თანამედროვე ელექტროსაკარვზე მატრიცის
სიჩქარე მერყავს, რაც იწვევს ხმის ამაღლებას ან დადა-
ბლებას. დიდი ყურადღება და გამოცდილებაა საჭირო,
რომ ფირფიტის ბრუნვის სიჩქარე სიმღერის ტონალობას
შეესაბამებოდეს. ფილტრებში გატარებული, მაგნიტოფირზე
გადატანილი სიმღერისაგან მზადდება ხელახალი მატრიცა,
რომლისგანაც იბეჭდება ფირფიტები.

აი, ასეთი რთული წესით იქნა აღდგენილი ძველი მატ-
რიცების პირველი პარტია, „მელოდიამი“ საპარატოში
გულისფანქალობით ევლოდებოდათ ნიკელის ფირფიტების
ამოწმებას. პირველად მოვისმინეთ ერთ-ერთი გურულ
სიმღერის მატრიცა, რომელსაც არც სიმღერის დასახელე-
ბა ეწერა და არც შემსრულებელთა გვარები. ვაისმა ხმე-
ბი, რომელთა შემსრულებლებს მაშინვე იცნობ, თუკი
ერთხელ მაინც მოვისმინეთ მათი სიმღერა. დიდებული
გურული მომღერლები — სამუელ ჩაველიშვილი, სა-
მუელ ჩხვირავილი და ვარლამ სიმონიშვილი ასრულებდ-
ნენ ძველ სუფრულ სიმღერას „წამოკრულს“. (ჩაწ. 1908 წ.).

ეს სიმღერა იმპროვიზაციის დიდ საშუალებას აძლევს
შემსრულებლებს, მაგრამ ასეთი სამომსრულებლო ტექ-
ნიკა და გამოგონებლობა იშვიათია. განსაკუთრებული
შთაბეჭდილება მოახდინა სიმღერის მწვერვალ მუხმბა, სა-
დაც მომღერლებმა შესრულების შეცვრავს მაღაწივს.
ვარლამ სიმონიშვილი ნამდვილი ვირტუოზია, ვერც კი
წარმომიდგინა, რომ „წამოკრულში“ შეიძლება ასეთი
რთული ბანის მისადაგება დაწმენდისა და მოძიებისათ-
ვის. ეს რომ შევასო ამისათვის, უნდა გქონდეს მომწი-
ლი „წამოკრულს“ ვარიანტები სხვათა შესრულებით.

შემდეგი ფირფიტის მოსმენისას ვაისმა ვარლამ სიმო-
ნიშვილის ხმა: „ბესარიონ ინჭიკრევილი, ერთი, სტოლის

ხელზეაი თქვი, სტოლისა, გურული“. ეს ძველი სიმღ-
ერის ხელზეაია, რომელიც ასევე უზადლოდაა დატვირთ-
ული ბესარიონ ინჭიკრევის, სამუელ ჩაველიშვილის
და ვარლამ სიმონიშვილის მიერ.

ვინაიდან მატრიცაზე დაწერილი შემსრულებელთა
გვარები და სიმღერების დასახელება ხშირად სწორად არ
იყო აღნიშნული, ამიტომ საჭირო იყო სიმღერისა და შემ-
სრულებლის გამოცნობა. გურულ სიმღერებში ეს არ
გამჭირვებია, რადგან ფირფიტების საშუალებით თითქმის
ყველა ძველი მომღერალი მყავს მოსმენილი. მაგრამ, უც-
ხად, ვაისმა კახური „მრავალმთიერი“. სხტად დავჩნი
ვაისმა ულამაზესი ტემპრის საოცრად მაღალი, ფართო
მოცულობის ტენორი, რომლის მსგავსი ვერ არ მომისმე-
ნია. (მას ღირსეულ პარტიორობასაც ვერ უწევენ). ეს
ხმა თავისუფლად დაცურავდა „მრავალმთიერის“ მაღალ
რეგისტრში და როცა სი ბემოლი აიღო, ვთქვი, რომ ასეთი
ხმა ყველა საობარო მომღერალს შეუძრდება მეთქი,
ვთქვი და მიგზდო, რომ ეს „დედას ლეანა“ იყო, თავის
ღროზე რომ განცდივართა თვით ზაქარია ფალიაშვილიც,
რომელიც წერდა:

— „ორი-სამოიღე ჭეკა ღვინის გადაკვირს შემდეგ
დაიწყეს სიმღერა, მაგრამ რა სიმღერაც მე ამისთანა მწყე-
ბრად შესრულებული კახური სიმღერა ვერ არ გამოვი-
ცნა. სანორის მომღერლები ხომ კარგები იყვნენ, მაგრამ
შილდელებმა ბევრად აჯობეს. განსაკუთრებით იმათში
გამორჩიოდნენ: ლევან ივ. ასაბაშვილი (მეტსახელი „დე-
დას ლეანა“) ბათო დავ. როსტომიშვილი, აღქცა გიორ-
გის ძე ელოშვილი და ლახარე სვ. კოკილაშვილი. მერტ
არ იქნება ორიოდ სიტყვით გავაცნო მკითხველს ამ მომ-
ღერალთა ვინაობა. „დედას ლეანა“ არის მაღალი ტანი-
შა, წარმოსადეგი, მხარბეჭიანი გულხე 43-45 წლისა. მღე-
რის როგორც მოძახილს ისე დამწყვეტს, მომბეჭეულად
კი მოძახილს, მაგრამ ამ მდევკაცს ბუნებით ისეთი მშვე-
ნიერი გავარჩიებული დიდი ხმა (ტენორი) აქვს, რომ მე
ვგონებ ბევრი ჩვენი ობერაში მომღერალიც არ დაიწუნე-
ბდა და კიდევ ინტერესდა იმისთანა იშვიათ ხმას. ამას
გარდა მშვენიერი გამოთქმაცა აქვს. საუცხოო მოლაპარა-
კეა, თამამი მიზგარამოზგარა, ერთი სიტყვით, მღერის მოე-
ნიჭება იმისთვის ყოველივე ის, რაც კარგი არტიტისათ-
ვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ბათო როსტომა-
შვილი 65 წ. მოხუცი გულხეა, ძლიერი დაბალი ტანისა,
მაგრამ ისეც დიდი ხმის პარტონია, იმის თოვლიანი გა-
თვთრებულ თმას რომ არ უყურებო და ისე მომისმინოთ
მისი სიმღერა, თავის დღეში არ იფიქრებო, რომ მღერის
ასეთი მოხუცი და არა ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, იმ-
დენად სუფთა და გამჭირიხე ხმა აქვს. მღერის მარტო
პირველ ხმას, ელოშვილიც მოხუცია. ამ უჩანსკენლს,
როგორც თვით მომღერლებმა ვაიმოვკეცეს და თვითონაც
იკეხნინდა, ერთ ღროს შესანიშნავი ხმა ჭეონია, მთელი
ოჯახიც მომღერალი ყოფილა და ამ ზემოხსენებულ მომ-
ღერლებსთვის ამას უსწავლდება სიმღერა, მაგრამ რაღაც
მოხუცთა ხმა ადრე დაკარგვია, თუმცა ამ „ოსტატ ოქტა-
ნას“ (ასე ეძახდნენ) ხმა სრულებით აღარა აქვს, მაგრამ
სიმღერები კი ზედმიწევნით იცის. გადამეტებით არ ვიტ-
ყვი და ამითანა მომღერლებს პირადად მე არასოდეს არ
შეგზვედრივარ, თუმცა ბევრი ქართველი მომღერლისთვის

დამიგლია ყური...“ („მოგახურობა კახეთში“. გაზეთი „ამირანი“ № 51, 1908 წ.).

ჩანაწერში, რომელიც მე მოვისმინე, მონაწილეობდნენ ქურციკები და ენობისელები, რომელიც ენობისელები ზაქარია არ გვამჩნებს. მათი ვეგარები არც ფორცხვანა აღნიშნული. მართალია, ეს ანსამბლი ძალიან შეწყობილად არა მღერის, მაგრამ იგი განცხადებებს იწყებს ხმები სილამაზითა და „მრავალმხრივად“. მათგან შემსრულებელი, ძალზე თავისებური ინტერპრეტაციით. შესდეგ მოვისმინე „ჩაქარულს“ დედან ლევენანელი ვარაიანტი, რომლის მსგავსი არ მომისმენია.

„პარალელ პარი არალონი...“ გაისმა სანდრო კავსაძის სასიამოვნო ტემპრის ტენორი, რომელიც გულშიჩამწოდნად მღეროდა „ურმულს“. სიმღერა კარვად არის ჩაწერილი და შენახული. ეს ჩანაწერიც, ჩემის აზრით, ვანუშ მეთრობელისა. (ჩაწ. 1909 წ.). იგი ისტორიული შვევა, როგორც ერთ-ერთი უკუდავი ქმნილება ქართული ხალხური სასიმღერო ხელოვნებისა.

ელექტროსკოპზე მორიგი ნიკელის ფორცხვა დავედით. კიდევბი ჰქონდა დაბრეცილი, ამიტომ დასაწყისიდან მისი აეღვრება არ მოხერხდა. მეგზარანა ფორცხვის შუაში დავდე, გაისმა სახუმარო ლექსი, რომელსაც ვილაქა სასიამოვნოდ კითხულობდა. გამოვეძახებთ ხელს-ნებს, დასაწყისი ფორცხვის კიდე და გაისმა: „მოისმინეთ ძველი თბილისის სურათები, წყაითხული ვასო აბაშიძისაგან“ (ჩაწ. 1915 წ.). მონუსხულით ვუქმნიდი ქართული თეატრის ამ კორიფეს, თვალწინ დავსვა კეთილ-შობილიანი აღსაცემის სახე. ბა ბედნიერება, რომ აღმოჩნდა მისი ჩანაწერი, რაც ქართველ კაცს ვ. აბაშიძის ხმის გაგონების საშუალებას მისცემს.

გაისმა რომანსი „შენ გეტრევი მარად“, რომელსაც ეწერა 1909 წ. შემსრულებლის ვგარი არ იყო მიითვებულ. ჯერ ვანო სარაჯიშვილი მეგონა, მაგრამ რამდენიმე ფარსი შემდეგ მივხვდი, რომ სხვა მღერობდა, რომანსი მშვენიერად არის შესრულებული. მრავალხმის გადამოწყობის შემდეგ დავაგონე შემსრულებელი — ია კარგათელი, რომელსაც, პროფ. გრ. ჩხიკვაძის გადმოცემით, ძალზე სასიამოვნო ტემპრის ლირიკული ტენორი ჰქონია. ი. კარგათელის შესრულებით აღმოჩნდა კიდევ ერთი რომანსი, — „ელეგია“ ილია ჭავჭავაძის ტექსტზე, მუსიკა გ. ჩუბინიშვილისა.

ისევ გურულსი სიმღერა. ხუხუნაიშვილების ანსამბლი „ხასანბეგურს“ მღეროდა. ეს ჩანაწერი ასე თუ ისე ცნობილია, მაგრამ სულ სხვა პირველი ორიგინალიდან აღდგენილი სიმღერა. აღმასხან ხუხუნაიშვილი მაღალ რეგისტრში ბრწყინვალედ ასრულებს კრიმანჭულს. მშვენიერად არიან მასთან შეწყობილი იყოჩა, ბესარიონ, იოსებ, რაქდენ ხუხუნაიშვილები და სერაპიონ კუკულაეა. მატრიცის ნომერი 12696 (ჩაწ. 1915 წ.). ამს აწერია „ხასანბეგურა“. პაპალაშვილის უტყნა. აქ შეცდომია. უნდა იყოს ზაქარია ფიფიაშვილი. ეს იყო მდლარი კაცი, რომელსაც თბილისში საკუთარი დუქნები ჰქონდა. მან ჩამოიყვანა ხუხუნაიშვილების ანსამბლი თბილისში და მათი სიმღერები ჩააწერია ფორციტებზე. ამ ანსამბლს იგი დიდ პოპულარიზაციას უწევდა. და ი, როგორც იქნა გაიშმა ვანოს განუყოფრებელი ტემპრის ხმა. ნიკელის ფორცხვა იმდენად უხარისხო აღმოჩნდა, რომ საჭირო შეიქნა

ხელახალი ანაბეჭდის გაკეთება, რომელიც ქარხანამ საგულდაგულოდ გააკეთა, ჩემი კონტროლით. მაგრამ ფიცის დასაწყისი მაინც დაზიანებული აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მატრიცის არხები იყო დაწყვეტილი. ამიტომ მეგზარანის ნემსი წინ აღარ გადადიოდა და ერთ ადგილას ჩერდებოდა. ეს განსაკუთრებით ემჩნეოდა რომანსის დასაწყისს. მაშინ ასეთ ხერხს მივაპოეთ: მეგზარანის წინა ნაწილი საფრთხილად დავამსხმეთ (ტყუნებ რომ არ დაეწყია) და ფორცხვა ორჯერ ნაწლები სიჩქარეზე დავატრიალეთ. დაზიანებული ფარცხები ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაწერით მაგნიტოფირზე. ამან უკიდვრ გამოიღო. ხმის ოპერატორმა ბ. ტერაზიგოვამ აღდგენილი ფარცხები ერთმანეთს მიბაძა, ფირი ნორმალურ სიჩქარეზე გაუშვა და მივიღეთ ვანო სარაჯიშვილის მიერ შესრულებული რომანსი „დღერდომილი სნული“ (№ 13445, ჩაწ. 1915 წ.).

ბა სუნთქვა, რა ფრზობრება, ჩამდენი გრძობა და გზნება გამოსჭვიადა ვანოს სიმღერიდან, რომელიც როგორც იქნა აეღვრდა 55 წლის შემდეგ. ბედნიერად ვგრძობნდი თავს, რომ პირველად მე მომეცა საშუალება მომესმინა ვანოს ლევაგებრები ხმა, მისი ჯადოსნული სიმღერა აღდგენილი პირველი ორიგინალიდან, თუმცა ქდერადობას ჯერ კიდევ სჭირდებოდა გასუფთავება. ფირცხვები გატარების შემდეგ ხმა კიდევ უფრო გაიწმინდა. გრამაფონის სიჩქარე 78-ზე მეტი იყო, ამიტომ სიმღერა ცოტა მაღლა ეღვრდა. საჭირო იყო შესაბამისი სიჩქარის მოძებნა, რათა სასილერო ტონალობა დაზუსტებულიყო.

ისევ ფორცხვანის აკომპანემენტი. ისმის ლამაზი ტემპრის ბანი, როგორც გაუკუყვება ეს სოსო ტომაშვილია, რომელიც ჩვენი საბურო თეატრის სცენაზე გამოდიოდა. როგორც იქნა გამოჩნდა ის ნომერიც, რომელიც სულ პირველად შეგზდა კატალოზში და რომელსაც ეწერა „მუშლი მუხსას“ ასრულებს ბიბლიოდის ტრიო. 1910 წ. ივინი. (№ 4589, I ორიგინალი და სამუშაო მატრიცა № 2966 3 მათი 1907 წ.) „გოირგი ობიშვილი, ერთი სტოლის ხელშევი ეტე, სტოლის“. გამოჩნდა არ ვაჭირებვია, ეს ივლიანე კეკეაშვილია. „ჩვენ მშვიდო-იოო ბა“ დაიწყო გოირგი ობიშვილმა, მოახილო ივლიანე უხინრა, ხოლო ბანი — 20 წლის არტემ ერქოშიაშვილი. ეს ფორცხვა მეც მაქვს, თუმცა იგი უკვე ძალიან გაცვეთილია. ეს ის ფორცხვაა, რომელიც ბაბუამ სიკვდილის წინ რამდენჯერმე მომამსმენია — „დაცავერთი როგორი ვარაინტა და როგორ გავქვს ნამღერო“. მართლაც, საოცრად მ. ტრანა. ეს ახლა გამოჩნდა, როცა სიმღერამ პირველადი სახე მიიღო. ეს ნეტავ ამას ახლა ბაბუა ისმენდეს და იცოდეს, რომ მათი ნამღერო არასოდეს წაიშლება მეტი, — ვიციქ. „პა დილადა-აა“ — აგრძელებს იმავე ფორციტაზე გიგო ერქოშიაშვილი. მას ეხმარებიან გოირგი ობიშვილი და გოირგი ბაბლოძე.

ეს მატრიცა მშვენიერად არის შენახული. აქ პირველად გამოჩნდა მთელი სიკხადით გოირგი ბაბილოძის წყრილი, რომელსაც ლენინგრადში მუსიკოსებმა „კოლორატურული ტენორი“ უწოდეს. მართლაც, რა წინიდან ექვრდა მისი ხმა, განსაკუთრებით მაღალ რეგისტრში. როცა ეს სიმღერა ჩაიწერა, მოხუცული 70 წელს იყვნენ გადაცილებულნი. ამ მატრიცის დასაბურობაში რამდენიმე შეცდომია დაშვებული. ჯერ ერთი, გოირგი ბაბილოძე და არა ბიბილოძე, ტრიო მღერის არა „მუშლი მუხსას“, არა

მედ ჩვენ მშვიდობასა და „პა დილას“. შემდეგ აღმოვაჩინე იგივე სიმღერა — „პა დილა“ ჩაწერილი 1933 წელს არტემ ბაბუსა, მისი ძმა ვლადიმერისა და მამაჩემის — 11 წლის დავით (ძაბოვ) ერთობაარდების შესრულებით, რომელიც „გამყვიანს“ ასრულებს.

იგივე სიმღერა ჩვენმა ანსამბლმა ჩაწერა 1977 წელს. ვასრულებთ ბადრი თიძგი, ანზორ ტულუში და მე. ვინაიდან „პა დილას“ მოზრუნება შეიძლება სამჯერ, ამიტომ 1907, 1933 და 1977 წლის ჩანაწერები ერთმანეთს გადავაბით და მივიღეთ „პა დილა“, რომელშიც ერთობაარდების თვით თაბა მონაწილეობს. გვიერ ერთობაარდები, არტემ და ვლადიმერ ერთობაარდებით, დავით ერთობაარდებით და მე. ვფიქრობ, რომ ეს უნიკალური შემოხვევაა.

ნახევრ მატრიცებს შორის აღმოჩნდა ანსამბლი თ. და ლ. ჯაფარიძეების, ნ. საყვარელიძის, ა. ჩახუნაშვილისა და ვ. გაჩეჩილაძის მონაწილეობით. ისინი ასრულებენ ქალაქურ სიმღერას: „ნინა ნინა“, „ხუტუბა ქალა“ და სხვა, რომლებსაც დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენიათ.

100-მდე ჩანაწერი აქვთ შესრულებული მედუღუქეთა დასატებს, რომლებიც, ძირითადად, ქალაქურსა და სოფურ მელორდებს ასრულებდნენ, ბევრია ბიათებიც. აქ განსაკუთრებით გამოირჩევა ბაგრაბას დასტე. ყველა ამ ჩანაწერის აღდგენა შეუძლებელია. ყლერს ქუთაისის ქორო კიარენკოს ხელმძღვანელობით, ისინი „მრავალკამერს“ ასრულებენ (ჩაწ. 1915 წ.).

მატრიცებზე სათაურებისა და ნომრების არევაა საგონებელში ჩამავლი. ვთხოვე არქივის დირექციას, რომ მოეცათ უფლება უკვე დახსენებულ და ამოცნობილი სიმღერების დასათაურებისა და შემსრულებელთა გვარების მიწერისა. უფლება არ მომცეს. ამას სპეციალური კომისია სჭირდება. მაშინ სათაურები დაეწერებოდა აღდგენილ დენების ფირებს, რომლებიც „მელოდიამში“ დარჩა. ვფიქრობ, ეს მკვლევარებს გაუადვილებს მუშაობას.

სამწუხაროდ, რევოლუციამდელი ჩაწერილი სიმღერების ყველა მატრიცა არ აღმოჩნდა, ეს არც არის ვასაკვირი, რადგან ეს მატრიცები 70 წელზე მეტ ხანს იყო ფეხობდა სხვადასხვა არქივში, რომლებსაც ბევრი რამ გადახდათ — პირველი მსოფლიო ომი, დიდი სამამულო ომი, ევაკუაცია, ბლოკადა... მატრიცებს რამდენიმეჯერ შეუცვალეს ადგილი. ხანძარი, ყანგა, გულგრილი დამოკიდებულება... ყოველგვარ ამის შედეგად დაიარაგა ბევრი სიმღერა, რომელსაც უკვე ვერასოდეს ვეღარ აღვადგენთ. ნაპოვნიც უმეტესწილად უხარისხოა, დროში მათ თვისი ადგილი დაამარჩია. ერთი რამ მაინც მანკიფრებს — რატომ აქამდე არ მოხერხდა ამ ჩანაწერების მოძიება? თავი დაენებოთ ხალხურ სიმღერებს. ვანო სარაჯიშვილი ჩანაწერების მიკვლევა ხომ მაინც შეიძლებოდა? ნთუ არავის არ უფიქრია თუ რა იქნა მისი ჩანაწერები, სად გაქრა? მით უფრო, რომ მისი ფირფიტები ოჯახებში შემორჩენილი. ეს ფირფიტები დროთა ვითარებაში გაცდა, გატყდა, გაიციკრა და ვერ გაიგება ეს ხმა ვანოსა თუ ვინმე სხვისი.

გარდა ამისა, ვახუთი „თეატრი და ცხოვრება“ (№ 29 1915 წლის 19 ივლისი) წერდა:

„ქართული სიმღერები გრამაფონის ფირფიტებზე ამჟერს“ საზოგადოების თხოვნით დაამღერა ვ. სარაჯი-

შვილი. გადაღებულია: ირაკლის არია, ახ. მთავარე, მთვარე, არაყიშვილის ურბული, ბუნდოვან ველუხაძე, მთვარე, მშვენიერთა ხელმწიფე, ია კარგარეთელისა და გუნიცავალებ (მეორედ), ერთობაარდ მუღლია 1200 მანეთადე.“

მაშ რა იქნა მათი მატრიცები? თუი 1907 წელს ჩაწერილი „პა დილა“ და „ფირფიტა“ 30-იან წლებში ხელმეორედ გამოცა აბრულებს ქარხანამ, რატომ ვანის სიმღერებს არ აღმოუჩნდა პატრიონი? მით უფრო, რომ უკრნაღო „საბჭოთა ხელოვნება“ 1935 წლის № 3-ში წერდა:

„მოსკოვის ცენტრალურ არქივთან არსებულ ფოტოფონო-კინო არქივში ვ. ტოროშვილის მიერ აღმოჩენილ იქნა გრამაფონის ფირფიტების მატრიცები, რომლებიც მეფის დროს აქციონერულ საზოგადოება გრამაფონის მიერ იყო დამზადებული. ამ მატრიცების საშუალებით შეიძლება გრამაფონის ფირფიტების აღდგენა. აღმოჩენილ მატრიცებს შორის აღსანიშნავია ვ. სარაჯიშვილის ოთხი სიმღერა და ვ. აბაშიძის სცენები“.

როგორც ჩანს, 1935 წელს კიდევ იყო რამდენიმე ცალ მატრიცა ვანო სარაჯიშვილისა და ვასა აბაშიძის შესრულებით. ახლა კი მხოლოდ თითო-თითო აღმოჩნდა. ერთ-ერთს აწერია: „ქრემული“. სარაჯივი. მაგრამ ამ მატრიცაზე სხვა სიმღერაა ჩაწერილი. იქნებ ეს მატრიცა თვალს მიეფარა. როგორც ვახტანგ გუარგენიძემ მითხრა, ვანოს მატრიცები უნდა მომენახა ანა მარტო ქართულ კატალოგებში. შესაძლებელია იგი ქართველად არ მიჩინეს და სხვა ეროვნებათა კატალოგებში მოათავსეს. ამასაც შეემაოვნება. მთავარია, რომ რამდენიმე ათეული წელი ვანოს ჩანაწერები უპატრონოდ ეყარა და არავინ აღმოჩნდა, რომ ამ მატრიცებისათვის მიეხედა.

1979 წ. 6 მაისს ვახუთმა „კომუნისტმა“ დაბეჭდა პირველი აქნავე ხუტუხა წერილი, რომელშიც ატტორი მოთხვევლს სავსეს ვანო სარაჯიშვილის ხმის რელიუციფილი აღდგენის ამბავს. როგორც ჩანს, პატრიცემული ატტორი შეედომამში შეიყვანეს. საქმე ასაა, რომ ჩემი ინიციატივით გაიწმინდა ის რამდენიმე ჩანაწერი, რომელიც ვახანდა საქართველოს რადიოკომიტეტს, მაგრამ ჩანაწერის გაწმინდა ნაწილობრივად მოხერხდა და ცხადია, ვანოს ხმაზე სრულ წარმოდგენას ვერ დავიქმნის. დენდნად აღდგენილია ერთადერთი რომანსი „გაფრდომილი სნული“, რომლის მატრიცა ინახებოდა 13445 ნომრით.

არქივში არ აღმოჩნდა ჩემს მიერ შეგროვილი ფირფიტების შესატყვისი ყველა მატრიცა. ამიტომ ისევ გაცვეთილი ფირფიტების აღდგენას შევუძლები. ვიპოვე „ხახანბეგურას“ უნიკალური ჩანაწერი გირგვი ბაბილოძის შესრულებით. მაგრამ ფირფიტა იმდენად გაცვეთილი იყო, რომ მისი აღდგენა თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა. სათანადო მუშაობა მაინც ჩავატარე. ვინაიდან არხები ძალიან იყო დაზიანებული, ამიტომ ხმას შიშინი დასდევს. მიუხედავად ამისა, იგი ერთგვარ წარმოდგენას მაინც დავიქმნის ჩვენი სახელოვნო წინადადების ხელოვნებაზე და მკვლევარებისთვის ძვირფას მასალას იძლევა.

ხალხური სიმღერების გულშემატკივარმა რეზო რამიშვილმა მომწიფდა ფირფიტა, რომელსაც ეწერა „მე რუსთველი“. შემსრულებელთა გვარები წაშლილი იყო. ფირფიტა ძალიან გაცვეთილი და რამდენიმე ადგილს

ბატეხილი აღმოჩნდა. ვინაიდან სხვა ასეთი ფირფიტა ვერ ვიპოვეთ და მისი შესატყვისი მატრიცაც არ აღმოჩნდა, ამიტომ გადაწყვიტეთ ამ ფირფიტის აღდგენა.

ჭრე ფირფიტის ნატეტები მიაწვებეთ ერთმანეთს. მეჩრე ხავატარე ვყვლა ის მინაბულაცია, რომელსაც ვაწარმოებდით ვ. სარაჯიშვილის სიმღერის აღდგენისას. განსაკუთრებით გაგვიჭირდა დასაწყისის მონტაჟი, სადაც სიტყვები გაუღებრად იყო ჩაწერილი. ტერაპლედამ ცალკაულ ავრევილი სიტყვები ერთმანეთს მიაწვება და ფირე ნორმალურ სიტყვებზე გაუშვა. „ილარიონ ჩავლეიშვილო, ერთი კაი სიმღერა, კაი“ — განისაზვარდა სიმონიშვილის ხმა და ილარიონმა ხავერდისგან ბანით დაიწყო „შე რუსთველი“. აქამდე ვიცოდით, რომ ილარიონ ჩავლეიშვილი, რომელსაც ჩინებული ბანი ჰქონდა, სიმღერების ჩასაწერად ანსამბლს არ წაპყოლია ავადმყოფობის გამო. ამიტომ მისი ხმის აღმოჩენამ დიდად გაგვახარა.

არ მოხერხდა მეორე კუბლეტის აღდგენა. ამიტომ იგი ფირფიტად მოვკვებთ და პირველი კუბლეტის პირდაპირ მესამეს მოაწვებთ — „გადაძახილის“ შემდეგ. მსმენელი ამას ვერც კი შეაძინებს. მხოლოდ გამოცდილი მომღერლები დაეძვლებიან — რატომ გამოტოვა ილარიონმა მეორე კუბლეტო. ასევე აღვადგინეთ ჩავლეიშვილის ანსამბლის შესრულებით ორი სავალაობელი „შენ რომელმან განანათლე“ და „სიყვარულმა მოგვიყვანა“, აგრეთვე „პა დილას“ იშვიათი ვარიანტი, რომლის მატრიცაც არ აღმოჩნდა.

გიგო ერქომაიშვილის ანსამბლს ჩაწერილი აქვს ოთხხმიანი გურული ნაღური „საჯავახურა“. ნაღური დიდა და ამიტომ ორ ნაწილად ჩაუწერიათ. როგორც ჩანს, ფირმის მუშაებს დავიწყებით მათი გაერთიანება და „საჯავახურა“ სხვადასხვა ფირფიტაზე დაუბეჭდათ. არქივში აღმოჩნდა მხოლოდ მეორე ნაწილის მატრიცა, ამიტომ იტყუებული გავხდით პირველი ნაწილი ფირფიტად აღდგენა. როგორც ირკვევა: ნაღური ჩაწერილი ყოფილა სხვადასხვა დღეს, ამიტომ მომღერლებს ვერ გაუთვალისწინებიათ სიმღერის ტონალობა — მეორე ნაწილი ერთი ტონით დაბლა ჩაუწერიათ. გარდა ამისა, მამონდელი ტექნიკის გამო ნაღურის პირველი ნაწილი უხერხულადვილას მთავრდება — ფირფიტის ბოლის მოხვედრითა და მეორე ნაწილის დასაწყისით. ამიტომ პირველი ნაწილი დამახოლებელი ფრანზა მოვაკილეთ, მეორე ნაწილი ხელოვნურად ავაპჩაქრეთ და პირველის ტონალობას გავუტოლეთ, ორივე ნაწილი ერთმანეთს გადავებით და ამ გზით მივიღეთ „საჯავახურა“. მაგრამ ფირფიტად აღდგენილი პირველი ნაწილი თავისი ხარისხის ჩამოყვარდება მატრიციდან აღდგენილ მეორე ნაწილს.

ყველაზე მეტი (ოცამდე) მატრიცა აღმოჩნდა გიგო ერქომაიშვილის ანსამბლის შესრულებით, თუმცა მათი რეპერტუარის შესაკვებადაც მოგვიხდა ფირფიტების შეკოწიწება.

ვესწრებოდი ყველა ფირფიტისა და მატრიცის აღდგენას. ჩემი დასწრება აუცილებელი იყო, რადგან საბორო იყო არა მარტო სიმღერებისა და შემსრულებლების გამოცნობა, არამედ მონტაჟისა და სწორი სიტყარის შერჩევა, რათა დადგენილიყო სიმღერათა ტონალობა.

გარდა ამისა, გიგო ერქომაიშვილის ანსამბლის მიერ ჩაწერილ სიმღერებს სხვადასხვა თარიღი აწერდნენ. ჩინამდელიც არ შეესაბამება. ყველა სიმღერამ მათი ჩაწერის თბლისში 1907 წლის აპრილსა და მისის პირველ ნახევარში, რაც ბაბუა არტემისაგან ვიცი. ამასვე ადასტურებს ვლადიმერ ერქომაიშვილიც. თარიღების აღრევა გამოიწვია მატრიცების გადაბეჭდვამ, პირველი ორიგინალიდან გადაბეჭდვანდნენ მეორე ორიგინალს და მას მიაწერდნენ ხოლმე გადაბეჭდვის თარიღს, რამაც შეიძლება შეცდომაში შევიყვანოს მკვლევარი. ასევე აწერილი ჩავლეიშვილისა და სხვათა ჩაწერილი სიმღერებისა. სამავალითოდ მოთვევან ერთერთ პარაის, რომელსაც აწერია „მუმლი მუხასა“ № 4589, 1910 წლის ივნისი და № 2968, 1907 წ., 3 მაისი სამუშაო მატრიცა“.

ორი წელი მოვანდომე არქივებსა და ფირმა „მელოდიაში“ მუშაობას. ძველი ფირფიტებიდან და მატრიცებიდან აღვადგინეთ ორასამდე სიმღერა ჩაწერილი 1907-1915 და 1926-1936 წლებში.

1907-1915 წლებს მიეკუთვნებიან სიმღერები შესრულებული ვანო სარაჯიშვილის, ვასო აბაშიძის, ია კარგარეთელის, ფალავას, ს. ტომაშვილის, პოლოსავას, ძმები კავსაძეების, ხუტუნაიშვილების, სამუელ ჩავლეიშვილის, გიგო ერქომაიშვილის, დედას ლევანას ანსამბლების, ქუთაისის ქოროს კიპარეკოს ხელმძღვანელობით, ბავრატას მელდულეთია დასტას და სხვათა მიერ.

1926-1936 წლებიდან აღსანიშნავია ძმები კავსაძეების, ძმები ერქომაიშვილების, ორაველიძისა და ძმები კოროშინაძეების, აკობიას, რემა შელევისა, მარი თარხნიშვილის, მარგინის, ბურდულაძის, კიწი გეგეჭკორის, მიხეილ კობახიძის გუნდების, მიხა ჯილაურის, ვანო მკედლიშვილის, ნოკო ხურციასა და სხვათა ჩანაწერები.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო სიმღერები მიხა ჯილაურისა და ნოკო ხურციას შესრულებით. ჯილაურის ხმა საოცარ მთაბეჭდვლებს ახდენს, განუმეორებელი გამომსახველობით ასრულებს იგი „ბერეკაცს“. პროფ. გ. ჩიკვაძის ჯღმომცემით 30-იან წლებში ერთერთ კონცერტზე, რომელიც საბაერო თეატრში ტარდებოდა, ჩამოუყვანიათ დედს ლევანსა და მიხა ჯილაური. დედას ლევანამაშინ ხანში შესული ყოფილა. მათ ერთად უმღერიათ „მრავალყამიერა“. სიმღერა მაღალ მოსვლიათ და რიცა დედას ლევანას მადლებში გაუჭირდა, თორემ მიხამ მკლავი კერა და სწრაფად შეუცვალა ხმა. ეს იყო მთლიანი, რომ მსმენელთა უმრავლესობამ ვერც კი ვაიგო, რომ ხმა, რომელსაც მაღალ რეგისტრში წყრილი ვაჭიროდა, მიხა ჯილაურისა იყო და არა დედას ლევანასი. სამწუხაროა, რომ მათი დღეები არ არის ჩაწერილი, ამბობენ, რომ ეს რაღაც სასწაული იყოთ.

ნოკო ხურცია მეგრული სიმღერების უბაღლო შემსრულებელი იყო, მღერეობებს იწყებდა მისი ხმა, შესრულების მანერა, იმპროვიზაციის ნიჭი და უნარი. მისი „პაირია“, ალბათ, დიდხანს დარჩება ამ სიმღერის შესრულების ეტალონად.

დედს ეს აღდგენილი ჩანაწერები ინახება საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში, მათი დედნები კი ფირმა „მელოდიაში“. ახლახან საქართველოს კულტურის სამინისტრომ ფირმა „მელოდის“ წინამდებარე შეადგომილობა, რათა ეს აღდგენი-



ლი სიმღერები ხელახლა გამოიცეს ფორფიტებად. ხალხმა უნდა ვიხსენიოს იმ მომღერალთა ხმები, რომელთა მხოლოდ გვაჩვენებდა შემოგარჩა. საქმე ამი არ დამთავრებულა. ცენტრალურ მუსიკალურ არქივში იმდენი ნიმუშია არეული, რომ შესაძლებელია უნიკალური ჩანაწერები კიდევ აღმოჩნდეს.

ამ ცოტა ხნის წინათ კონორეისორმა სოსო ჩხაიძემ მაცნობა, რომ ლენინგრაღში ძველი ჩანაწერები ინახება არა არქივში, სადაც მე ვეძებდი, არამედ „მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში“ (პუშკინის სახლი). ან-სამბა „რუსთავის“ გასტროლების დროს მივაკითხე ამ ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ბუშნინს, რომელმაც ყურადღებით მომიხმინა და მითხრა: „მატრიცები აქ არ არის, ფორფიტები და ფილმონოგრაფიის საწთლის ლიწულები კი ფონოგრაფიულმაში ინახება“.

ფონოგრაფიულების გამეკორგუშალოვი ცოტა ცივილურ შემხვება, შემდეგ გამოიღო კატალოგი, სადაც ფორფიტები იყო აღრიცხული. 30-ანი წლებში ჩაწერილობა 40-მდე ფორფიტამ ახალი ვერაფერი მომცა, სამაგეროდ ჩემი ყურადღება მიიქცია ლიწულებების თარობებმა და კატალოგში ჩაწერილობა მათმა პასპორტებმა. ეს სიმღერები ჩაწერილობა ფილმონოგრაფზე 1910 წელს 6. დერჯავინის, ხოლო 1927 წლიდან შილინგერისა და გიპოუსის მიერ. აქვე ინახება ჩვენი მსოფლიო მეცნიერების შ. ას-ლნიშვილისა და გრ. ჩხიკვაძის მიერ ჩაწერილი კოლექცია, აგრეთვე ს. მაგლის და ავქსენტი მეგრელიძის კოლექციები. მე ვთხოვე კორგუშალოვს ამ ჩანაწერების მოსმენა. ეს ის კაცია, რომლის თაოსნობით გამოკონცხულ იქნა ელექტროაპარატი, რომელიც აღადგენს ლოლ-ბელს ხმას კარგ დონეზე. ამ აპარატის შექმნას, როგორც თითონ ვცაიბობდა შემდეგ, ათი წელი მოანდომეს.

კორგუშალოვმა მაცნობა, რომ ეს სიმღერები თავის დროზე გააუწერია ცნობილ ლობტარს ვლადიმერ ბაბილუს და რომ ამჟამად ეს ჩანაწერები თბილისის ცენტრალურ არქივში ინახება. აღმოჩნდა, რომ ეს სიმღერები გადაწერილია პირდაპირ ლიწულებიდან, აღდგენის გარეშე, ამიტომ მათი გარჩევა შეუძლებელია. ახლა კი უკვე გვაქვს საშუალება თანამედროვე აპარატურის მეშვეობით ეს სიმღერები მაღალ დონეზე აუვადგინოთ და ფორფიტაც გამოვუშვათ.

მოვისმინეთ რამდენიმე სიმღერა. აღმოჩნდა, რომ გიპოუსს 1930 წლის დამდეგს ჩაუწერია არა მარტო სიმღერები, არამედ ცალ-ცალკე ხმებიც. მოვისმინე გიორგი ბაბილოვის „გამყვიანის“ გუნდთან ერთად და ცალკე. ეს ვახლავთ 95 წლის მოხუცთა ბოლო ჩანაწერი (ერთი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა), დღეს უკვე აღარ მიკვირის თუ რატომ განაკვივრა მან რომენ როლანი და რატომ გაუჩინეს ყელი სიმღერის შედეგ. ასევე ცალ-ცალკეა ჩაწერილი სხვა მომღერლის ხმებიც. გიპოუსის ხელით შევისებულა ერთ-ერთი სიმღერის პასპორტი — „ხაანბეგურა“ № 926, კრიმანჭული გ. ბაბილომ და თ. დლომიე 4/II 1930 წ. გიპოუსი.

გამახსენდა ბაბუა არტემის მონაყოლი: „1929 წლის ბოლოს საავსტრალიოდ მივეწვიეს მოსკოვსა და ლენინგრადში. სადაც ჩვენს კონცერტებს ბევრი ხალხი დაესწრო, მათ შორის მესამე გრაფი და რომენ როლანი. ლენინგრადელმა მუსიკოსებმა სცადეს ჩვენი სიმღერების

ნოტებზე გადატანა ფონოგრაფის საშუალებით, მაგრამ ვაღუპრიათ. შემდეგ თითოეულს ცალ-ცალკე დავედგინე ფონოგრაფები და ისე ვაწვდინეს“. ამ ის ჩანაწერები იყო, რომელზედაც ბაბუა მიამბობდა.

ახლა საჭირო იყო ამ ლიწულებების აღდგენა და მაგნიტოფირზე გადაწერა, მაგრამ აქაც წინააღმდეგობა მოხდა. მუხუშვილან ფრნდების გადაწერა თურმე აკრძალულია და ამას სპეციალური ნებართვა სჭირდება... საქმეში დირექცია ჩაერია.

კორგუშალოვი დამეხმარა იმ პირობის ბიოგრაფიული ცნობების შევებაში, რომლებმაც ჩაიწერეს ქართული ხალხური სიმღერები. ყველაზე ძველი ჩანაწერი ეკუთვნის მიკოლო სევესტიანის ძე **დერჯავინს**, რომელიც დამბადა 1877 წელს. 1896 წელს ვაშისანის დაბთავების შემდეგ იგი შევიდა პეტერბურგის იმპერიალ-ფილოლოგიურ ინსტიტუტში. მეორე კურსიდან გადავიდა ქ. ნიერ-ში. 1900 წ. დაბთავა ინსტიტუტი და დაიწყო რუსული ენის მასწავლებლად ბათუმში, სადაც 1904 წლამდე მუშაობდა. აქედან გადაიყვანეს თბილისში, სადაც 1907 წლამდე დასკო. 1905 წ. ხელმძღვანელობდა თბილისის „სახალხო სიუვერსიტეტის“ საზოგადოებას, იყო ამიერ-კავკასიის უედაგოთა ცენტრის წევრი. 1910 წელს მცენიერებათა აკადემიის მიერ მივლინებულ იქნა ბესარაბი-ძა გუბერნიის ბულგარელების ლაპარაკის ჩანაწერად, სადაც პირველად გამოიყენა ფონოგრაფი. 5. დერჯავინი ავტორია მრავალი გამოკვლევისა, აქვს შრომები დავა-შირებულ კავკასიისა და საქართველოსთან. აკადემიკოსი 5. დერჯავინი გარდაიცვალა 1953 წლის 26 თებერვალს, დასაფლავებულია ლენინგრადში. სად ან ვიცავს ჩაიწერა დერჯავინმა გურული ხალხური სიმღერები, არ-სად არ არის მითითებული. ლენინგრადის ხელნაწერების ინსტიტუტში დაცულია მისი შრომები, შესაძლოა, აქ იქნას აღნიშნული გურული ხალხური სიმღერების ჩაწერის ისტორია.

ოსებ შილინგერი; — კომპოზიტორი და თეორეტიკოსი დაიბადა 1895 წ. ხარკოვში. 1914-1917 წლებში სწავლობდა პეტერბურგის კონსერვატორიაში, შემდეგ ხარკოვის სახელმწიფო მუსიკალურ აკადემიაში. ხელმძღვანელობდა უკრაინის სიმფონიურ ორკესტრს. შემდეგ მოღვაწეობდა ლენინგრადში, როგორც მასწავლებელი, წერდა მუსიკას აკადემიური თეატრისათვის. ასწავლიდა მუსიკას, ხელოვნების ისტორიას და მათემატიკას. დაწერილი აქვს სიმფონიური პოემები „ოქტომბერი“, „აღმოსავლური სვლა“ და სხვა. შექმნილი აქვს „მუსიკის კომპოზიციის მთავარი საფუძვლები“, ავტორია გამოკვლევების „ხელოვნების მათემატიკური საფუძვლები“. საქართველოში იმოგზაურა 1927 წლის ზაფხულში. დუშეთის რაიონსა და ბათუმში ფილმონოგრაფზე ჩაიწერა უნიკალური სიმღერები.

ეკვანი ვლადიმერის ძე გიპოუსი — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში, მუშაობს რსფსრ კომპოზიტორთა ცენტრში ფოლკლორული კომისიის კონსულტანტად.

28 წლის ქართველი მუსიკოსი — ვახტანგ ყორღანი. მას შემდეგ შეუნელებლად იზრდება ვ. ყორღანის ავტორიტეტი, მას კარგად იცნობენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. 1973 წელს საბჭოთა მუსიკოსთა სახელთ იგი მონაწილეობდა საერთაშორისო ინტერპოლიფონი, რომელიც გამართა ბრატისლავაში, სადაც მისი ღირებურობით პირველად შესრულდა „ოსტაკოვიჩის VI სიმფონია“. პრესაში აღინიშნა, რომ ახალგაზრდა ღირებურობა გამოავლინა ბრწყინვალე ტალანტი და მყარი ისტაბილუა. ამჟამად, ვ. ყორღანია სათავეში უდგას საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ წამყვან კოლექტივს, იგი ხარკოვის სიმფონიური ორკესტრის მთავარი ღირებურობაა. ამასთან ერთად, ხარკოვის კორლიარევესკის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტში ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა.

ვ. ყორღანის წინსვლა, წარმატებები საესეებით კანონზომიერია. მისი სხიით საბჭოთა საღირებურო ხელოვნებას ჰყავს მკვეთრი შემოქმედებითი ინდივიდუალობის, თავისებური ხელწერის, ღრმა და მასშტაბურად მოაზროვნე ხელოვანი, რომელსაც ძალუმს ნაწარმოებთა მისეული ინტერპრეტაციით გაიტაცოს და ააღლვის მსმენელი. ყორღანია-ღირი-ყორის ერთ-ერთ შესანიშნავ თვისებას წარმოადგენს მუსიკალური ქსოვილის შეგრძნების უნარი. იშვიათად ვხვდებით ისეთ ღირებურობებს, რომლებსაც აგრეთვე აღვნიშნავთ ვიღებულო ინტონაციური სმენადობა, რისი წყალობითაც სახოვანებას იძენს მულოღირი ბუნება მუსიკისა, შინაგანი დინამიზმი ინტონაციისა. ვ. ყორღანის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი მუსიკალურ სახეთა დრამატურული განვითარებას, კომპოზიტორთა აზროვნების თავისებურებას აღიქვამს და გამოხატავს ინტონაციური იმპულსების საშუალებით. იგი ერთნაირი დამაჯერებლობით ავლენს როგორც უბრალო სასიმღერო კანტილენას, ისე ვანერული ტობის „უსასრულო“ მელოდიკის, სტრავინსკის, ბარტოკის, ოსტაკოვიჩის, პროკოფიევის, ცინცაძისა და სხვა თანამედროვე ავტორთა მამადრ კონტრასტული მუსიკალური სახეების ინტონაციურ დინამიზმს. აქედან გამომდინარე იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ვ. ყორღანის ხელწერებმა ყველა სტილია და მიმართულების მუსიკა.

ეს თვისება ხშირ შემთხვევაში იწვევს მხატვრული გემოვნების ნივლოვებას, რასაც ამჟღავნებენ ხოლმე ერთდრებულო, მავრამ ნაკლებად თვითმყოფელი ღირებურობები. მათგან განსხვავებით ვ. ყორღანის მრავალფეროვანი რეპერტუარი ნათელს ჰფენს მის შემოქმედებით პოზიციებას და მისწრაფებებს. ვ. ყორღანის აქვს მისთვის განსაკუთრებით

ძვირფასი და ახლობელი ნაწარმოებების წრე, რომელიც უყვარს მხურვალედ, მთელი არსებით. ზოგიერთი ქმნილება პატივს სცემს, ზოგიერთის მიმართ კი სრულიად გულგრილია. რაგინდ საინტერესო და უჩვეულო არ უნდა იყოს ამა თუ იმ პარტიტურის სტილისტურ ტექნოლოგიური სპექტრი, მისთვის ამოსავალს ყოველთვის წარმოადგენს მუსიკის შინაარსი, რომელიც გამსჭვალული უნდა იყოს მაღალი იდეით, ღრმა აზრით, მამფერი ენებით, შინაგანი კეთილშობილებით. შესრულების პროცესში ვახტანგ ყორღანია თითქმის თვითონვე ქმნის მუსიკას, რაც წარმატების უტყუარი საწინდარია.

და კიდევ ერთი თვისებურება, რომელიც დამახასიათებელია ვ. ყორღანის არა მარტო პროფესიული, არამედ ადამიანური ბუნებისთვისაც. იგი არსად და არსოდეს — რეპერტიცია იქნება თუ უბრალო საუბარი — არ არის გულგრილი, მოშვებული. მისი არსებობა დამოსკუვივის აქტიურობა, იმპულსურობა, ვატყება.

ვ. ყორღანამ აირჩია რთული გზა, რომლისკენაც ბავშვობიდანვე მიიღტვოდა. მუსიკის სწავლა დაიწყო ხუთი წლის ასაკში. წარმატებით დამთავრა ვ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლა, სადაც ფორტეპიანოზე დაკვრას ეუფლებოდა შესანიშნავი პედაგოგის — მრავალი ჩინებული მუსიკოსის აღმზრდელის — ე. ჩინიავასიას კლასში.


ვ. ყორღანის ვადმოცემით მას ფორტეპიანოზე დაკვრის დროს ყოველთვის ესმოდა ორკესტრის ყურადღობა. იმთავითვე ღირი-ყორიანზე ოცნებობდა. 1961 წელს პროფესორ ე. ექსანიშვილის ხელმძღვანელობით მან წარმატებით დამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტი და იმავე წელს ლენინგრადის კონსერვატორიის საღირებურო ფაკულტეტის მესამე კურსზე ჩაირიცხა. ახალგაზრდა ღირიყორი თვლიდა არსებობს ორკესტრისაკენ მიიღტვოდა. საბედნიეროდ, მას ამის შესაძლებლობა საკმარად ხშირად ეძლეოდა. სწავლების წლებში ვ. ყორღანამ ლენინგრადის საოპერო სტუდიამში ორმოცჯერ წარმატებით უღირიყორა სხვადასხვა სპექტაკლს. მის რეპერტუარში იყო ევრდის „ტრავიამა“, ჩაიკოვსკის „ეგვიენი ონეგინი“, დარგომიჯისკის „ალიო“, მებალინის „ქირველდის მორეულება“ და სხვ. ამასთან ერთად, იგი თვისებდა სიმფონიური მუსიკის რეპერტუარსაც — ჩაიკოვსკისა და ოსტაკოვიჩის პირველ სიმფონიებს, პროკოფიევის კამერულ სიმფონიას, ბეთჰოენის IV და V სიმფონიებს, რაველის მიერ გარკესტრებულ მუსორგსკის „სურათებს გამოფენიდან“ და სხვა ნაწარმოებებს.

ებებს. ყველაფერ ამას იგი ღირსიერობდა ლენინგრადის კონსერვატორიის კედლებში.

ვ. ჟორდანიას ბირველი საჯარო კონცერტი გაიმართა 1968 წელს თბილისში, სადაც იგი მხურვალედ მიიღეს და მაღალი შეფასება მისცეს. ახალგაზრდა ღირსიერმა ძალზე რთული არჩევანი გააკეთა — იგი თბილისელთა წინაშე წასრულა შოსტაკოვიჩის V სიმფონია, რომელიც აქ დიდხანია არ შესრულებულა. იმავე კონცერტზე მან პარტნიორობა გაუწვია შესანიშნავ პიანისტ ელისო ვირსალაძეს, რომელიც ძალიან კმაყოფილი დარჩა ვ. ჟორდანიასთან შემოქმედებითი თანამშრომლობით (ვ. ჟორდანია 1978 წელს თბილისში პირველად შეასრულა შოსტაკოვიჩის VI სიმფონია):

1971 წლის იანვარში ვ. ჟორდანია გამოვიდა ტრადიციულ საკონცერტო სალამოზე — „ახალგაზრდა ღირსიერის დებიუტი“, რომელიც ლენინგრადის ფილარმონიის დიდ დარბაზში იმართება ხოლმე. იგი არც ამჯერად შეუშინდა სირთულეებს და კვლავ წარმატებით შეასრულა შოსტაკოვიჩის V სიმფონია, რომელზეც თვით ავტორი წერდა: „ჩემი სიმფონიის თემა — პიროვნების ჩამოყალიბებაა. ამ ნაწარმოების ცენტრში დგას მრავალნაირი განცდებით შეპყრობილი ადამიანი“... ამ სიმფონიის პირველი და შესანიშნავი შემსრულებელია, შოსტაკოვიჩის მრავალი ნაწარმოების ბრწყინვალე ინტერპრეტატორი, ჩვენს გამორჩენილ თანამედროვე, სსრკ სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი დიარეორი ე. მრავინსკი, რომელიც ესწრებოდა ვ. ჟორდანიას დებიუტს და რომელმაც აღნიშნა მისი ინტერპრეტაციის ელვარება და დამაჩვენებლობა. ამის შემდეგ მრავინსკიმ ვ. ჟორდანია თავის ასისტენტად მიიწვია.

ხელოვნებაში ქრონოლოგიას ყოველთვის არ ენიჭება გადაწყვეტი მნიშვნელობა. უფრო საფულისხმოა იღვას წარმომავლობა და განვითარების პროცესი. თუ ამ კუთხიდან მივუღებთ ვ. ჟორდანიას შემოქმედებას, მაშინ, უთუოდ, აღმოვაჩინებ იმ შინაგან აზრობრივ კავშირს, რომელმაც იგი შოსტაკოვიჩთან ბეთოვენის პეროიკასთან მიიყვანა. ხოლო, როცა ჟორდანიას მიერ შესრულებულ ბეთოვენის მუსიკას უსმენ, გრძობთ თავდაპირველობას, რუბატო-პათეტიკის სრულ უარყოფას, იმას, რისკენაც მუსიკოსებს მოუწოდებდა სახელგანთქმული ფუნტცენგლერი. ვ. ჟორდანია ბეთოვენის მუსიკის შესრულების დროს ხაზს უსვამს აზრის სიკხადეს, შთანაფქორის სიმკვეთრეს. მისი მიზანია გამოააშკარავოს ნაწარმოების იდეა, გამოაჩინოს მისი მთლიანობა, რომელსაც წარმოქმნის ურთიერთსაწინააღმდეგო თემატური საწყის-



გვტანჯ ჟორდანია

სების შეტაკება, რითაც გამოხატული მაღალი სულის ბრძოლა ცხოვრებისეულ პერიპეტეცებთან.

როცა ხედები ქეშმარიტ ნიჭიერებას, ასე გგონია, რომ მას ახასიათებს სწორედ ის თვისებები, რომელიც საკუთრივ ამ ნაწარმოების შესრულებისათვისაა საჭირო და აუცილებელი. მაგრამ ვ. ჟორდანია გზუნებას, ინტელექტს ამყლანებს ყოველი ნაწარმოების შესრულების დროს. უჯღრესად ბუნებრივი და თავისუფალი მოძრაობა მისი ხელებისა, რომელთა გამომსახველობა მკვეთრია და ძალზე პლასტიკური.

მუსიკალურ სამყაროში კარაიანის ფონდის მიერ დაარსებული კონკურსები განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობენ. თვით კარაიანმა ასე განმარტა ამ კონკურსების მიზანი: „დაე მუსიკამ, რომელიც აღმდინებს, ხალხებს აერთიანებს, ხელი შეუწყოს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას დაამყარონ ერთმანეთთან კავშირი და ერთად ემსახურონ მაღალ ხელოვნებას“.

კარაიანის კონკურსზე ვ. ჟორდანია წარსდგა მრავინსკის რეკომენდაციით. მან წარმატებით განვლო ექვსი ტური და ჟმეკატრესი ეთურის წინაშე შეასრულა 14 დიდი ფორმის,

სხვადასხვა სტილისა და ეპოქის ნაწარმოები — დაწყებული ჰაინდისა და მოცარტის ქმნილებებით და დამთავრებული პროკოფიევის, ბერგის, ბარტოკის, სტრავენსკის ნაწარმოებებით.

1974 წელს ვ. ჟორდანიას დაინიშნა სარატოვის სიმფონიური ორკესტრის მთავარ დირიჟორად. 1977 წლიდან კი იგი ხელმძღვანელობს ხარკოვის ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრს, რომელიც მისი მეცადინეობით იმდენად გაიწრთენა და დაოსტატდა, რომ მონაწილეობა მიიღო ჩაიკოვსკის საერთაშორისო კონკურსის მე-3 ტურში — ვ. ჟორდანიას დირიჟორობით აკომპანიმენტს უწყვედა კონკურსში მონაწილეებს.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს გახლავთ ყოველდღიური დამატული შემოაბის შედეგი. ძალზე საინტერესოა ვ. ჟორდანიას მიერ ჩატარებული რეპეტიციები — არაფერი ზედმეტი, არაფერი მეორეხარისხოვანი, მას პარტიტურას ყოველი დეტალი საშუალებიანად აქვს გააზრებული. იგი დაყინებით ამეორებიანებს ხოლმე ორკესტრს ერთ რომელიმე ფრაზას, მელოდიურ მოტივს, პასაჟს ან აკორდს. კონკურსის დროს მეტადინებდა, რომ მუსიკალური დრამატურგიის მილიანობის გამოსავლინებლად სწორედ ამ ელემენტების ხაზგასმია საჭირო. სარეპეტიციო პროცესის ორგანიზებულობასა და სიზუსტეს, წინ უძღვის პარტიტურის სერუპულოზური შესწავლა. შესანიშნავი მუსიკალური მესხიერების წყალობით იგი მოკლე დროში თვისებს ნაწარმოებებს, გრძნობს მათ ფორმასა და დრამატურგიას. განსაკუთრებული მომთხოვნელობის შედეგად ვ. ჟორდანიას აღწევს სიმებიანთა სინქრონულ ელერაობას, ყოველი ინსტრუმენტის სოლო-რეპეტიციების გამომსახველობას, ანსამბლურობას. ორკესტრთან შემოქმედებითი კონტაქტის დამყარებაში მას ხელს უწყობს არა მარტო ჩინებული მუსიკალური სმენა, მაღალი კულტურა, ნებისყოფა, არამედ დახვეწილი და მეტყველი მანუალური ტექნიკაც. მისი ყესტი სულ უფრო გამოისახევილი და ლაკონიური ხდება. ჭარბი ყესტბეკულაცია მხოლოდ აღიზიანებს, ანერგიულებს ორკესტრს და ხელს უშლის ნაწარმოების მილიანობის აღქმაში, ნაწილთა შორის წონასწორობის დამყარებაში. იმისათვის, რომ დირიჟორის შემოქმედებითმა იმპულსმა მი-აღწიოს ორკესტრის ყოველ წევრს, მისი ყესტი, გამოხედვა, მიმიკა უაღრესად ზუსტი, დინამიკური და კონცენტრირებული უნდა იყოს. ვ. ჟორდანიას ხელის მტევანთა შეუმჩნეველი მოძრაობით, ზოგჯერ ერთი თითის საშუალებითაც კი სასურველ საშემსრულებლო ეფექტს აღწევს.

ვ. ჟორდანიას მიერ მომზადებული და შესრულებულია 150 საკონცერტო პროგრამა. მისი რეპერტუარი ფართო და მრავალფეროვანი — გადაქმნილია XVIII საუკუნიდან ჩვენი დროის მუსიკამდე. იგი მრავალი თანამედროვე ნაწარმოების პირველი შემსრულებელია. საბჭოთა კავშირში მან პირველმა შესარულა სტრავენსკის „კაპრიჩიო“, მარტინუს საბალეტო სუიტა „ცეროდენა“, აიგორენის „საკონცერტო ვარიაციები“, ბრატენის კონცერტი ფორტეპიანოსათვის, ჩერკენინის მეოთხე სიმფონია, გუბარნკოს სიმფონი-ბალეტი „ასლო“, ს. ცინცაძის მეოთხე სიმფონია, ალფრთოვანებში რომ მიიღეს ხარკოველებმა და სხვა.

ვ. ჟორდანიას ქართული მუსიკის მგზნებარე პატირიტი და პროპაგანდისტია. პოლოსის მასში ახალ-ახალ საწყისებს, ფერებს, თვისებებს. ამის მავალითია ო. თაქთაქიშვილის ორატორია „რუსთაველის ნაკვალეზზე“. ამ კარგად ცნობილ ნაწარმოებში ვ. ჟორდანიას აღმოაჩინა ისეთი დეტალები, რომელთა გამოვლინებამ ახალი ელფერი მისცა ამ შესანიშნავ მუსიკას, რომლის წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ხარკოვის სიმფონიურმა ორკესტრმა ვ. ჟორდანიას ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო „ქართული მუსიკის დღეებში“, დიდი წარმატებით რომ ჩატარდა 1978 წელს მოსკოვში; ამ კულექტივის შესრულებით მოსკოველებმა მოისმინეს შ. შშველიძის IV სიმფონია, ალ. მუკაკარიანის II სიმფონია, ო. თაქთაქიშვილის კონცერტი ჩელოსათვის და სხვა ნაწარმოებები.

ვ. ჟორდანიას ხშირად იწვევენ გასტროლებზე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში. 1979 წლის თებერვალში მან დიდი წარმატებით ჩაატარა კონცერტები პრღაში, სიდაც ცნობილ იტალიურ პიანისტთან სანდრო დე პალმასთან ერთად გამოიღო.

ვ. ჟორდანიას ერთნაირად იზიდავს როგორც საკონცერტო ესტრადი, ასევე საოპერო დირიჟორის პულტიც. ვ. ჟორდანიას მიერ გამზოვანებული საბჭოთა კავშირ-იპონიის ერთობლივი ფილმი „დერესე უხალა“. იგი ალფრთოვანებში იგონებს თანამედროვეობის გამოჩენილ კინორეჟისორთან აიკირ კუროსავასთან თანაშროლობით.

ასლოვდება ხარკოვის სიმფონიური ორკესტრის 50 წლისთავი, რომელიც ფართოდ აღინიშნება. ამ სახელოვანი კულექტივის საიუბილეო კონცერტები გაიმართდა მოსკოვში. გვიდა ვესტურვით წარმატება ახალგაზრდა დირიჟორს.

იოსებ თბილელის

პორტრეტი

ვახტანგ სიღამონიძე



იოსებ თბილელის პორტრეტი „დიდმოურავიანი“ ახალი ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელოვანი წყაროა. პორტრეტი იოსებთან სტრუქტურულად დაკავშირებულია მხოლოდ იოსებ თბილელის მხატვრობითა, ქვეყნულ არს მრავალთაგან“.

პორტრეტი ავტორია გიორგი სააკაძის „ნათესავ-მოადგამ გვარ-ტომი“ იოსებ თბილელი (საკაძე), პოეტის, მწიგნობრის, სახელმწიფო მოღვაწის, რომელსაც, გარდა „დიდმოურავიანის“, დაუწერია „სახსრული ვენახი“, „მოგზაურობა ახალციხეში“, „ლუარსაბ მეფის ცხოვრება“ და სხვა, რომელთაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფოლადნაწებზე შემორჩენილი ხელნაწერები, რომელთაგანაც ირეკვა, რომ იოსებ თბილელს თბილისში, სიონის ტაძარში პირადი თანხლებით დაუარსებია წიგნთსაცავი. მის კარიბჭეზე, კედელში მარმარილოს ქვა უფოილა დატანებული, რომელსაც თბილელის წარწერა ამჟღავნებს.

ირეკვა, რომ წიგნთსაცავი თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში თანდათანობით მდიდრდებოდა ძველი შესანიშნავი კოლექციებითა და ხელნაწერებით. ქართლის კათალიკოს დომენტი ბგრატიონს იგი კიდევ უფრო გაუფართოვებია და სათანადო პირობებზე შეუქმნია მის დასაცავად.

იოსებ თბილელი შესანიშნავი კალიგრაფიც უფოილა. უკვე დოკუმენტრად არის დადასტურებული, რომ 1646 წელს მის მიერ არის გადაწერილი შოთა არუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რაც ქართლის დიდბუღის ზაზა ციციშვილის შეკვეთით შეუსრულებია. „ვეფხისტყაოსნის“ ეს უძველესი ტექსტი უშუალოდ მომდინარეობს სააკაძეთა დიდი ოჯახის კუთვნილი ხელნაწერიდან.

იოსებ თბილელისეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერმა ჩვენამდე მოაღწია და სათუთად არის დაცული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში.

იოსებ თბილელი სახელმწიფო მოღვაწე და მდივან-წინამძობარაც იყო ვახტანგ მეფისთვისა და გიორგი მეორეშემტყის მეფობაში. მეფე ვახტანგ იოსებ თბილელს დეხანობით მოლაპარაკება აწარმოებდა არა მარტო რომის პაპის მისიონერებთან, არამედ საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ის წარმომადგენელ ნეგოციანტ თან შარდენთანაც.

1688 წლის გაზაფხულზე ქართლის მეფემ გიორგი XI გადაწვეტა კახეთის სამეფოს შემოერთება. ასეთ პოლიტიკას არაგვის საერისთავო მხარი არ დაუჭირა. მეფე იძულებული გახდა ჭერ არაგვის საერისთავოზე გაეღაშქრა. მეფის ბანაკში სხვა სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეებთან ერთად იმყოფებოდა იოსებ თბილელიც. გაათრეტიებული ბრძოლის დროს, არაგველებმა იერიშა მეფის ბანაკზე მიიტანეს, სხვებთან ერთად ტყვის მსხვერპლი შეიქნა იოსებ თბილელიც.

ღვაწლშობილი პოეტის და სახელმწიფო მოღვაწე იოსებ თბილელის თბილისის ხაონის მონასტერში დაკრძალეს.

ქართველი მეცნიერნი და ხელოვნებათმცოდნეები დიდხანს ეტებდნენ „დიდმოურავიანის“ ავტორის პორტრეტს. ცდები თითქოს ამაო ჩანდ... ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ხელკრეფებამომოდენ სპეცილისტებმა მ. ლორთქიფანიძემ, კ. მელითაიურმა და მ. გრუზინმა შესწავლეს ქართლში, მდინარე ტანის თვალწარმტვი ხეობის, სოფელ ბონევის სანახებში სააკაძიან სავჯარეული ეკლესია, სადაც მწ. შენელეოვან ფრესკულ მხატვრობას შორის აღმოჩნდა იოსებ თბილელის პორტრეტიც, ნაწილობრავ დაზარებული. სხვა სურათებთან ერთად, ნათ იოსებ თბილელის გამოსახულებაც გაღმოიღეს და შემოკვინანეს.

ბონევის ეკლესიის თითქმის ყველა ფრესკული სურათი ხელოვნებათმცოდნე ითარ ფარალშვილმა გამოაქვეყნა შრომაში „ბონევის მხატვრობა და რეალისტური ტენდენციის შესახებ XVII საუკუნის ქართულ მხატვრობაში“. თბილისი, 1952 წ. (იხ. გვ. 33-11).

ენციკლოპედიური კულტურის ისტორიისათვის

IV

ქართული ენციკლოპედიური ტრადიციები

ირაკლი ყიფიანი

ენციკლოპედიური ხასიათის ლიტერატურა საქართველოში XI საუკუნიდან ჩნდება, იმ დროს, როცა ქვეყნის სახელმწიფოებრივ განმტკიცებასთან ერთად, აღმავლობას განიცდის მეცნიერება, ეკონომიკა, კულტურა, ხელოვნება; ვითარდება საღვთისმეტყველო მწერლობა — ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, დოგმატიკა, მაგიორაფია, მეტაფიზიკა და სხვ., აგრეთვე სამეცნიერო დისციპლინები — იურისპრუდენცია, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მედიცინა, გრაფიკა, განსაკუთრებით ასტრონომია და ისტორიოგრაფია; იქმნება ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები, შენდება დიდებული ხუროთმოძღვრული ძეგლები.

უკველივე ეს უკავშირდება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ შოღვაწე ისეთ პირთა სახელებს, როგორც არიან ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები, გიორგი მცირე, თეოდოლე ზუცესმონაზონი, არსენ ამარტოლი, პეტრე გელათელი, ეფრემ მცირე, არსენ ივლითელი, იონე პეტრიწი, ლეონტი მროველი, იოანე შავთელი, ჩხარუბაძე, რუსთაველი და სხვა.

ეს მათ შემქმნენ განათლების კერები და ლიტერატურული სკოლები აბერძნეთში — ივერიის მონასტერთან, სირიაში — შავ მთაზე, პალესტინაში — ქვარის მონასტერთან, ბულგარეთში — პეტრიწონის მონასტერთან, ისევე როგორც ავით საქართველოში — ბედასისა და ივლითის. აქ ამ სკოლებში და აღადგინებში იწერებოდა სასწავლო სახელმძღვანელოება, შემუშავდა თარგმანისა და კომენტარების

